პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებისა, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

## დ ღ ი უ რ ი

- მექსტონის და კუკის წერილი ინგლისის მუშებისადმი.
- ანტვერპენის ნავთსადგურში გაფიცვა გამოაცხადა 12.000 მუშამ.
- აჯანყება ავსტრალიის გემ „ჯერვისბეი“-ზე.
- პოლემიკა იტალიის და საფრანგეთის პრესას შორის.
- ტრანს-ატლანტიურ გადაფრენის მონაწილეთა საზეიმო შეხვედრა ბერლინში.
- საბჭოთა შეკვეთები ინგლისში.
- დარბაზობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან იაპონიაში.

შაბათი, 23 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 144 (2187)

1928 წლის ივლისის 3-ს ქ. თბილისში, სასახლეში

გაიხსნება

## სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების ცენტ.-აღმასრულებელი კომიტეტის

## მე-4 სესია

**სესიის დღის წესრიგი:**

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებების და მოვალეობების გაფართოების შესახებ.
2. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის მიერ მიღებული იყო სესიიდან სესიამდე.
3. ორგანიზაციული საკითხები.
4. მიმდინარე საკითხები.

ს.ს. ცაკის მდივნის მაგიერ ი. ვარძიელი.

# გავაძლიეროთ საგზაო მშენებლობა

საგზაო მშენებლობა მუდამ ძველ და მუდამ ახალ საკითხად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს მიმართავს საგზაო მშენებლობის განვითარებისათვის, მიღწევები ამ მხრივ ჯერჯერობით არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. კანონმდებლობითი გზით გამოცემულია სათანადო დადგენილება შრომითი საგზაო ბეგარის გატარების შესახებ, ხელისუფლება ბიუჯეტიდან სდებს ამ საქმეზე თითქმის სამჯერ უფრო მეტს არსებულ ხარჯებთან შედარებით. მაგრამ ყოველივე ეს ვერ მოგვცემს სათანადო ეფექტს, თუ საგზაო მშენებლობის საქმეში აქტიური მონაწილეობა არ მიიღო ფართო მშრომელ მასებმა.

არავინ ისე მწვავედ არ გრძნობს უგზოობის მავნე შედეგებს, როგორც ამას განიცდის პირველ ყოვლისა ადგილობრივი მოსახლეობა და ორგანოები. საზოგადოებრივი აზრი კარგა ხანია მომზადებულია იმ მხრივ, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს, მშრომელი მოსახლეობა ბევრგან სურვილს გამოსთქვამს ყოველი საშუალებით მიიღოს მონაწილეობა გზების კეთილმოწყობის საქმეში. სხვათა შორის აქედანაც გამომდინარეობდა ცენტრალური ხელისუფლება, როცა ის სცემდა კანონს შრომითი საგზაო ბეგარის შემოღების შესახებ.

აშკარად უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვიყენეთ ეს ხელის შემწყობი პირობები საგზაო მშენებლობის სათანადო ტემპით განვითარებისათვის. ამას აღნიშნავს ამ დღეებში გამოქვეყნებულ თავის დადგენილებაში საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

დღემდე არ არის ჩატარებული სათანადო მუშაობა საგზაო შრომითი ბეგარის ფართო პოპულარიზაციისათვის. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. უნდა გატარდეს მშრომელ მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია საგზაო ბეგარის შინაარსისა და ამ ბეგარის პრაქტიკულად გატარების მნიშვნელობის შესახებ. ამ მიზნით საჭიროა გამოყენებულ იქნას ყველა ის მასიური პროპაგანდის ორგანოები, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება. პრესა, ცენტრალური, ნაბეჭდი და კედლის გაზეთები, სამკითხველოები კლუბები, სოფლის საერთო კრებები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავე ტეხნიკურ პერსონალის აქტიურად ჩაბმას ამ საქმეში.

ამასთან ერთად პარტიულ კომიტეტებმა მეტი მეთვალყურეობა და კონტროლი უნდა გაუწიონ იმას, თუ როგორ ტარდება საგზაო შრომითი ბეგარა მათ რაიონში. ამისათვის საჭიროა, რომ პარტკომები სისტემატიურად ისმენდნენ სათანადო ორგანოებისა და ქვემდებარე ორგანიზაციებისაგან ანგარიშს იმის შესახებ, თუ რა გააკეთეს მათ საგზაო ბეგარის გატარების მხრივ.

პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციების უჯრედებმა თავის ერთერთ პრაქტიკულ ამოცანად უნდა დაისახონ საგზაო მშენებლობაზე ზრუნვა. ეს საქმე მოითხოვს ენერგიულ და გეგმაშეწონილ მუშაობას. აქ არ კმარა ერთი ხელის წამოკვრით გალაშქრება უგზოობის წინააღმდეგ. შაბათობებით, სპეციალური დაკვრითი და შემთხვევითი ხასიათის ღონისძიებებით ჩვენ უგზოობას ვერ აღმოვფხვრით, ეს მხოლოდ ნაწილობრივ და დროებით ნაყოფს თუ მოგვცემს.

ამიტომ, რომ ასეთ მდგომარეობას ადგილი აღარ ექნეს, და ეს კი, როგორც ვიცით, დღეს არც თუ ისეთი იშვიათი მოვლენაა, პარტიისა და კომკავშირის უჯრედებმა თავიანთ მუშაობის გეგმაში ცალკე და ერთ-ერთ მთავარ პუნქტად უნდა შეიტანონ საგზაო მშენებლობის საკითხი. მაგრამ მარტო ამით დაკმაყოფილებაც არ შეიძლება. გეგმით საქმე არ გაკეთდება, თუ არ სწარმოებს იმის სისტემატიურად შემოწმება, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში გეგმით დასახული ღონისძიებები და თუ აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნები არ გამოაქვთ. ეს კარგად უნდა დაიხსომონ ადგილობრივ კომიტეტებმა საზოგადოთ და კერძოთ საგზაო მშენებლობის საკითხში, რომ აღარ განმეორდეს ისეთი არანორმალური მდგომარეობა, რომელსაც ეხლა ბევრგან აქვს ადგილი და რომელიც შემდეგში გამოიხატება: გარეგნულად, გეგმებისა და ოქმების მიხედვით მუშაობის საუცხოვო სურათი იშლება ჩვენს წინ, ხოლო საქმით ბევრი არაფერი კეთდება.

არის ისეთი მაგალითებიც, როცა საგზაო შრომითი ბეგარას იყენებენ სხვა საზოგადო სამუშაოების შესასრულებლად. საგზაო ბეგარის კანონის ამგვარი დამახინჯება უნდა საბოლოოდ აღიკვეთოს. ყოვლად დაუშვებელია საგზაო ბეგარაზე გამოწვეულ მოსახლეობის სხვა, თუნდაც საზოგადო მნიშვნელობის საქმეზე გამოყენება. ჩვენ ვამბობთ, რომ გზების კეთილმოწყობის ირგვლივ საზოგადოებრივი ინიციატივა სათანადოთ არ არის გაშლილი და გამოყენებული, ჩვენ მოუწოდებთ ამ ნაკლის დასაძლევათ ადგილობრივ ორგანოებს. თავისთავად ცხადია, ამის შემდეგ, რომ არაფრით არ შეიძლება ისეთი ფაქტის გამართლება, როცა ის თვითმოქმედებაც კი, რომელიც გვაქვს საგზაო მშენებლობის დარგში, სხვა საქმეს ხმარდება.

იმისათვის, რომ საგზაო შრომითი ბეგარა წარმატებით ჩატარდეს, საჭიროა წინასწარი ორგანიზაციული და ტეხნიკური მომზადება. უნდა დამზადებულ იქნას სათანადო ხელსაწყო იარაღები და მასალა, დანაწილდეს ცოდნისა და უნარის მიხედვით მოსახლეობა, შემუშავდეს გზის შეკეთების გეგმა და მრავალი სხვა. უამისოდ საგზაო ბეგარის გატარება, რაც უნდა მასიური და აქტიური მონაწილეობა არ მიიღოს მასში მოსახლეობამ, სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ამასთან ერთად, რომ შრომის ბეგარამ მეტი პოპულარობა მოიხვეჭოს და ის უფრო წარმატებით გატარდეს ცხოვრებაში, საჭიროა კომუნისტებმა და კომკავშირელებმა საკუთარი მაგალითით, პირადი მონაწილეობით გზის მშენებლობაში, წაახალისონ სხვები ამ საქმეში. ზეპირ აგიტაციას თან უნდა ახლდეს აგიტაცია საქმით.

ყველა ამ ღონისძიების გატარებით შევსძლებთ უგზოობის დაძლევას და დაზიანებულ გზების გამოსწორებას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი სახალხო მეურნეობის და კულტურულ-ადმინისტრატიული საქმიანობის სათანადო ტემპით წინსვლა.

# მეორე ეტაპი

„დამტკიცებულია ბრალდების ზოგადი თეზისი, რომელიც ადასტურებს იმას, რომ დონეცის რაიონის მრავალი ინჟინერის მხრივ ადგილი ქონდა საბოტაჟს ამა თუ იმ სახით“, — ასე სწერდა გერმანელი კორესპონდენტი თავის დროზე— პროცესის პირველი ორი კვირის პერიოდში.

და ეს აღიარება, როგორც მაშინ აღვნიშნეთ, მოასწავებს იმას, რომ ჩვენი კლასიური მტერი ხელს იღებს შახტის დამზიანებელთათვის წარდგენილ ბრალდებათა უარყოფაზე. რასაც ადგილი ჰქონდა პროცესის დაწყებამდე. „პროცესი გაზვიადებულია, პროცესი გამოგონილია“ — გაიძახოდა ბურჟუაზიული პრესა პროცესის პირველი ორი კვირის განმავლობაში. მაგრამ შემდეგ ის იძულებული გახდა უარეყო ეს აზრი.

„პროცესის შემდგომმა ეტაპმა, — სწერდა იგივე კორესპონდენტი, — უნდა გამოარკვიოს, თუ როგორი სახით არსებობდა შეთქმულება, როგორც ხანგრძლივი სისტემატიური ორგანიზაცია, და როგორი ქსელი ქონდა შეთქმულებას, — თუ კი იქნება დამტკიცებული ამ შეთქმულების არსებობა,— როგორც ნაციონალური, ისე საერთაშორისო მაშტაბით“.

ეხლა, როცა თითქმის ერთი თვე გავიდა პროცესის დაწყებიდან, უკვე შეგვიძლია მივიღოთ პასუხი მეორე კითხვაზედაც. აი, რას სწერს ამერიკელი დიურანტი:

„ყოველ შემთხვევაში პროკურატურას უფრო სასარგებლო პოზიციები უჭირავს, ვიდრე რომელიმე უცხოელს შეეძლო ეფიქრა სამი კვირის წინედ. უკანასკნელ დღეებში მართლაც დამტკიცდა ინჟინერთა დიდი ცენტრალური ორგანიზაციის არსებობა, რომელიც დაკავშირებული იყო მაღაროების ყოფილ მეპატრონეებთან საზღვარგარედ და რომელიც იქიდან დიდ თანხებს იღებდა ფართო საბოტაჟის მიზნისათვის“.

ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ ეს აღიარება.

მართლაც, მას შემდეგ, რაც პროცესმა უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში გამოაშკარავა დანაშაულის ფაქტები, შეუძლებელია თქმა იმისა, რომ საბჭოთა პრესა აზვიადებდა, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პრესა ამცირებდა პროცესის მნიშვნელობას. ცენტრალური კონტრ-რევოლიუციური ორგანიზაციის არსებობას არ უარჰყოფენ ის ბრალდებულებიც კი, რომლებიც უარს ამბობენ იმაზე, რომ ირიცხებოდენ ამ ორგანიზაციის წევრებად. ყოველი მათგანი, ყველაზე უფრო ჯიუტებიც კი, ამბობენ, რომ ისინი ამჩნევდნენ, გრძნობდნენ, ხედავდნენ დამზიანებელთა ორგანიზაციის არსებობას, და მხოლოდ იმის დამტკიცებას სცდილობენ, რომ ისინი არ იღებდნენ მონაწილეობას ამ ორგანიზაციაში, მაგრამ ამის დამტკიცებას ისინი ვერ ახერხებენ.

ამასთან ერთად სასამართლოში მოსმენილ იქნა მთელი რიგი ჩვენება, რომლებმაც გამოაშკარავა არა მარტო ის, რომ ორგანიზაციის ფესვები და მისი ქსელი შორს იყო გაბმული დონბასის ფარგლების გარედ, არამედ ისიც, რომ თვით ორგანიზაციამ, განსაკუთრებით თავისი არსებობის უკანასკნელ ხანებში მიიღო გარკვეულად გამოსახული აშკარა პოლიტიკური ხასიათი. ინჟინერმა ბოიარინოვმა, რომელმაც სასამართლოში აღიარა, რომ მან 1.000 დოლარი ჯილდოსათვის დვორჟანჩიკის წინაშე იკისრა საზიანო აქტების ჩადენა საბჭოთა კავშირის ზურგში ომისა ან ინტერვენციის დროს, ამ ინჟინერმა, პროკურატურის შეკითხვაზე,— იცის თუ არა მან, რას ნიშნავს ეს, და აღიარებს თუ არა იგი, რომ მისი მოქმედება ატარებდა აშკარად გამოხატულ ჯაშუშურ ხასიათს, —განაცხადა, რომ მისი მოქმედება მართლაც ატარებდა აშკარა ჯაშუშურ ხასიათს.

ინჟინერმა იუსევიჩმა, რომელსაც დაუმტკიცდა, რომ მას კავშირი ქონდა საბჭოთა ხელისუფლების მტრების ორგანიზაციასთან საზღვარგარეთ, პროკურორის შეკითხვაზე, — იცოდა თუ არა მან, რომ ეს არის სახელმწიფო ღალატის აქტი,— მან უპასუხა, რომ იცოდა.

კრჟიჟანოვსკი, ბუდნი, სუშჩევსკი, ბრატანოვსკი და ორლოვი—ორგანიზაციის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წევრები და ნაკლებ თვალსაჩინო წევრებიც, ყველანი აცხადებენ, რომ მათ იცოდნენ ორგანიზაციის არსებობა, მისი კონტრ-რევოლიუციონური ხასიათი და კავშირი მაღაროების ყოფილ მეპატრონეებთან; ისინი აღიარებენ აგრეთვე იმასაც, რომ ომის შემთხვევაში მოქმედების განსაზღვრული პროგრამის შესრულებისათვის ორგანიზაცია მათ მისცემდა საფასურს.

ეს ფაქტი საკმაოა იმისათვის, რომ სავსებით დამტკიცებულად ჩავსთვალოთ ძირითადი ბრალდება.

მაგრამ განვლილმა კვირეებმა კიდევ მეტი გვიჩვენა. თითქმის ყოველი ბრალდებულის დაკითხვის დროს სულ უფრო და უფრო ხშირად უხდება სასამართლოს თავმჯდომარეს და პროკურორს ლაპარაკი იმაზე, რომ აუცილებელია ეს თუ ის ჩვენება შესებული იქნას სპეციალური გამოკვლევით დახურულ სხდომაზე. სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებენ უცნობ პირებს და ანონიმებს, რომლებსაც ხვდებოდნენ ხოლმე ცალკე ბრალდებულები. სასამართლოს და ბრალდებულებს ლაპარაკი უხდებათ სულ უფრო და უფრო დიდ თანხებზე, რომლებსაც საზღვარგარეთიდან იღებდნენ დამზიანებელი მუშაობის ორგანიზატორები. დაბოლოს, ბრალდებულ კაზარინოვის დაკითხვამ ნათლად გამოაშკარავა იმ სამი პირონების ვინაობა, რომლებიც გარედან ხელმძღვანელობდნენ დამზიანებელთა ორგანიზაციას; ეს სამი პირია: დვორჟანჩიკი, პრიადკინი და ბლეიმანი — კაპიტალისტური წრეების წარმომადგენლები. გამორკვეა აგრეთვე, რომ მათ ზურგს უკან იდგეო უხილავი, მაგრამ ბრალდებულთა მოქმედების აქტიური თანამონაწილენი —ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს დამზვერავი ორგანიზაციები. აშკარავდება დამზიანებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის მომქმედი ორგანოები და შინაგანი მექანიზმები. ფარდა ეხდება იმას, რაც დღემდე დაფარული იყო, და აშკარავდება მებრძოლი იმპერიალიზმის ნამდვილი კლასიური ფიზიონომია და დახრჭენილი კბილები.

აი, რა გამოარკვია დღემდე სასამართლოს გამოძიებამ. ამ მომენტებს იხილავს ამჟამად სასამართლო; ამასთანავე სასამართლო არკვევს, რომ დამზიანებელთა ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ უცხოეთის ფირმების მთელი რიგი წარმომადგენლები, რომლებიც არა მარტო ეხმარებიან დამზიანებლებს თავისი ფირმების საშუალებით, არამედ შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენენ დამზიანებელთა ორგანიზაციის შინაურ და საზღვარგარეთის ნაწილებს შორის. ტყუილად კი არ დაადგინა უზენაესმა სასამართლომ, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემული ისეთი „მოღვაწენი“, როგორიცაა ზეებოლდი და კესტერი, რომელთა დანაშაული გამოირკვა გერმანელი ბრალდებულის ბადშტიბერის ჩვენებიდან. და ტყუილად კი ცდილობენ მთელი თავისი ძალ-ღონით დამცველნი, რომ იმ დოკუმენტებით, რომლებიც შემოწმებულია პოლიციის ხელისუფლების ან იმ ფირმის წარმომადგენელთა მიერ, სადაც საქმეთა მმართველია დვორჟანჩიკი, — დაიცვან არა მონტიორი მაიერი, ან ინჟინერი ოტტო, არამედ კესტერი, ბლეიმანი და ბაშკინი, რომლებიც ეხლა გულდამშვიდებით იმყოფებიან ბერლინში და არ არიან წარმდგარი სასამართლოს წინაშე. მაგრამ კესტერი, ნეიმანი და დვორჟანჩიკი მაინც სწერენ წერილებს დამცველ ვორმსს და ფიცულობენ, რომ მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ დამზიანებელთა მუშაობაში.

ერთად-ერთი სწორი პასუხი ყველა ამ ვაჟბატონებს გასცა პროცესზე პროკურორმა:

— დიე, გამოცხადნენ აქ— განაცხადა სახელმწიფო ბრალმდებელმა.—დიე გამოცხადნენ, მაგრამ არა უზენაეს სასამართლოში, როგორც მოწმენი, არამედ გამოცხადნენ გამომძიებელთან და პროკურორის კამერაში, რათა დაკითხულ იქნან, როგორც ბრალდებულნი, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. ასეთ როლში ისინი, რა თქმა უნდა, არ გამოცხადდებიან. მაგრამ ეს მაინც არ შეუშლის ხელს ბურჟუაზიულ პრესას განაცხადოს, რომ ჩვენს საბჭოთა სასამართლოს არ სურს მოუსმინოს მათ. საბჭოთა სასამართლოს შეუძლია და ვალდებულიცაა მოუსმინოს მათ, მაგრამ მხოლოდ იმდენად და იმის მიხედვით, თუ რამდენად არიან ისინი გამომჟღავნებული სასამართლოს კვლევა-ძიებით. სხვა სახით მათ არ შეუძლიათ გამოსვლა ჩვენს წინაშე, არც კანონის და არც უბრალო საღი ლოღიკის მიხედვით. აი, ყველაფერი ის, რაც შეიძლება ითქვას იმ პრეტენზიების საპასუხოდ, რომ ეს პირები დაკითხულ იქნან ამჟამად, როგორც მოწმეები.

რჩება კიდევ უკანასკნელი ეტაპი, რომელმაც უნდა ნათელჰყოს, დამაზიანებელთა ორგანიზაციის მოსკოვის ცენტრის მუშაობა და გამოაშკარავოს ის პირი, რომელსაც ადგილი ჰქონდა თვით სოციალისტური მრეწველობის მმართველობის ცენტრში.

პროცესის დაწყებიდან თითქმის ერთი თვის გასვლის შემდეგ საბჭოთა კავშირის მშრომელთა საზოგადოებრივ აზრს ერთხელ კიდევ შეუძლია გაუკეთოს ძირითადი ჯამი ამ მეორე ეტაპს. ბურჟუაზიულ კორესპონდენტის მიერ ამ სამი კვირის წინად დასმულ კითხვაზე, დამტკიცებულია, თუ არა ბრალდების ძირითადი თეზისი დამაზიანებელთა ცენტრალური ორგანიზაციის არსებობის შესახებ და დამტკიცებულია თუ არა, რომ ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა საერთაშორისო და კაპიტალისტურ ბანდიტების ორგანიზაციის ფილიალს, ფილიალს იმ ბანდიტების ორგანიზაციისა, რომელთა მიზანს შეადგენდა, რათაც არ უნდა დასჯდომოდათ და რა საშუალებითაც არ უნდა ყოფილიყო, შეეფერხებიათ სოციალისტური აღმშენებლობა, ამ კითხვაზე საბჭოთა საზოგადოებრივ აზრს შეუძლია გასცეს ასეთი პასუხი: „დიახ, დამტკიცებულია“! ხოლო შემდეგ, პროცესის მესამე და უკანასკნელი სტადიის შემდეგ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი პასუხს გასცემს შემდეგ კითხვაზედაც — თუ რა ზომები უნდა მიიღოს უზენაესმა სასამართლომ ჩვენი ქვეყნის მშრომელ მასებთან ერთად, რათა ბოლო მოუღოს იმ დამაზიანებელ მუშაობას, რომელიც თითქმის ათი წლის განმავლობაში სწარმოებდა, და ამით შეიქმნას პირობები მშვიდობიანი მოქმედებისა და მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობისათვის საბჭოთა კავშირში.

„იზვესტია“, 22 ივნისი.

# უთანხმოება მცირე ანტანტის კონფერენციაზე

## ჩეხო-სლოვაკია წინააღმდეგია საბერძნეთის მიღების მცირე ანტანტაში

## მუკდენის მმართველმა ჩჟან-სიუ-ლიანმა გადასწყვიტა არ დაიწყოს ომი სამხრეთელებთან

## სოც.-დემ. გ. მიულერი უარს ამბობს დიდი კოალიციის მთავრობის შედგენაზე

### მცირე ანტანტის კონფერენცია

**ვენა**, 21 ივნისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, მცირე ანტანტის ქვეყნების კონფერენციის პირველი დღის ძირითად თემას შეადგენდა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები. უნგრეთის პრესა ამტკიცებს, რომ **მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ხაზს უსვამდნენ მცირე ანტანტის ქვეყნების ერთსულოვნებას, ბუქარესტის კონფერენციაზე გამოაშკარავდა ამ ქვეყნების ინტერესების დიდი წინააღმდეგობა.** ასე, მაგალითად, ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბენეში ემხრობა გერმანიასთან დაახლოებას, რის წინააღმდეგაც ილაშქრებს რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ტიტულესკუ. ბენეში კატეგორიულად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ტიტულესკუ სცდილობს ჩაითრიოს საბერძნეთი მცირე ანტანტაში.

**უთანხმოება არსებობს აგრეთვე იტალიის საგარეო პოლიტიკისადმი დამოკიდებულების საკითხში.** (ადს)

### მდგომარეობა ჩინეთში

**პეკინი—ბეიპინი**

**შანხაი**, 21 ივნისი. ნანკინის სააგენტოს ცნობით, **ნანკინის მთავრობამ პეკინს გამოუცვალა სახელწოდება და დაარქვა ბეიპინი**, რაც ნიშნავს „ჩრდილოეთი ქვეყანა“, ხოლო ჩჟილის პროვინციას დაარქვა ხობეი, რაც ნიშნავს „ყვითელ მდინარის ჩრდილოეთით“. ქალაქი ბეიპინ ხდება ხუბეის პროვინციის მთავარ ქალაქად.

**გენ. ვეი-ი-სანის განცხადება**

**შანხაი**, 21 ივნისი. „ვან-ბო“-ს ცნობით, ანგოციზიუნის მთავრობის ყოფილი გზათა მინისტრი და პეკინ-მუკდენის რკ.-გზის ოროთქმავლების დეპოს გამგე დაპატიმრებული არიან და ბრალად ედებათ ჩან-ძო-ლინის მატარებელზე თავდასხმაში მონაწილეობა.

„სი-ცზი-შიბაო“-ს ცნობით, პეკინში ჩამოსულმა გენერალ ვეი-ი-სანმა განაცხადა:

**„ვიღაც მრჩეველმა ვეი-ი-სანს გაუგზავნა თავისი წარმომადგენლები, რომლებმაც წინადადება მისცეს მას გაეგზავნა ოთხი იაპონელი მუკდენის არსენალის ასაფეთქებლად და ჩან-ძო-ლინის მოსაკლავად. ჩან-ძო-ლინის მოკვლის შემდეგ ვეი-ი-სანს უნდა დაეკავებინა მისი ადგილი და უნდა მიეღო თავის მრჩევლად ის პირი, რომელმაც მას გაუგზავნა თავისი წარმომადგენლები მოსალაპარაკებლად“.** (ადს)

**ჩჟან-სუე-ლიანის „ახალი კურსი“**

**პეკინი**, 21 ივნისი. პეკინის მთავრობის ყოფილმა განათლების მინისტრმა ლიუჟჩაგემ პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ მან ყური მოჰკრა ჩჟან-სუე-ლიანის შემდეგ განცხადებას:

**„არც ეხლა და არც მომავალში მუკდენის ჯარები არ დაიწყებენ ომს სამხრეთელების წინააღმდეგ“.** (ადს)

**პეკინის ვაჭრები უკმაყოფილო არიან**

**პეკინი**, 21 ივნისი. „ნორთ ჩაინა სტანდარტ“-ის ცნობით, პეკინის ვაჭრებს შორის იზრდება უკმაყოფილება ჯარებისათვის სურსათ-სანოვაგის რეკვიზიციის გამო. ივნისის პირველ ნახევარში ნებაყოფლობით დაიხურა ბევრი სავაჭრო დაწესებულება. პეკინის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე იმუქრებიან, რომ დახურავენ პალატას. (ადს)

**შიდა მონღოლეთის მთავრობა**

**პეკინი**, 21 ივნისი. იაპონური ორგანო, რომელიც ტიანძინში გამოდის, იუწყება, რომ 15 ივნისს შესდგა თათბირი, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს შიდა მონღოლეთის მთელი რიგი რაიონების წარმომადგენლებმა და მთავრებმა. თათბირზე გადაწყდა შეიქმნას შიდა მონღოლეთის მთავრობა, რომლის რეზიდენცია უნდა იქნეს დოლონარში. გაზეთების სიტყვებით, მონღოლეთის ყველა მთავრები უარს ამბობენ თავის ტიტულებზე და შედიან გომინდანში (ადს).

**უთანხმოება გომინდანში**

**შანხაი**, 21 ივნისი. გაზეთებში ისევ თავსდება ცნობები, რომ გომინდანში ადგილი აქვს უთანხმოებას.

„ნორთ ჩაინა დეილი ნიუზ“-ში სოკოლსკი სწერს:

„გომინდანის რეაქციონურ, მაგრამ გავლენიან წრეებს ეშინიათ პარტიული ყრილობის, ვინაიდან ფიქრობენ, რომ **თუ ადგილობრივ განყოფილებებს მიეცა დელეგატების არჩევის საშუალება, არჩეული იქნებიან უმთავრესად კომუნისტები ან კომპარტიის თანამგრძნობნი.** ამიტომ გომინდანის ყრილობის მოწვევის ვადას გამუდმებით აჭიანურებენ. უმნიშვნელოვანესი პოსტები მთავრობაში უკავია ისეთ პირებს, რომლებიც არ შედიან გომინდანში. კიდევ მეტი, ეხლა თავი იჩინა ისეთმა შეხედულებამ, რომ მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები ჩაბარდეს გომინდანის მოწინააღმდეგეებს“.

„ჰან-ვენ-ბაო“ იუწყება, რომ გომინდანის გავლენიანი წევრების და მთავრობის წევრების არაოფიციალურმა თათბირმა გამოსთქვა აზრი პარტიული ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ.

**ნანკინის დიპლომატიური ურთიერთობა**

**შანხაი**, 21 ივნისი. ოფიციოზურ სააგენტოს გომინის ცნობით, ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვან ჩჟენ-ტინმა** მიმართა დიპლომატიურ კორპუსს პეკინში თხოვნით, რათა დიპლომატიურმა კორპუსმა გაგზავნოს ნანკინში წარმომადგენლები დიპლომატიური ურთიერთობის გასაადვილებლად.

ვან ჩჟენ-ტინმა ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან მიიღო მილოცვები ჩრდილოეთის ლაშქრობის წარმატებით დამთავრების გამო. (ადს)

**გაფიცვა შანხაის აბრეშუმის სართავ ქარხანაში**

**შანხაი**, 21 ივნისი. შანხაის აბრეშუმის სართავი ქარხნების მუშათა გაფიცვა გრძელდება. მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან კონფლიქტის მოგვარება გადასცენ ადგილობრივ ხელისუფლებას და გომინდანს, მაგრამ მხოლოდ გაფიცვის დამთავრების შემდეგ. გაზეთები ფიქრობენ, რომ გაფიცვა 23 ივნისს დამთავრდება. (ადს)

**ჩან-სუე-ლინის გეგმები**

**ტოკიო**, 21 ივნისი. ლიბერალური გაზეთის „ასახა“-ს მუკდენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **ჩან-სუე-ლინს განზრახვა აქვს მანჯურია გადააქციოს ბუფერულ სახელმწიფოდ ჩინეთსა და იაპონიას შორის, და შემდეგ გამოაცხადოს მანჯურიის დამოუკიდებლობა** (ადს).

**იაპონიის ტვირთების დაცვა**

**შანხაი**, 21 ივნისი. ვინაიდან გახშირდა იაპონური საქონლის კონფისკაციის შემთხვევები, იაპონიის ხელისუფლების ორგანოებმა შანხაიში გადასწყვიტეს გუშაგებით დაიცვან იაპონიის ტვირთები შანხაის ნავთსადგურში. (ადს)

### გერმანიის მთავრობის შედგენის გარშემო

**ბერლინი**, 21 ივნისი. ის გამწვავებული მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა მოლაპარაკებაში კოალიციონური მთავრობის შედგენის გარშემო, მოგვარებულია რესპუბლიკის პრეზიდენტის სტატს-სეკრეტარ მეისნერის ჩარევის გამო.

პარასკევს მიულერს კიდევ ჰქონდა თათბირი მთავარ საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელებთან. **დემოკრატებისა და ცენტრის წარმომადგენლებმა გარკვევით აგრძნობინეს მას, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებიან ვეიმარის კოალიციის** (სოციალ-დემოკრატები, დემოკრატები და ცენტრი) **მთავრობის შედგენაზე),** რითაც ბოლო ეღება სოციალ-დემოკრატების მანევრს, რომლებიც სპეკულიაციას ეწეოდნენ ვეიმარის კოალიციის შედგენის შესაძლებლობაზე.

მიუხედავად „ფორვერტს“-ის განცხადებისა, რომ თუ ფართო კოალიციის (სოციალ-დემოკრატები, დემოკრატები, სახალხო პარტია, ცენტრი) შექმნის ცდა უშედეგოთ დასრულდა, „სოციალ-დემოკრატების ადგილი — ოპოზიციის რიგებშია“, პოლიტიკურ წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ასეთი მთავრობა შედგენილი იქნება. (ადს)

**გერმან მიულერი უარს ამბობს დიდი კოალიციის შედგენაზე**

**ბერლინი**, 21 ივნისი. უკანასკნელ ცნობების თანახმად სოციალ-დემოკრატ **გერმან მიულერმა** განაცხადა, რომ ის აცნობებს ჰინდენბურგს, რომ ის წინააღმდეგია სრულიად გერმანიის მთავრობის შედგენის დიდი კოალიციის საფუძველზე. (ადს)

### მექსტონის და კუკის წერილი

**ლონდონი**, 21 ივნისი მექსტონის და კუკის წერილი. შედგენილია ინგლისის მუშებისადმი მიმართულ მოწოდების სახით. მოწოდება არ შეიცავს თავდასხმას მუშათა პარტიის ბელადებზე.

მექსტონი და კუკი აღნიშნავენ, რომ **უკანასკნელ დროს მუშათა პარტიის პოლიტიკა საკმაოდ დაშორდა იმ პოლიტიკას, რომლითაც ხელმძღვანელობდენ ინგლისის მუშათა მოძრაობის დამაარსებელნი, რომლებიც საჭიროდ სთვლიდენ განუწყვეტელ ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ.**

„ვართ რა სოციალისტები —ნათქვამია მოწოდებაში— ჩვენ არ შეგვიძლია დავიცვათ კაპიტალიზმის შეხედულებები, ვინაიდან კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არაფერი საერთო არ არის. ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად უცქიროთ, თუ როგორ წყალში იყრება 30 წლის თავგანწირული მუშაობის შედეგები და როგორ უთანხმდებიან კაპიტალიზმს. ჩვენ წინადადებას ვიძლევით ჩატარებული იქნეს კონფერენციები და მიტინგები მთელს სახელმწიფოში, რათა პარტიის უბრალო წევრებს მიეცეს შესაძლებლობა გამოსთქვან თავიანთი აზრი“.

დასასრულ, მექსტონი და კუკი აღნიშნავენ, რომ კაპიტალიზმი დარჩა ისეთივე, როგორიც იყო, **და მოუწოდებენ ინგლისის მუშებს მიემხრონ იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს მის წინააღმდეგ.** (ადს)

**ინგლისის კომპარტიის განცხადება**

**ლონდონი**, 21 ივნისი. ინგლისის კომპარტიის სამდივნომ მექსტონის და კუკის წერილის გამო გამოაქვეყნა განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მექსტონის და კუკის წერილი არსებითად წარმოადგენს მხოლოდ „სანტიმენტალურ მოწოდებას“.

„მიუხედავად ამისა, ნათქვამია განცხადებაში, ეს წერილი ღირსშესანიშნავია, როგორც პირველი საჯარო გამოსვლა, რომელიც მოწმობს, რომ მუშათა პარტიის პარლამენტის ფრაქციის **რიგებში ადგილი აქვს განხეთქილებას. წერილის ავტორების მიერ აღნიშნული კონფერენციები წარმატებით ვერ ჩატარდება კომპარტიის მონაწილეობის გარეშე.** ამ კონფერენციებზე მიღებულ უნდა იქნეს რეზოლიუციები, რომლებიც უნდა აშკარავებდენ რეფორმისტების მოღალატეობას და შეიცავდენ განსაზღვრულ წინადადებებს რევოლიუციონური ბრძოლის წარმოების შესახებ. ინგლისის კომპარტია გადამეტებულ მნიშვნელობას არ აძლევს მოწოდებას და არ ვარდება ოპორტუნისტულ შეცდომაში. თუ კუკს და მექსტონს უნდათ რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა, ისინი არამც თუ უნდა დაუკავშირდენ კომპარტიას, არამედ უნდა სცნონ აგრეთვე კომპარტიის ხელმძღვანელი როლი“. (ადს)

**ინგლისის პრესის გამოძახილი**

**ლონდონი**, 21 ივნისი. ინგლისის პრესა ყურადღებით იხილავს მექსტონის და კუკის გამოსვლას, რომელსაც გაზეთების უმრავლესობა სთვლის მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის „კურსი“-ს გამომჟღავნებათ.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“ მექსტონის და კუკის გამოსვლას უძღვნის მოწინავე წერილს. მოწოდებას გაზეთი სთვლის „არალოღიკურად და უსარგებლოთ“, „ხოლო კუკისა და მექსტონის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს „დაუსაბუთებლად“. გაზეთი სასტიკად ილაშქრებს იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც ეხება პარტიის უბრალო წევრების კონფერენციების მოწვევას. (ადს)

### პოლემიკა იტალიისა და საფრანგეთის პრესას შორის

**რომი**, 21 ივნისი. უკანასკნელ დღეებში განახლდა პოლემიკა იტალიისა და საფრანგეთის პრესის შორის. პირველად იტალიური გაზეთები იყვნენ აღშფოთებული საფრანგეთის პრესის ნაწილის ანტი-იტალიური კომენტარიებით. შემდეგ ფაშისტური პრესა საფრანგეთის მთავრობას სდებდა ბრალს იმაში, რომ ის სამხრეთ-სლავიას და საერთოდ მცირე ანტანტას ამხედრებს იტალიის წინააღმდეგ. „ჯორნალე დ'იტალია“ ილაშქრებს „ტან“-ის წინააღმდეგ და ბრალს სდებს იმაში, რომ ის სცდილობს მცირე ანტანტა აამხედროს იტალიის წინააღმდეგ.

გაზეთი სწერს: „საფრანგეთის ცდა გამოაცოცხლოს მცირე ანტანტა, უნაყოფოა, ვინაიდან ინტერესების წინააღმდეგობა არსებობს მცირე ანტანტაში შემავალ ქვეყნებს შორის“ (ადს).

### პუანკარეს გამოსვლა

**პარიზი**, 21 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„დეპუტატთა პალატაში პუანკარემ განაცხადა, რომ აუცილებელია გაგრძელებულ იქნას ეროვნული მთლიანობის პოლიტიკა. უეჭველია,—სთქვა მან,—რომ პარლამენტი დიდი უმრავლესობით მოიწონებს ფრანკის სტაბილიზაციას.

პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობამ, მიუხედავად სპეკულიაციისა, შესძლო ფრანკის დაცემის შეჩერება და მისი კურსის აწევა.

შემდეგ პრემიერმა აღნიშნა, რომ წარმატებით მიმდინარეობს კონსოლიდაციის სესხზე ხელის მოწერა, რამაც საფრანგეთის ბანკს მისცა საშუალება მნიშვნელოვნად შეემცირებია ხაზინისათვის მისაცემი ავანსების რაოდენობა. სტაბილიზაციის გადადება, პუანკარეს აზრით, გამოიწვევდა ფასების აწევას და ახალ სპეკულიაციას ფრანკით (ადს).

### საბჭოთა შეკვეთები ინგლისში

**ლონდონი**, 21 ივნისი. ინგლისურმა ფირმამ „ძმანი პლატები“ (ლანკაშირში), რომელიც მანქანებს ამზადებს საფეიქრო მრეწველობისათვის, გამოაქვეყნა განცხადება, განცხადებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირმა გააფართოვა თავისი შეკვეთები საფეიქრო მოწყობილობისათვის, რომლის წინასწარი თანხა შეადგენდა 500.000 გირვ. სტერლინგს (შეკვეთები ჩაბარებულ იქნა საბჭოთა ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელ პირობებში, ვინაიდან ფირმამ ამ ორგანიზაციებს მისცა ფართო კრედიტი).

### აჯანყება გემზე

**ლონდონი**, 21 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება კოლომბოდან (ცეილონი), რომ ინგლისის კრეისერმა „ენტერპრაიზ“-მა მიიღო რადიო ავსტრალიის დიდ გემ „ჯერვისბეი“-დან, რომელიც უნდა მოსულიყო კოლომბოში. რადიოში ნათქვამია, რომ **გემზე მოხდა ამბოხება და ამბოხებულები დაწვას უპირებენ გემს.** „ჯერვისბეი“ მოითხოვს სასწრაფო დახმარებას, „ჯერვისბეი“-ს დასახმარებლად გაიგზავნა გემი „სლავოლ“-ი შეიარაღებულ მეზღვაურთა რაზმით (ადს).

**ამბოხება გემ „ჯერვისბეი“-ზე ჩააქრეს**

**ლონდონი**, 21 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: გემ „ჯერვისბეი“-ს კაპიტანი რადიოთი იტყობინება, რომ გემზე ყველაფერი უკვე თავის რიგზეა, 8 მეამბოხე დაპატიმრებულია (ადს).

### საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

**„პოლიტიკური ჰორიზონტი აღმოსავლეთ ევროპაში ღრუბლებით იფარება“**

**კოვნო**, 21 ივნისი. ოფიციოზი „ლეტუვოს აიდასი“ ათავსებს მოწინავე წერილს შემდეგი სათაურით „პოლიტიკური ჰორიზონტი აღმოსავლეთ ევროპაში ღრუბლებით იფარება“.

ოფიციოზი, მიუთითებს რა იმაზე, რომ საბჭოთა პრესა „სწორი პოლიტიკური ბარომეტრია“, აღნიშნავს, რომ საბჭოთა პრესა განგაშს სცემს, ვინაიდან ის ითვალისწინებს იმ ზეგავლენას, რომელსაც ადგილი ექნება ერთა ლიგის საბჭოს შემოდგომის სესიაზე ლიტვის მიმართ, იმ მიზნით, რომ ლიტვას აალებინონ ხელი ვილნოზე.

შემდეგ მოჰყავს რა საბჭოთა პრესის აზრი იმის შესახებ, რომ ინგლისი ამზადებს ანტისაბჭოთა ფრონტს და სცდილობს ამ ფრონტში ჩაითრიოს ლიტვა, გაზეთი ამბობს, რომ „პოლონეთს შეუძლია ჩაებას ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არა ინგლისის წყალობის გულისათვის, არამედ საკუთარი ინტერესებისათვის“.

გაზეთი აღნიშნავს რა, რომ საეჭვოა „მოსკოვს ან ვარშავას ეხლა სურდეს ომი“, სწერს:

„მოსკოვთან ერთად, რომელსაც არ სურს ომი, არის აგრეთვე მინსკი და ხარკოვი, სადაც სცხოვრობს მრავალი პოლიტიკური ემიგრანტი პოლონეთიდან, რომლებსაც ამოქმედებს შურისძიების გრძნობა და რომლებიც სცდილობენ თანამემამულენი აამხედრონ პოლონეთის წინააღმდეგ. თუმცა პოლიტიკას აწარმოებს მოსკოვი, მაგრამ მინსკსაც და ხარკოვსაც აქვს თავისი ხმა. რუსები ხედავენ, რომ პოლონეთი სასწრაფოდ ემზადება ომისათვის და არა მარტო იარაღდება, არამედ ანახლებს ხელშეკრულებას რუმინეთთან“.

აქედან გაზეთს გამოჰყავს დასკვნა, რომ „უინგლისოდაც დაგროვდა საკმაო ამაფეთქებელი მასალა და შეიძლება მოულოდნელად იფეთქოს ხანძარმა“ (ადს).

**„საშიში დაწესებულება“**

**ვარშავა**, 22 ივნისი. „გაზეტ ვარშავსკა“-მ მოათავსა წერილი სათაურით „საშიში დაწესებულება“; ეს წერილი სავსეა უხეში გალაშქრებით ლვოვში არსებულ საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ.

„შეცდომა იყო პოლონეთის მთავრობის მხრივ, — სწერს გაზეთი, — რომ იგი დასთანხმდა საბჭოთა საკონსულოს გახსნაზე ლვოვში. ნიადაგი ლვოვში მეტად მერყევია“.

გაზეთი ფიქრობს, რომ პოლონეთის მთავრობამ არ უნდა დაუშვას საბჭოთა საკონსულოს მუშაობა ლვოვში. გარდა ამისა, გაზეთი აღნიშნავს, რომ ვითომც საბჭოთა კავშირის კონსულმა ლვოვში, ლაპჩინსკიმ დაუშვა „უტაქტო მოქმედება“, რაიც გამოიხატა იმაში, რომ მან თავის მისალებ ოთახში ჩამოჰკიდა ტარას შევჩენკოს და ივან ფრანკის სურათები და ამით „დაამტკიცა თავისი სიმპატია უკრაინელთა მიმართ“ (ადს).

**„ჯაშუშობა“**

**ვენა**, 21 ივნისი. ბუქარესტის სამხედრო სასამართლოში დაიწყო იმ პირთა გასამართლება, რომელთაც ბრალად ედებათ ვითომც ჯაშუშობა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. პასუხისგებაშია მიცემული პორუჩიკი ჩეტატე და 13 თანამონაწილე, მათ შორის 3 ქალი. ხუთი ბრალდებული უკრაინელი გლეხებია. ყველა ბრალდებულები უარჰყოფენ თავის დანაშაულს და აცხადებენ, რომ ჩვენებანი, რომლებსაც მათ აკუთვნებენ და რომლებზედაც ვითომც ისინი აწერენ ხელს, ყალბია, ვინაიდან უმრავლესობა ბრალდებულებისა არის წერა-კითხვის უცოდინარი და არ შეუძლიათ საკუთარი გვარის ხელის მოწერაც კი.

განაჩენი ამ დღეებში იქნება გამოტანილი.

**საბერძნეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გარშემო**

**ათინა**, 21 ივნისი. საქმის მცოდნე წრეებში ფიქრობენ, რომ მიზეზი იმ კამპანიისა, რომელსაც ინგლისის პრესა და საბერძნეთის დაინტერესებული გაზეთები აწარმოებენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის წინააღმდეგ, არის ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის კონკურენცია საბერძნეთის ნავთის და ქვანახშირის ბაზარზე სასარგებლოა საბერძნეთისათვის და საზიანოა ინგლისისათვის.

**12.000 ტონა ნავთიდან, რომელიც 1927 წელში იქნა შეტანილი საბერძნეთში, 7.500 ტონა შეტანილი იყო საბჭოთა კავშირიდან.** ქვა-ნახშირის შეტანის მხრივ საბჭოთა კავშირს უჭირავს მეორე ადგილი, უშუალოდ ინგლისის შემდეგ (ადს).

### საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

**პარიზი**, 21 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციაზე ვაიან-კუტიურიემ გააკეთა მოხსენება „ლიუმანიტე“-ს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **მიუხედავად რეპრესიების გაძლიერებისა და ბრძოლისა დიდი გაზეთების ტრესტების მხრივ, „ლიუმანიტე“-ს ტირაჟი, რომელიც 1919 წელში—გათიშვის მომენტში უდრიდა 153 ათასს, ეხლა აღწევს 215 ათასამდე** (ადს).

## მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### „რატომ არ აძლევენ პასუხისგებაში“.

**მოსკოვი**, 22 ივნისი. „რაბოჩაია გაზეტა“-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „რატომ არ აძლევენ პასუხისგებაში“. წერილი ეხება სამელიორაციო მუშაობას ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში. ავტორი გადაჭრით სვამს საკითხს ამიერ-კავკასიის მელიორაციის დარგში მომუშავეთა სათანადოთ დასჯის შესახებ.

ტირიფონის ველის მოწყობა ნათქვამია წერილში, ჯერაც არ არის დასრულებული. მისი აღმშენებლები მოითხოვდნენ ფულს და დიდი ხანია ატყუებდნენ მოსკოვს, რომ სამუშაოები დასრულებულია.

აზერბეიჯანის წყალთა სამმართველომ შემოიღო პირადი მიმდინარე ანგარიშები. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ იმ განზრახვით, რომ დაეფარა მის განკარგულებაში არსებული თანხები შემოიღო ბეს შეტანის სისტემა. იძენდნენ სრულიად უვარგის მასალებს და ამაზე იხარჯებოდა ასეული ათასი.

კარა-სახკალის არხის სამუშაოებზე ტყუილ უბრალოდ დაიხარჯა 99 ათასი მანეთი. ტირიფონის ველის არხის გაყვანა იჯარით მიეცა კერძო პირს, ისე რომ საჯარო ვაჭრობა არ მომხდარა.

ყველა ეს ბოროტმოქმედებანი გამოამჟღავნა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ. ეს იცის ყველამ. საჭიროა დაუყონებლივ გამოვიყვანოთ ბოროტმოქმედნი მზის სინათლეზე. სახალხო მეურნეობის მავნებლები პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი.

თავის დროზე, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე რესპუბლიკანურმა ორგანოებმა, როცა მათ მოისმინეს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება — მიაქციეს ყურადღება ამ საკითხს და შესაფერისად შეაფასეს ის.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულ გამოკვლევის შემდეგ, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მოხსნილ იქნა თანამდებობიდან აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი სეიდ-ვეილი. ამავე სამმართველოს ტეხნიკური განყოფილების უფროსი ინჟ. კონდრატიევი და სხვები. ზოგიერთი მათგანი, როგორც მაგალითად ინჟ. კაჩერგინი მიცემულია პასუხისგებაში და დაპატიმრებული.

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს საქმის შესახებ კი საყვედური გამოეცხადა სამმართველოს ყოფ. უფროსს ბახტაძეს, ალაზნის არხის სამუშაოთა უფროსს ინჟ. მამრაძეს, პროფ. მიკულინს და სხვებს.

რედ.

### დიდი ხანძარი ვოლსკში

**მოსკოვი**, 22 ივნისი. დღეს აქ უკვე მიღებულია დაწვრილებითი ცნობები დიდი ხანძრის შესახებ ქ. ვოლსკში (სარატოვის გუბერნია). ცეცხლმა მიიღო განმანადგურებელი ხასიათი იმის გამო, რომ ქალაქში თითქმის არ იყო ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რაიმე ტეხნიკური მოწყობილობა. დამწვარია 108 სახლი. უსახლკაროდ დარჩენილთ დახმარებას უწევს წითელი ჯვრის სარატოვის განყოფილება. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. არის რამდენიმე მძიმედ დაჭრილი.

## ღამის ცნობები

### სისხლის მღვრელი შეტაკებები საბერძნეთში

ათინა, 22 ივნისი. გაფიცვის გამოცხადებამ ყველგან გამოიწვია ჟანდარმებთან შეტაკება. დრამეში, ერთ დიდ შენობაში, სადაც ახლად დასრულებული იყო გაფიცულთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, აფეთქდა ჯოჯოხეთის მანქანა. კავალში დაპატიმრებულია 100-ზე მეტი კაცი, მათ შორის საგაფიცვო კომიტეტის მთელი შემადგენლობა. ქსანტაში ჟანდარმები დაუზოგველად ხოცავენ ქუჩებში მუშებს, საპოლიციო სამმართველოებში დაპატიმრებულებს სასტიკად სცემენ.

ქსანტაში გაფიცვების დაწყებიდან დღემდე მოკლულია 9 და მძიმედ დაჭრილია 60 მუშა. სერრეში პროფკავშირების შენობა დაიკავა ჟანდარმერიამ. კავალში დააპატიმრეს მეთამბაქოე მუშათა პროფკავშირის გამგეობის წევრები, რომლებიც შემდეგ გემზე გადაიყვანეს, ხოლო გემი სად წავიდა არავინ იცის.

გაფიცვების შესახებ მოსული ცნობებიდან ჩანს, რომ მუშათა კლასი ყველგან საბრძოლველად არის განწყობილი. გაფიცულები მტკიცედ იცავენ თავის მოთხოვნილებებს ყველა პროლეტარულ ცენტრებში (ადს).

### დარბაზობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან იაპონიაში

ტოკიო, 22 ივნისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში ტროიანოვსკიმ 21 ივნისს გამართა დარბაზობა, რომელზედაც მიწვეული იყო პრემიერ ტანაკა და გარეშე საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირნი.

იუწყებიან, რომ საღამოს მონაწილეებმა ისარგებლეს შემთხვევით და ერთმანეთს გაუზიარეს თავისი შეხედულებანი ყველა აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის; ლაპარაკი იყო კერძოდ თევზის საჭერ სარეწაოების საკითხზე (ადს).

### უნგრეთი კონცესიებს იძლევა სესხში

ვენა, 22 ივნისი. უნგრეთის პარლამენტში გაირჩა საკითხი უნგრეთში ასანთის მრეწველობაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ, რითაც დაკანონებული იქნება ასანთის წარმოების მონოპოლიის გადაცემა შვეცია-ამერიკული ტრესტისათვის. სამაგიეროდ უნგრეთის მთავრობა მიიღებს სესხს 36 მილიონი დოლარი რაოდენობით.

ეს თანხა დაურიგდება მემამულეებს იმ მიწების საფასურად, რომლებიც ჩამორთმეული იყო აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით.

კანონპროექტის განხილვისას პარლამენტში ადგილი ჰქონდა მღელვარე სცენებს. დემოკრატიული ოპოზიციის ორატორების სიტყვით, ასეთ პირობებში მონოპოლიის გადაცემა ხელს შეუშლის სესხის მიღებას საზღვარ-გარეთ, ვინაიდან ყველასათვის აშკარა იქნება, რომ მიღებულ სესხებში უნგრეთი იძლევა არა მარტო პროცენტებს, არამედ კონცესიებსაც.

### სად არის ამუნდსენი?

მოსკოვი, 22 ივნისი. ნობილეს დამხმარე თავდაცვა-ავიაქიმის კომიტეტმა მოსკოვში მყოფ ნორვეგიის მისიისაგან მიიღო ცნობა, რომ ამუნდსენისა და მასთან ერთად გაფრენილი ფრანგი ავიატორებისაგან არავითარი ცნობა არაა მიღებული. შესაძლებელია, რომ ამუნდსენი იძულებული გახდა დაშვებულიყო შპიცბერგენის აღმოსავლეთ ნაწილის რომელიმე ადგილას.

კომიტეტმა უბრძანა გემ „მალიგინს" ნობილესათვის დახმარების აღმოჩენასთან ერთად დაიწყოს ამ რაიონში ამუნდსენისა და მისი თანამგზავრების ძებნაც.

### ცნობები ნობილესაგან

რომი, 22 ივნისი. სტეფანის სააგენტო იტყობინება: ნობილესაგან მიღებულია ცნობები, რომ ის და მისი ამხანაგები გულის ფანცქალით შეჰყურებდნენ მფრინავ მადალენას აეროპლანს რამოდენიმე პაკეტის ჩამოგდების დროს გაფუჭდა, რადგანაც პარაშუტი არ ვარგოდა და თავის დროზე არ გაიშალა. ამის გამო ნობილე თხოულობს სხვა აკუმულიატორებს.

შემდეგ ნობილე იძლევა რჩევას, რომ გაგზავნონ რამოდენიმე იტალიური აეროპლანი და ერთი აეროპლანი სპეციალური მოწყობილობით, რომ შესაძლებელი გახდეს ნობილეს ჯგუფის წევრების აყვანა აეროპლანზე. როგორც კი მისი რადიო სადგური ნორმალურად დაიწყებს მუშაობას, იგი რჩევა-დარიგებას მისცემს აეროპლანებს დირიჟაბლთან დარჩენილ ჯგუფის მოძებნის მეთოდის შესახებ.

ნობილედან ამბების გადმოცემა მოულოდნელად შესწყდა, რადგანაც კინგსბეი მოიცვა სქელმა ნისლმა (ადს).

## ნობილეს და ამუნდსენის დასახმარებლად

### სად არის ამუნდსენი?

ოსლო, 21 ივნისი. პრესა ეხება აეროპლან „ლატამ"-ის დაკარგვას, რომლითაც გაფრინდნენ გილბო, ამუნდსენი და დიტრიხსენი, და აღნიშნავს, რომ ამუნდსენი გაფრენის წინ განსაკუთრებით დაინტერესებული იყო „იტალია"-ს ეკიპაჟის იმ ნაწილით, რომლის მდგომარეობაც განსაკუთრებით საშიშარი იყო. გაზეთების აზრით, ამუნდსენი პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ გაფრინდა.

პოლიარულ ქვეყნების მკვლევარმა ხელმა, რომელიც ექსპერტად გაჰყვა ყინულის მჭრელ „კრასინ"-ს, განაცხადა, რომ მდგომარეობა საშიშარი ხდება. მისი აზრით, საჭიროა, რომ „კრასინ"-მა დაუწყოს ძებნა „ლატამ"-ს, მაგრამ „მალიგინ"-ი კი უნდა მოემზადოს „ლატამ"-ისათვის დახმარების აღმოსაჩენად. (ადს).

### მადალენამ გადაუგდო სურსათი ნობილეს

რომი, 21 ივნისი. სტეფანის სააგენტოს ცნობით, მფრინავ მადალენასაგან მიღებულია ცნობები, რომ მან მოახერხა 300 კილოგრამი სურსათის გადაგდება ნობილეს ჯგუფისათვის. მადალენა დაბრუნდა კინგსბეიში (ადს).

### გილბოს საძებნელად

პარიზი, 21 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საზღვაო სამინისტრომ გადასწყვიტა გაგზავნოს შპიცბერგენზე გილბოს საძებნელად კრეისერი „სტრასბურგ"-ი (ადს).

### შვეციის ექსპედიციები

რომი, 21 ივნისი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ რიისერ-ლარსენის გარდა შვეციის ორი მფრინავიც გაფრინდა ნობილეს საძებნელად. თუმცა ნობილემ გარკვევით დაინახა ისინი, მაგრამ მათ მაინც ვერ შეამჩნიეს ნობილეს ჯგუფი (ადს).

### ყინულის მჭრელი „კრასინ„-ი

მოსკოვი, 22 ივნისი. 21 ივნისს ყინულის მჭრელი გემი „კრასინ"-ი მშვიდობიანად შევიდა ბერგენ-ფიორდში (ადს).

### რადიო „მალიგინ"-იდან

მოსკოვი, 22 ივნისი. ყინულის მჭრელი „მალიგინ"-ი 21 ივნისს გაჩერდა ყინულებთან. ყინულზე დაუშვეს აეროპლანი. 22 ივნისს ბაბუშკინი ბორტ-მექანიკოს გროშევთან ერთად გაფრინდება პირველ დაზვერვის მოსახდენად მეფე კარლოსის მიწაზე. ყინულების დნობის და გზის განთავისუფლების შემდეგ „მალიგინ"-ი წაიწევს ჩრდილოეთისაკენ, რათა ყინულებიდან აიყვანოს ნობილე და აგრეთვე მეორე ჯგუფი (ადს).

### გილბოს ექსპედიციის დასახმარებლად

ოსლო, 21 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „უკანასკნელ დღეებში ირჩევა სხვადასხვა პროექტები საფრანგეთის აეროპლან „ლატამ"-ისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. აეროპლანზე იმყოფებიან გილბო, ამუნდსენი და დიტრიხსენი. ჯერ ჯერობით გარკვეული გადაწყვეტილება არ არის მიღებული. „ლატამ"-ის კომანდას აქვს ორი კვირის საკმაო სურსათი" (ადს).

### „ლატამ„-ის ძებნა

ოსლო, 23 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ კრეისერმა „ტორდენსკიოლდ"-მა მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ გავიდეს „ლატამ"-ის საძებნელად.

კრეისერის ბაქანზეა ჰიდრო აეროპლანი, რომელიც იფრენს „ლატამ"-ის საძებნელად ნორვეგიასა და შპიცბერგენს შორის.

ორ ნორვეგიელ მფრინავს მიეცა ბრძანება დაუყოვნებლივ გაფრინდნენ „ლატამ"-ის საძებნელად შპიცბერგენის დასავლეთ ნაპირის გასწვრივ (ადს).

## ტრანს-ატლანტიური გადაფრენა

### ზეიმი გადაფრენის მონაწილეთა პატივსაცემად

ბერლინი, 21 ივნისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„მფრინავები, რომლებმაც მოახდინეს გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე, მიიღო რეიხს-კანცლერმა მარქსმა, რომელმაც მათ პატივსაცემად გამართა საუზმე; საუზმეზე მიწვეული იყვნენ მთავრობის წევრები, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩი ბერლინში შერმანი და ყველა სამინისტროების უმაღლესი თანამდებობის პირები. რეიხს-კანცლერის სასახლიდან გამოსვლისას მფრინავებს აღტაცებული „ვაშა"-ს ძახილით შეეგება სასახლის წინ თავმოყრილი დიდძალი ხალხი.

21 ივნისს მფრინავები კელი, გიუნფელდი და ფიცმორისი მიიღო ჰინდენბურგმა, რომელმაც მიულოცა მათ გაბედული გადაფრენის წარმატებით დამთავრება, გამოჰკითხა მათ დაწვრილებითი ცნობები გადაფრენის შესახებ და სამივე მფრინავს გადასცა ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული თავისი სურათები წარწერით".

## პროფ. პარგონის დაპატიმრება

ვენა, 21 ივნისი. რუმინეთის სიგურანცას და ოხრანკას ორგანოს „უნივერსული"-ს ცნობით, ბუქარესტში დაპატიმრებულია უნივერსიტეტის პროფესორი პარგონი, რომელსაც ბრალად ედება კავშირის დაჭერა რემედასის გერმანულ სექციასთან და რემედასის წევრების შეგროვება; მას ბრალს სდებენ აგრეთვე იმაში, რომ ის სათავეში ედგა მუშათა დამხმარე კომიტეტს ბუქარესტში (ადს).

## გერმანიის კონსორციუმი თურქეთში

ანგორა, 21 ივნისი. ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის სამრეწველო ჯგუფმა თურქ ინჟენრების ჯგუფთან ერთად შექმნა კონსორციუმი, რომელიც შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა გადასცეს მას მთელი რიგი რკინიგზების გაყვანა.

ჯგუფის კაპიტალი სჭარბობს ერთ მილიონ მანეთს. ამ ჯგუფს ხელს უწყობენ გერმანიის ყველაზე უფრო გავლენიანი ბანკები (ადს).

## სხვადასხვა

### გაფიცვა ანტვერპენის ნავთსადგურში

პარიზი, 21 ივნისი. 18 ივნისს ანტვერპენის ნავთსადგურში დაიწყო ნავთსადგურის მუშების გაფიცვა, რომელიც თანდათან ფართოვდება. გაფიცულებს შეუერთდენ ზედამხედველები. გაფიცულია 12 ათასზე მეტი მუშა. ნავთსადგურში მუშაობა შეწყვეტილია. გემები მიდიან სხვა ნავთსადგურებისაკენ (ადს).

### მუშა კომუნისტების საქმე მარიამპოლში

კოვნო, 21 ივნისი. ამ დღეებში მარიამპოლში გაარჩიეს 10 მუშის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდა კომპარტიის წევრობა. ორ ბრალდებულს მიუსაჯეს დაპატიმრება ექვსი თვით, დანარჩენებს საკატორღო მუშაობა 1-დან 2 წლამდე (ადს).

### გრიგალი

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. უკანასკნელი ცნობებით, გრიგალი კანზასის და ოკლაგომას შტატებში კვლავ მძვინვარებს. გრიგალის მიერ მიყენებული ზარალი რამოდენიმე მილიონამდე აღწევს (ადს).

### როგორ „მუშაობდენ" პერსელი და ხოლსუორტი ინდოეთში

ლონდონი, 21 ივნისი. კალკუტის გაზეთი „ფორუორდ"-ი (სვარაჯისტების პარტიის ოფიციალური ორგანო) ამჟღავნებს პერსელისა და ხოლსუორტის მუშაობას. გაზეთი აცხადებს, რომ მის განკარგულებაში არსებული ცნობების მიხედვით, პერსელი და ხოლსუორტი, რომლებიც მოქმედობდნენ ტრედიუნიონების გენსაბჭოს დირექტივების თანახმად, სცდილობდნენ მიემხროთ ინდოეთის პროფკავშირები და აემხედრებიათ ისინი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ (ადს).

### სოციალ-დემოკრატების სიმპატია ფოლადის მუზარადისადმი

ბერლინი, 21 ივნისი. დურგალთა კავშირის ჰამბურგის საოლქო ორგანიზაციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკად გმობს კავშირის წევრს, სოციალ-დემოკრატს, პოლიციის უფროსს, იმისთვის, რომ ის თანაგრძნობით შეხვდა ფოლადის მუზარადის მიერ ჰამბურგში გამართულ აღლუმს (ადს).

### „უმაგალითო გამოწვევა"

პარიზი, 21 ივნისი. „ტან"-ი კომენტარიებს უკეთებს ვოლდემარასის გამოსვლას ლიტველ მსროლელთა ყრილობაზე და მის განცხადებას იმის შესახებ, რომ „დადგება დრო, როცა ლიტველი მსროლელნი შევლენ ვილნოში"-ო, უწოდებს „უმაგალითო გამოწვევას", რომელიც მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ ამ განცხადებას შეუერთდა ლიტვის სამხედრო მინისტრი, რომელიც აგრეთვე დაესწრო ყრილობას (ადს).

## საბჭოთა კავშირში

### 300 მილიონი შრომის დაცვისათვის

მოსკოვი, 22 ივნისი. შრომის ეკონომიკის განყოფილებათა გამგეების საკავშირო ყრილობაზე მოხსენება შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამხ. ემდინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ხარჯები შრომის დაცვისათვის განუწყვეტლივ იზრდება. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში შრომის დაცვაზე განზრახულია დაიხარჯოს 300 მილიონი მანეთი. (ადს).

### დიდი ხანძარი სამარყანდში

სამარყანდი, 22 ივნისი. 20 ივნისს სადგურ სამარყანდში გაჩნდა დიდი ხანძარი. დაიწვა საქონლით დატვირთული ათი ვაგონი და ერთი სამგზავრო ვაგონი. ზარალი 600000 მანეთს უდრის (ადს).

### მასწავლებელთა და ექიმთა რეზოლიუცია

კიევი, 22 ივნისი. ჟიტომირის მასწავლებელთა და ექიმთა საერთო-საქალაქო კრებაზე საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოსმენილ მოხსენებების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ჩვენ მკაცრ პასუხს გავსცემთ უკრაინის საზღვარგარეთელი ბურჟუაზიის ყველა თავხედურ ცდებს. საბჭოთა კავშირში კომპარტიის ხელმძღვანელობით სავსებით სწორად არის გადაწყვეტილი ეროვნული საკითხი და არავითარი „დამოუკიდებელი უკრაინა" არ გვსურს, გარდა საბჭოთა უკრაინისა (ადს).

### „სტუდენტები—რევოლიუციას„

ხარკოვი, 22 ივნისი. ხარკოვის სტუდენტთა მრავალრიცხოვანმა კრებამ დაადგინა დაიწყოს სტუდენტებს შორის შემოწირულებათა შეგროვება ჰაეროპლან „სტუდენტი—რევოლიუციას" ასაგებად (ადს).

### ბოროტმოქმედება ნოვოროსიის ნავთსადგურში

მოსკოვი, 22 ივნისი. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ნოვოროსიის ნავთსადგურში ბოროტმოქმედების ჩამდენთა საქმეზე. მათ ბრალად ედებოდათ მექრთამეობა, უყაირათობა და მთელი რიგი სხვა ბოროტმოქმედებანი. ნავთსადგურის უფროსს ერემენკოს მიუსაჯეს 10 წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით, მთავარ ინჟენერს კურილენკოს—ხუთი წლით, დანარჩენებს—დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

### ქარიშხალი

ოდესა, 22 ივნისი. მესამე დღეა, რაც ზღვაზე საშინელი ქარიშხალი მძვინვარებს. უკრაინაზე გადავლილი ციკლონი შავი ზღვის ნაპირებისაკენ წავიდა (ადს).

### ქლოროფორმის ქარხანა

კიევი, 22 ივნისი. ამუშავებულ იქნა „უფრმედტორგის" ქლოროფორმის ქარხანა, რომელიც 1 ნახ. წლის განმავლობაში შეჩერებული იყო (ადს).

### პამირის ექსპედიცია

ანდიჟანი, 22 ივნისი. გერმანულ-საბჭოთა კავშირის პამირის ექსპედიცია წავიდა ქალაქიდან. ექსპედიციის ქარავანი შესდგება 40 აქლემისა, 100 ცხენისა და 160 სახედარისაგან, ექსპედიციის შემადგენლობაში შედის 55 კაცი [illegible] რაზმის ჩათვლით (ადს).

### სამგზავრო მატარებლის დამტვრევა

მოსკოვი, 22 ივნისი. 21 ივნისს, დილით მოსკოვ-კურსკის რკინისგზაზე დაიმტვრა მატარებელი № 6, რომელიც სამხრეთიდან მიდიოდა მოსკოვში. მიუხედავად იმისა, რომ სემაფორი დახურული იყო, მატარებელი 80 კილომეტრის სისწრაფით (საათში) მიდიოდა და გადავარდა იმ ადგილას, სადაც ლიანდაგზე სცვლიდენ შპალებს. მგზავრთაგან მოკვდა 3, მძიმედ დაიჭრა რვა, მსუბუქად—ექვსი კაცი. დაზარალებულთ დახმარება აღმოუჩინეს. სწარმოებს კატასტროფის მიზეზების გამოკვლევა (ადს).

### მენდელეევის სახელობის ყრილობა

ყაზანი, 22 ივნისი. შესდგა მენდელეევის სახელობის ყრილობის უკანასკნელი სხდომა.

პროფესორმა ფავორსკიმ უკანასკნელ სიტყვაში სთქვა:

„ყრილობა გაფანტავს ეჭვებს, რომ ვითომც ძველ კადრებს არ ჰყავთ შემცვლელნი. ძველი კადრების შემცვლელად მოდის ცოდნით შეიარაღებული და მხნე ახალგაზრდობა. საბჭოთა კავშირი შეიძლება იყოს დამშვიდებული: მას ჰყავს კვალიფიციური ქიმიკოსები.

### ა.-კ. მებამბეობის რაიონების გამომკვლევი კომისიის მოხსენება

მოსკოვი, 22 ივნისი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს კოლეგიამ მოისმინა ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონების გამომკვლევი კომისიის მოხსენება.

კომისიამ გამოიკვლია მუღანის და მილის ველები, რათა გამოერკვია წყალთა მეურნეობის რეორგანიზაციის და ბამბის პლანტაციების გაფართოების შესაძლებლობა ამ რაიონებში. მუშაობის შედეგად გამორკვეულია, რომ წყალსაცავის მოწყობით შესაძლებელია არაქსის წყალით მოირწყას 478.000 ჰექტარი ბამბის სათესი მიწები მუღანის და მილის ველებზე. ამისათვის საჭირო იქნება 145 მილიონი მანეთი. ამასთანავე, თუ არაქსზე მოეწყო წყალსაცავი, 478.000 ჰექტარის გარდა შესაძლებელი იქნება 70.000 ჰექტარის მორწყვა სპარსეთის მუღანში. მუშაობა მთელი ამ სივრცის მოსარწყავად შეიძლება დამთავრებულ იქნას 14 წლის განმავლობაში. მიწების მორწყვა დაკავშირებულია მძლავრი ჰიდრო-სადგურების მოწყობასთან. ეს ჰიდრო-სადგურები 700—800 მილიონ კილოვატ საათ იაფ ენერგიას მიაწოდებენ ბაქოს რაიონის მრეწველობას და აგრეთვე ახალ მრეწველობას, რომლის განვითარება მოსალოდნელია შემდგომ წლებში. მორწყულ ახალ სივრცეზე შეიძლება მოთავსდეს 60.000-მდე გლეხური მეურნეობა. ბამბით შეიძლება დაითესოს 150—190 ათასი ჰექტარი. ეს სივრცე მინიმალური მოსავლიანობის დროს მოგვცემს 100.000 ტონაზე მეტ ნედლ ბამბას, ხოლო კარგი მოსავლის დროს—180.000 ტონაზე მეტს. მუშაობა ამ ველების მოსარწყავად შეიძლება დაიწყოს რამოდენიმე რიგად. პირველ რიგში დაახლოებით 9 წლიწადში შეიძლება დამთავრდეს 175.000 ჰექტარის მორწყვა მუღანის ველზე და 38.000 ჰექტარის—მილის ველზე. ამ მიწების მორწყვა შეიძლება წყალსაცავების მოუწყობლად.

კოლეგიამ აღიარა, რომ კომისიის მუშაობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. გადაწყვეტილია აღიძრას შუამდგომლობა შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რომ ანალოგიური მუშაობა ბამბით დასათეს ახალი სივრცების გამოსარკვევად ჩატარებულ იქნას აგრეთვე შუა აზიაშიაც.

სასურველია ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნას მებამბეობის მთავარი კომიტეტი და ს. მ. უ. საბჭოს სხვა ორგანოები. ამასთანავე მუშაობის სათანადო გეგმა უნდა შესდგეს 1928—29 წლის განმავლობაში. (ადს).

### სამრეწველო საქონლის მიწოდება მეოთხე კვარტალში

მოსკოვი, 22 ივნისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა სამრეწველო საქონლის მიწოდების გეგმები მეოთხე კვარტალისათვის.

ბამბის ქსოვილების მიწოდების გეგმა დამტკიცებულია 8.596 ვაგონის რაოდენობით. აქედან ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნება 300 ვაგონი, შუა აზიაში—900 ვაგონი.

მაუდის და მატყლის ქსოვილები ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნება 750.000 მანეთის, შუა აზიაში 900.000 მანეთის.

ფეხსაცმელები ამ. კავკ. შემოზიდული იქნება 2 ნახ. მილიონ მანეთის, უზბეკისტანში—1.250.000 მანეთის, თურქმენისტანში—350.000 მანეთის (ადს).

### „სიბრევკომი"-ს ნახვა

ნოვოსიბირსკი, 22 ივნისი. აეროპლან „სიბრევკომ"-ის მოსაძებნად შექმნილმა კომიტეტმა მიიღო ცნობა აჩინსკიდან, რომ აეროპლანი აღმოაჩინეს ბირიულისინის რაიონში სოფელ კეტოვის მახლობლად. აეროპლანი ჩავარდა ჭაობში. ჭაობის სივრცე უდრის ერთ ნახევარ კვადრატულ კილომეტრს. აეროპლანი გვერდით არის ჩავარდნილი და მასთან მისვლა მხოლოდ ნავით შეიძლება. როგორც ჩანს თვით აეროპლანთან არავინ მისულა, მას მხოლოდ მიუახლოვდნენ დაახლოებით 50 მეტრის მანძილზე. მფრინავების ბედი გამოურკვეველია. შეიძლება ისინი აეროპლანის შიგნით არიან, ან მდინარე ჩულიმით მიდიან დასახლებულ პუნქტებისაკენ.

ოლმასკომი გზავნის ექსპედიციას მატორიანი ნავით აეროპლანის და მფრინავების გადასარჩენად.

შესაძლებელია, რომ აეროპლანის ეკიპაჟი დაიღუპა. ეკიპაჟი შესდგებოდა მფრინავ ისკეს, ბორტ-მექანიკოს ბრიანცევის და ბიისკის გაზეთ „ზვეზდა ალტაია"-ს კორესპონდენტისაგან (ადს).

### ყირიმის რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარის საქმე

სიმფოროპოლი, 22 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) საოლქო საკონტროლო კომისიის კოლეგიამ სასამართლოს გადასცა ყირიმის რესპუბლიკის განათლების ყოფ. სახალხო კომისარის უსეინ-ბალიჩეს საქმე, რომელმაც პარტიას დაუმალა თავისი კონტრრევოლიუციონური წარსული; უსეინ-ბალიჩე ჰფარავდა ყირიმის ცაკის ყოფილი თავმჯდომარის ველი იბრაგიმოვის ზოგიერთ ბოროტმოქმედებას (ველი იბრაგიმოვი უზენაეს სასამართლოს განაჩენით დახვრეტილ იქნა კონტრრევოლიუციონურ ანტისაბჭოთა და სისხლის სამართლის დანაშაულისათვის), მან სამსახურში ჩაიდინა მთელი რიგი სიყალბე, ამასთანავე იგი ხელს უწყობდა ანტისაბჭოთა ელემენტებს. უსეინ-ბალიჩე გამორიცხულია პარტიიდან (ადს).

### სანაოსნო საზოგადოების მთავარი ინჟენერის დაპატიმრება

ბლაგოვეშჩენსკი, 22 ივნისი. დაპატიმრებულია ამურის სახელმწიფო სანაოსნო საზოგადოების მთავარი ინჟენერი ბურიატსკი, რომელსაც ბრალად ედება ეკონომიურ კონტრრევოლიუციასთან დაკავშირებული ბოროტმოქმედებანი. გემების რემონტი, რომელთა გამოშვების გარანტიას ბურიატსკი კატეგორიულად იძლეოდა ნავიგაციის დაწყების პერიოდისათვის, დამთავრდა დაგვიანებით და არადამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული. გამოძიებას აწარმოებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი (ადს).

ხაბაროვსკი, 22 ივნისი. საოლქო პროკურატურის ცნობებით, ბლაგოვეშჩენსკში დაპატიმრებულ მთავარ ინჟენერ ბურიატსკის ბრალად ედება საზიანო მუშაობის სისტემატიურად წარმოება. ბურიატსკის მუშაობამ დიდი ზარალი მიაყენა სახელმწიფოს (ადს).

## შახტის კონტრ-რევოლ. გასამართლება

### 21 ივნისის დილის სხდომა

### ბრალდებულ ოტოს დაკითხვა

მოსკოვი, 22 ივნისი. 21 ივნისს პროცესის დილის სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებული ოტო, გერმანიის ქვეშევრდომი, გერმანიის საყოველთაო ელექტრონული კომპანიის ინჟენერი, რომელიც ჩამოვიდა მისი ფირმისაგან შეძენილი ტურბინის დასადგმელად დონბასის ერთ-ერთ მაღაროში.

ოტო ლაპარაკობს რუსულად, ის დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში.

ამხ. ვიშინსკის კითხვაზე პოლიტიკურ შეხედულებების შესახებ ოტო აცხადებს, რომ ის არავითარ პარტიას არ ეკუთვნის, მაგრამ ამავე დროს არის ფაშისტურ ორგანიზაცია „ფოლადის მუზარადის" წევრი 1925 წლიდან. წინასწარ გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებში ის ამბობდა, რომ რუსეთში გამგზავრების წინ გამოვიდა „ფოლადის მუზარადიდან". მაგრამ ეხლა ოტო უარყოფს ამას. „ფოლადის მუზარადის" წევრობასთან ერთად ოტომ მოახერხა „ახალ რუსეთის მეგობართა" საზოგადოებაში შეძრომა.

ოტო უჩვენებს, რომ 1927 წელს საფხულში ბერლინიდან საბჭოთა კავშირში გამგზავრების წინ მან ინახულა ბაშკინი, რომელმაც სთხოვა მას წაეღო საბჭოთა კავშირში საწვიმარი პლაშჩი მის ძმა აბრამისათვის, რომელიც მსახურობდა დონბასში. ოტომ ჩამოიტანა პლაშჩი ხარკოვში და მისწერა ბაშკინს, რომ გაეგზავნა ვინმე ამანათისათვის. თვით ბაშკინი მასთან არ მისულა და ბრალდებული პირველად ხედავს მას პროცესზე.

შემდეგ ოტო ამტკიცებს, რომ მას არავითარი წერილები არავისთვის არ ჩამოუტანია, კაზარინოვს ის არ იცნობს და მას ხედავს პირველად.

პირისპირ შესახვედრად გამოძახებული კაზარინოვი კატეგორიულად აცხადებს, რომ ოტო იყო მასთან, გადასცა მას წერილი ბერლინიდან და უთხრა, რომ ეს უნდა ჩაბარდეს მატოვს.

### ბრალდებულ მეიერის დაკითხვა

სასამართლო გადადის ბრალდებულ მეიერის დაკითხვაზე.

მეიერი არის გერმანიის ქვეშევრდომი, გერმანიის საყოველთაო ელექტრონის კომპანიის მონტიორი, რომელსაც ბრალად ედება ის, რომ მისი საშუალებით ბერლინის ცენტრს კავშირი ჰქონდა გაბმული ხარკოველ დამზიანებლებთან და რომ მან ბაშკინს მისცა მითითებები ტურბინების გაფუჭების შესახებ ვლასოვკის მაღაროთა სამმართველოში. მეიერმა არ სცნო თავი დამნაშავედ.

როლი, რომელსაც ბრალდებული მეიერი თამაშობდა ძმებ ბაშკინებსა და ბერლინის და „დონუგოლის" ცენტრებს შორის კავშირის გაბმაში, და მისი მავნებლური მუშაობის ხასიათი ვლასოვკაში ტურბინის დადგმის დროს, უკვე ცნობილია ბრალდებულ ბაშკინის ჩვენებიდან.

მეიერი სასამართლოში უარყოფს ყოველგვარ ფაქტებს, რომლებიც ამჟღავნებენ მის კავშირს დამზიანებელთა ორგანიზაციასთან. უარყოფს მეიერი აგრეთვე იმასაც, რომ მას ბაშკინთან ჰქონდა ლაპარაკი ვლასოვის მაღაროთა სამმართველოში ტურბინების გაფუჭების მეთოდის შესახებ.

მეიერი ამტკიცებს, რომ მას არ გადაუცია ბაშკინისათვის მისი ძმის დავალება მანქანის გაფუჭების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით დაკითხული ბრალდებული ბაშკინი ამბობს, რომ მეიერმა ვლასოვკაში უჩვენა ბაშკინს მისთვის უცნობი ნაწილები ტურბინისა და სხვათა შორის აუხსნა, თუ როგორ შეიძლება ამ ტურბინის გაფუჭება. შემდეგში მეიერმა უთხრა ბაშკინს, რომ ის იცნობს მის ძმას, რომ ძმისაგან აქვს დირექტივა საზიანო მუშაობის შესახებ და რომ მეიერის ახსნა-განმარტებები ტურბინის მოხმარების შესახებ მიზნად ისახავენ ამ დირექტივების განხორციელებას ბაშკინის მიერ.

მეიერი უარყოფს ამას.

სხდომა იხურება საღამომდე.

* * *

სასამართლოს გამოძიება მალე დამთავრდება. სასამართლომ დაჰკითხა 39 ბრალდებული. დარჩა კიდევ 4 კაცი: ბოიარშინოვი ხარკოვის ცენტრიდან, სკარუტო, იმენიტოვი და რაბინოვიჩი მოსკოვის ცენტრიდან.

სასამართლომ უნდა მოისმინოს აგრეთვე ექსპერტიზის დასკვნა. მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხება დამზიანებელთა ორგანიზაციის ურთიერთობას საზღვარგარეთთან, განხილულ იქნება სპეციალურ დახურულ სხდომაზე.

მომავალ კვირაში, ალბად, დაიწყება მხარეების კამათი.

21 ივნისს სასამართლოს საღამოს სხდომაზე ბრალდებულ მეიერის დაკითხვის დროს დიპლომატების ლოჟაში იჯდა გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში გრაფი ბროკდორფ-რანცაუ.

### 21 ივნისის საღამოს სხდომა

### მეიერის დაკითხვის გაგრძელება

21 ივნისის საღამოს სხდომაზე ბრალმდებელი ამხ. როგინსკი შეეკითხა მეიერს იმ ფულის შესახებ, რომელიც, ბაშკინის სიტყვით, მას ჩამოუტანა მეიერმა. მეიერი კატეგორიულად უარყოფს ამას და ამტკიცებს, რომ არავითარი ფული ბაშკინისათვის მას არ ჩამოუტანია მისი ძმისაგან და არ გადაუცია.

სასამართლომ გამოიძახა ბაშკინი, რომელიც კატეგორიულად ამტკიცებს, რომ მეიერმა მას ბერლინიდან ჩამოუტანა 300 თუ 400 მანეთი. შემდეგ ბაშკინი აცხადებს, რომ მეიერმა არამც თუ მისცა მას მითითებები ტურბინის გაფუჭების შესახებ, არამედ აგრეთვე საერთოდ ურჩია დაეწყო მსხვილი მანქანების თანდათანობითი დაზიანება.

### მატოვის დაკითხვა

შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული მატოვი.

დაწყებული 1926 წლიდან მატოვი მუშაობდა ხარკოვში დონუგოლში ახალ მაღაროთა მშენებლობის გამგედ.

მატოვის სიტყვით ორგანიზაცია დაარსდა 1924 წელს. იქამდის მხოლოდ ცალკე ინჟენერებს ჰქონდათ კავშირი საზღვარგარეთ გაქცეულ მეპატრონეებთან კერძოთ დვორჟანჩიკთან. მატოვი დაწვრილებით იმეორებს სუშჩევსკის მიერ უკვე მოთხრობილ ეპიზოდს, თუ როგორ მიიღეს 1924 წელს დვორჟანჩიკის წერილი და ინსტრუქცია არა მარტო საინფორმაციო ხასიათის ცნობების მიწოდების შესახებ, არამედ აგრეთვე მავნებლობის შესახებ მაღაროებში. 1924 წელს მატოვი სთვლის დამზიანებელთა ორგანიზაციის დაარსების თარიღათ.

1926 წელს ორგანიზაციაში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილებები, სახელდობრ,—ხარკოვში ცნობების მიღება მოსკოვიდან და კავშირი მოსკოვის ცენტრთან. მატოვმა მიიღო დავალება საზღვარგარეთთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ და გაემგზავრა საზღვარგარეთ მივლინებაში. (ადს).

## მხურვალე სალამი მუშაკთა ახალ კადრს

(ქართულ მუშფაკის კურსდამთავრებულთა მეექვსე გამოშვება)

ამხ. კახიანის სახელობის მუშფაკის კურსდამთავრებულთა მე-6 გამოშვების სახით საქართველოს მუშებსა და გლეხებს ემატება მომზადებულ მუშაკების ახალი კადრი.

ოთხი წლის განმავლობაში მიღებული ცოდნა ამ კადრმა უნდა გადაიტანოს წარმოებებში, სოფლად და მოახმაროს მშრომელ მასების კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას.

მე-15 პარტყრილობამ განსაკუთრებით მკაფიოდ წამოაყენა საკითხი კულტურულ ფრონტზე მუშაობის გაძლიერების შესახებ, ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში ჩვენ მოგვიხდება ხანგრძლივი და ენერგიული ბრძოლა კულტურული რევოლიუციის მოსახდენად, ამ საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ მუშფაკში კურსდამთავრებულმა ამხანაგებმა, რომლებიც დაკავშირებული არიან საქართველოს სხვა და სხვა რაიონებსა და წარმოებებთან.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული მუშფაკიდან გამოშვებული ამხანაგების ნაწილი უეჭველია დაუბრუნდება თავის წარმოებებს და სოფლებს, აქ მათ გაეშლებათ მუშაობის თვალუწვდენელი ასპარეზი: კულტურის შეტანა სოფლად, საბჭოების გამოცოცხლება, წერა-კითხვის უცოდინარობის, სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნოების და მრავალ დრომოჭმულ ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლა—აი ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად უნდა იმუშაოს ცოდნით შეიარაღებულ ახალმა კადრმა.

მიმდინარე წლის გამოშვების სტუდენტთა დიდი ნაწილი ერთ და იმავე დროს მუშაობდა წარმოებაში და მეცადინეობდა მუშფაკში. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა მუშფაკმა, თავის პედაგოგიური პერსონალის დაუღალავი შრომით, შესძლო სათანადოთ მოემზადებია სოციალიზმის მშენებელთა ახალი კადრი. ეს კადრი მართალია მრავალრიცხოვანი არ არის, მაგრამ მას საკმაო მომზადება აქვს იმისთვის, რომ შეასრულოს პატიოსანი მუშაკის მოვალეობა ჩვენი ქვეყნის წინაშე.

1927—28 სამოსწავლო წელს ქართული მუშფაკი უშვებს 112 კაცს, ამათგან პარტიის წევრია—28, კანდიდატი—17, კომკავშირელი—37, უპარტიო—30; სოციალური მდგომარეობით: მუშა—69, გლეხი—28, მოსამსახურე—15.

ვუსურვებთ ამხანაგებს ნაყოფიერ მუშაობას.

თ. ფ—ლი.

---

დღეს მოხდება ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართული მუშფაკის კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება. ეს გამოშვება რიცხვით მეექვსეა. გამოცდები ჩააბარა 147 მსმენელმა, მათ შორის 15 ქალმა. კურსდამთავრებულთა შორის 105 ფიზიკური მუშაა, 26—გლეხი და 27 გონებრივი მუშაკი.

სულ დაარსების დღიდან მუშფაკმა გამოუშვა 479 მსმენელი, რომლებიც ამჟამად სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში.

დღეს საღამოს მუშფაკის შენობაში შესდგება საზეიმო საღამო. მუშფაკელების ძალებით დადგმული იქნება პიესა. გამოსაშვებ ზეიმზე დასასწრებათ მოწვეული არიან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## ა.-კ. იუსტიციის სახ. კომისართა მესამე თათბირი

21 ივნისს თბილისში ამხ. ნაზარეტიანის თავმჯდომარეობით გაიხსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების იუსტიციის სახ. კომისართა და უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მესამე თათბირი.

პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. აშრაფიანის მოხსენება—წვრილ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევათ სოფლის სასამართლო ორგანოების დაარსების შესახებ.

მომხსენებელი ამბობს, რომ წელიწად ნახევარზე მეტია რაც ეს საკითხი წამოიჭრა პრესაში და სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში. პარტიის მიერ მოცემული იყო დირექტივა, რომ საქმეების გარჩევა დაუახლოვდეს მასას—სოფელს. ეს დირექტივა ნაწილობრივ განხორციელდა მით, რომ ჩატარდა სასამართლოს ძველი ორგანოების, საოლქო სასამართლოების რეორგანიზაცია. მაგრამ დირექტივა უნდა შესრულდეს მთლიანათ და სოფელში უნდა მოეწყოს ისეთი სასამართლო ორგანოები, რომლებიც შესძლებენ წვრილი საკითხების ისე გადაწყვეტას, როგორც ამას მოითხოვს პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და მუშათა კლასი.

ამ ორგანოების მოწყობა სოფლად გამოწვეულია აგრეთვე რეალური მოთხოვნილებებით, ვინაიდან წვრილი საქმეები უმეტეს შემთხვევაში ვერ აღწევენ სასამართლომდე, მათ ადგილობრივათ სწყვეტენ სოფლად.

ასეთი საკითხების გადასაწყვეტათ სომხეთში სოფლის საბჭოებთან დაარსებულია სპეციალური სექციები, რომელშიაც შედის 5—8 კაცი. სომხეთში სულ შექმნილია 712 სასამართლოს სექცია 4836 წევრით. აქედან 4.500 მამაკაცია და 243 ქალი. სექციაში შედიან საშუალო შეძლების და ღარიბი გლეხები, ასე რომ მათი სოციალური შემადგენლობა სრულიად დამაკმაყოფილებელია. თვითეულ სექციაში თვიურათ შემოდის 4—6 საქმე.

ჯერ ჯერობით სექციებისათვის დაქვემდებარებული საქმეები ძალიან შეზღუდულია, მაგრამ სექციის პრაქტიკის ზრდის თანაბრად განზრახულია თანდათანობით გაფართოვდეს მათი ქვემდებარე საქმეების წრე.

სომხეთში სასამართლოს სექციები მოქმედებენ 6 თვეა და ამ ხნის დაკვირვებამ ჩვენ დაგვარწმუნა საქმის სწორათ დაყენებაში. ამავე ხნის განმავლობაში ამ სექციებმა მოიპოვეს მასის ნდობა. კულაკები გაურბიან სექციას და ცდილობენ საქმე ისე მოაწყონ, რომ იგი დაექვემდებაროს არა სექციას, არამედ სახალხო სასამართლოს.

მომხსენებლის აზრით ამ ორგანოების განაჩენის გასაჩივრება არ უნდა მოხდეს სახალხო სასამართლოში, ვინაიდან ამით დაიტვირთება ისედაც საქმეებით დატვირთული სახ. სასამართლო; სახ. სასამართლოებს უნდა დაეკისროს სექციების ინსტრუქტაჟი.

ამხ. ვარძიელი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ სომხეთში ახლათ მოწყობილი სასოფლო სასამართლოების სტრუქტურა შეუძლებელს ხდის იუსტიციის სახ. კომისარიატისთვის ამ ორგანოების კონტროლსა და ხელმძღვანელობას, ვინაიდან ეს ორგანოები უშუალოთ დაკავშირებული არ არიან იუსტიციის სახ. კომისარიატთან. საქართველოში ჩატარებული ცდების შემდეგ საქართველოს იუსტიციის სახ. კომისარიატმა გამოიტანა დასკვნა, რომ უკეთესია თემსაბჭოებთან მოეწყოს „მომრიგებელი სასამართლო კამერები". რომლების განაჩენი საბოლოო იქნება. მომხსენებლის აზრით ასეთი კამერების მოწყობა აუცილებელია, ვინაიდან წვრილმანი საქმეების გასაჩივრებით დატვირთული არიან სახალხო სასამართლოები და ამ საქმეების გარჩევა გრძელდება რამოდენიმე თვე, თვით საქმე კი თავისი მნიშვნელობით მეტად მცირეა.

ზედამხედველობა მომრიგებელ სასამართლო კამერებზე ევალება სათანადო სახალხო სასამართლოს და პროკურორს, რომელთაც—თუ დაინახავენ რომ განაჩენი სწორათ არ არის გამოტანილი, შეუძლიათ გააუქმონ განაჩენი და საქმე გადასცენ გასარჩევათ ამავე კამერის სხვა შემადგენლობას.

ამხ. ველიბეკოვის მოხსენებიდან ირკვევა, რომ აზერბეიჯანის იუსტიციის სახ. კომისარიატის პროექტით განზრახულია სოფლის საბჭოსთან მოეწყოს კომისია (სექცია); კომისიის თავმჯდომარედ გამოყოფილი უნდა იქნეს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, ხოლო სახალხო მსაჯულები არჩეული უნდა იქნან სოფლის ყრილობის მიერ.

აზერბეიჯანის პროექტით გაფართოებულ უნდა იქნეს კომისიისთვის დაქვემდებარებული როგორც სამოქალაქო აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეების წრე. კომისიის განაჩენი გასაჩივრებული უნდა იქნეს სოფლის საბჭოს პრეზიდიუმში.

## პარტიული ცხოვრება

### თვითგანვითარების საქმე უნდა მოგვარდეს

(წინადადების წესით)

სოციალისტური აღმშენებლობის საკითხები მოითხოვენ სისტემატიურ და მედგარ მუშაობის წარმოებას იმისათვის, რომ ამაღლებულ იქნას მასების თეორეტიული დონე და გაფართოვდეს პარტიული, პროფკავშირის და საბჭ. აქტივი. აქტივის აღზრდის მთავარი საშუალებაა პრაქტიკული მუშაობა მასიურ ორგანიზაციებში (პარტია, საბჭოები, კოოპერაცია, პროფკავშირები, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი), სკოლებში და კურსებზე მეცადინეობა და თვითგანვითარება.

სკოლების გარეშე დარჩენილი აქტივის დიდი ნაწილი აწარმოებს პრაქტიკულ მუშაობას მასიურ ორგანიზაციებში, მაგრამ მისი კვალიფიკაციის ამაღლების საქმე ძლიერ ნელი ნაბიჯით ვითარდება. ამ შემთხვევაში თვითგანვითარებას უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია ამ აქტივისათვის. თვითგანვითარება ახალი საქმეა, მაგრამ მას თანდათან მეტი და მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ის სერიოზულ ადგილს დაიკავებს ჩვენს კულტურულ მშენებლობაში.

თვითგანვითარებითი მუშაობა ჯერ-ჯერობით სუსტად არის დაყენებული. ყველა სახის თვითგანვითარებით ქსელში გასულ სამოსწ. წელს საქართველოში ჩაბმული იყო დაახლოებით 1500 კაცი, რაც არაა საკმარისი.

მიუხედავად იმისა, რომ თვითგანვითარებითი მუშაობას დიდი პერსპექტივები აქვს, ის შედარებით ძლიერ ცოტა ხარჯებს ითხოვს და უფრო კარგ შედეგებსაც იძლევა. განათლების ეს მძლავრი იარაღი ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის. სახალხო განათლების და პროფკავშირის ორგანოები თითქმის არაფერს არ ხარჯავენ თვითგანვითარების საქმისათვის. „ვისაც სურს დაე, თვითონ იმუშაოს თვითგანვითარების გზით", ასე ფიქრობენ ჩვენში, ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში. თვით განვითარებითი მუშაობა დღემდე ბიუჯეტის გარეშე იმყოფება. გასულ წელში ზოგიერთი ორგანიზაციები შეუდგენ თვითგანვითარების მუშაობის საკითხის მოგვარებას, მაგრამ ეს მუშაობა მალე შეჩერდა.

თვითგანვითარებითი მუშაობა და ხელმძღვანელობა თავმოყრილი უნდა იქნეს სახალხო განათლების ორგანოებში. პარტორგანიზაციებს ხელში უნდა დარჩეს მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობა. თვითგანვითარებისა და პოლიტთვითგანვითარების უშუალოდ მოწყობის საქმე უნდა დაეკისროს აგრეთვე პროფკავშირებსაც. საჭიროა თვითგანვითარების ორგანიზატორების და კონსულტანტების შერჩევა-აღრიცხვა ადგილებზე.

ამასთანავე სახალხო განათლების, პროფკავშირების და კოოპერაციის ორგანოების მიერ უნდა შეიქნას სპეციალური ფონდები იმ მუშების, მოსამსახურეების, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხობის დასახმარებლად, რომლებსაც სურვილი აქვთ ისწავლონ. თუ ასეთი დახმარება არ გაუწიეთ მცირე შეძლების მუშებს და გლეხებს, ისე მათი თვითგანვითარებით მუშაობაში ჩაბმა შეუძლებელი გახდება. ბიბლიოთეკებთან უნდა შეიქნას თვითგანვითარების ქსელში მოსწავლეთა დამხმარე ლიტერატურის ფონდი.

პოლიტთვითგანვითარების საქმის გასაფართოებლად აუცილებელია ა.-კ. კომუნივერსიტეტთან და საბჭოთა პარტიულ სკოლებთან მოეწყოს დაუსწრებელი სწავლება პარტიის წევრებისა და კომკავშირელებისათვის.

თვითგან. წრეების და ცალკე თვითმოსწავლეთა პროგრამები უნდა შეეფერებოდეს მათ ინტერესებს და მრავალფეროვან მოთხოვნილებებს. სწავლება უნდა მოეწყოთ არა სასკოლო პროგრამებზე, არამედ ისე, როგორც ამას მოითხოვს თვითმოსწავლებელთა ინტერესები. 1925 წ. და 1927 წ. თვითგანვითარების საკითხზე მოწვეულმა საკავშირო თათბირმა ხაზი გაუსვა მცირემცოდნეთა შორის თვითგანვითარების მოწყობის საჭიროებას. ეს დადგენილება გატარებულ უნდა იქნას ცხოვრებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თვითგანვითარების მუშაობის ჩამორჩენა სოფლად. ეს მხედველობაში უნდა მიიღონ სოფლად მომუშავე ამხანაგებმა. ამასთანავე ცხადია, რომ თვითგანვითარება ყოვლად შეუძლებელია უწიგნოთ. აქ წიგნი მასწავლებლის მაგიერობას ეწევა, ქართულ ენაზე კი თვითგანვითარების შესახებ ლიტერატურა სრულიად არაა. აუცილებელია ამ ნაკლის გამოსწორება.

დაბოლოს ყურადღება უნდა მივაქციოთ კონსულტაციის და რეცენზიის კარგად დაყენებას. უამისოთ თვითგანვითარების საქმე ვერ გაფართოვდება და ვერავითარ ნაყოფს ვერ მოგვცემს. საჭიროა თვითგანვითარებას მეტი ყურადღება მიექცეს ჩვენში, პირველ ყოვლისა პარტიულ ორგანოების მიერ. თვითგანვითარება უნდა გადავაქციოთ აქტივის კვალიფიკაციის ამაღლების მძლავრ იარაღად.

დ. ო—ძე.

### უჯრედების მდივანთა თათბირი

(დ. ველისციხე, სიღნაღის მაზრა)

ველისციხეში ჩატარებულ იქნა კომუჯრედის მდივნებისა და ბიუროს წევრების თათბირი, თათბირის მთავარი მიზანი იყო გამორკვევა მოჯამაგირეების მატერიალური, უფლებრივი მდგომარეობა და სამომხმარებლო კოოპერატივის მუშაობა.

მოჯამაგირეთა შორის წარმოებული მუშაობის უფრო დეტალურად შესასწავლად თემკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ წინასწარ გამოიკვლია მიწა-ტყის კავშირის მუშაობა.

ადგილკომის მოხსენების და კომისიის თანამოხსენებიდან კი გამოირკვა, რომ ამ დარგში მომუშავე ამხანაგებს დღემდე ვერ შეუგნიათ მუშაობის ფორმები და მეთოდები, რის გამოც იდენენ აუარებელ შეცდომებს: აი ზოგიერთი მაგალითი: ველისციხის მიწა-ტყის კავშირის ადგილკომი იმის ნაცვლად, რომ გააჯანსაღოს ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა, ღებულობს კავშირში საშუალო გლეხებს იმ მოტივით, რომ უკანასკნელნი პარტიის წევრები არიან. ადგილკომმა არც კი იცის რამდენი წევრი ირიცხება მის სამოქმედო რაიონში, მას ერთხელაც არ მოუწვევია ეკონომიური კომისიის თათბირი, აგრეთვე არ ექცევა ყურადღება მოჯამაგირეების ეკონომიური ინტერესების დაცვას. მოჯამაგირეები, უმეტეს ნაწილად მთებში ყოფნის გამო, ვერ ესწრებიან პარტიის, კომკავშირის და ღარიბი გლეხობის კრებებს. თათბირმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები, აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სამომხმარებლო კოოპერატივის მიერ არ არის შესრულებული ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივები, კოოპერატივის აპარატში ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯები 20 პროც. ნაცვლად დღემდე შემცირებულია მხოლოდ 6,9 პროც.; რაც დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ „ეპოს" გამგეობაში არის ორი აქტიური წევრი. მათში არც ერთს არ აქვს დავალებული ტეხნიკური სამუშაო. თათბირმა საჭიროდ სცნო გამგეობის ერთ წევრს დაევალოს ხაზინადარის ანდა საწყობის გამგის თანამდებობის შესრულება, რაც შეამსუბუქებს ხარჯებს. თათბირმა დაადგინა აგრეთვე, რომ „ეპოს" სავაჭრო განყოფილებები გადავიდენ მოლარეების გარეშე ვაჭრობის პრაქტიკაზე და თვითეული განყოფილების პასუხისმგებლობა დაეკისროს ნოქარს. ამ გზით ჩვენ შევძლებთ შტატიან ადგილის შემცირებას.

ი. ქოჭუა.

## კომკავშირში

### გადამწყვეტი ბრძოლა ლოთობას

(საოლქო კომიტეტის მიმართვა)

ძვირფასო ამხანაგებო!

ალკოჰოლი—ჩვენი უბოროტესი კლასობრივი მტერია.

ლოთობას მოსდევს გარყვნილება, სისხლის სამართლის დანაშაული, გაფლანგვა, საზოგადოებრივ ინტერესების აბუჩად აგდება და სხვა ბოროტმოქმედება, რომელიც დაუშვებელია პროლეტარულ-ბოლშევიკურ წრეში. სისტემატიური ლოთობა იწვევს პიროვნების სრულ გახრწნას, ფიზიკურად დაავადმყოფებას და ჭკუაზე შერყევას. ლოთობა აჩლუნგებს მუშა-ახალგაზრდობის კლასობრივ შეგნებას და ამცირებს მის როლს და მნიშვნელობას საამშენებლო მუშაობაში, დიდ გავლენას ახდენს საწარმოო დისციპლინის შესუსტებაზე, აუძლურებს საწარმოო ძალებს, ადიდებს დღეების გაცდენისა და სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევებს, ხელს უშლის ახალი ადამიანის აღზრდასა და ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნას. ლოთობის გავრცელება აქტივის წრეში დამღუპველ გავლენას ახდენს მთელი ორგანიზაციის მუშაობაზე, ასუსტებს ინტერესს კავშირის მუშაობისადმი და ხცემს ხელმძღვანელ წრეების ავტორიტეტს.

მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გადამწყვეტი ბრძოლა ამ სოციალურ საფრთხესთან, რომელშიაც ყველაზე უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კომკავშირმა. ამ ამოცანის სწორად გადაჭრა დიდათ შეამცირებს ავადმყოფურ მოვლენებს ორგანიზაციაში, განამტკიცებს კომკავშირის გავლენას მუშათა და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის ფართო ფენებზე, გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალგაზრდობის მონაწილეობის ტემპს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

საკ.ა.ლ.კ.კ ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს განზრახული აქვს შექმნას ნებაყოფლობითი საზოგადოება—„ლოთობასთან მებრძოლი ლიგა". ამ საზოგადოების ამოცანებს შეადგენს—სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობასა და მოზარდ მოსახლეობაში ლოთობის გავრცელების წინააღმდეგ და ყველა იმ სოციალურ უბედურებათა ახსნა-განმარტება, რომლებიც ალკოჰოლის ხმარებიდან წარმოსდგება.

„ლოთობასთან მებრძოლ ლიგის" შესაქმნელად კავშირის კომიტეტებმა მუშათა და მთელ მშრომელ ახალგაზრდობაში უნდა მოაწყონ მასიური მოძრაობა, რომელიც მიმართული იქნება ამა თუ იმ წარმოებასა, დაწესებულებასა ან სოფელში გავრცელებულ ლოთობასთან კოლექტიურ ბრძოლისაკენ. ამისათვის მიზანშეწონილია ალკოჰოლის მოხმარების კოლექტიურად შეწყვეტა, მთვრალის დაჯარიმება უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ და კულტურული მუშაობის საჭიროებისათვის, პრესაში გამოწვევა და ნებაყოფლობითი შეჯიბრების სხვა სახეები. „ლოთობასთან მებრძოლი ლიგის" შესაქმნელად საჭიროა ახალგაზრდობისა და მოზარდი მოსახლეობის სპეციალური კრებების მოწვევა, კედლის გაზეთებისა და ბეჭდვითი სიტყვის გამოყენება, სანიტ.-ჰიგიენური ლექციების და საუბრების მოწყობა და ამ საქმეში ექიმების ჩაბმა.

კომკავშირის კომიტეტებმა უნდა შექმნან უჯრედების საინიციატივო მოძრაობა და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ადგილობრივ ორგანიზაციებს, პროპაგანდისტებისა და ორგანიზატორების გაგზავნით. ყოველმა აქტიურმა კომკავშირელმა უნდა ითავოს წრეების მოწყობა და პირადი მაგალითით გასწიოს აგიტაცია ალკოჰოლის ხმარების წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ცალკე ამხანაგების საგიტაციო სიტყვასა და ყოველდღიურ საქმეს შორის დიდი განსხვავება აღმოჩნდება (არ შესწყვეტენ ლოთობას)—მაშინ საჭიროა ასეთი ამხანაგების საჯაროდ გაკრიტიკება და მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი და მკაცრი ზომების მიღება.

ყოველმა უჯრედმა ენერგიულად უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საზოგადოების ნებაყოფლობითი წრეების შექმნას, გამოუცხადოს ბრძოლა წარმოებაში ლოთობის გავრცელებას და გასწიოს პროპაგანდა ალკოჰოლის წინააღმდეგ ყოველმა კომკავშირელმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს „ლოთობასთან მებრძოლ ლიგის" მუშაობაში.

ჩვენი მორიგი ამოცანა—კლასობრივი მტრის—ალკოჰოლის დამარცხებაა.

ს.ა.ლ.კ.კ. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის მდივანი ახუნდ ზადე.

ს.ა.ლ.კ.კ. ამიერ-კავკ. საოლქო საკონტ. კომისიის თავმჯდომარე ქ. გეგეჭკორი.

### ბიუროების გადარჩევა

#### მოძრაობის დარგის უჯრედში

საქ. თბილისის მოძრაობის დარგის ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიუროს გადარჩევა წარმატებით ჩატარდა. გამოიყო თვით გადამსინჯავი კომისია, რომელმაც შეამოწმა ბიუროს მუშაობა და გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთ „ნიშანსვეტის" სპეციალური ნომერი.

საარჩევნო კრებაზე ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა უჯრ. მდივანი ამხ. მ. კუპაძე.

მიღწევებს გარდა,—ამბობს მომხსენებელი,—ბიუროს მუშაობაში იყო ნაკლიც. არ ექცეოდა სათანადო ყურადღება მასიურ მუშაობას; აგიტკომისიის გეგმების დამტკიცების მეტი არაფერი გაკეთებულა. ადგილი ჰქონდა დისციპლინის სისუსტეს.

— ბიურომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს უჯრედის წევრთა გასამხედროებას. ამ მიზნით საჭიროა ცოცხალი კავშირის დაჭერა წითელ ჯართან და სამხედრო წრის მოწყობა.

— ზოგიერთი კომკავშირელი ქალი მანიკიურს იკეთებს, ხელზე ბეჭედს ატარებს და საერთოდ არა კომუნისტურად იქცევა. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

— კომკავშირელი ბუაჩიძე სისტემატიურად „ირთობდა" თავს აზარტულ სათამაშოებით. ოლკომმა უნდა დაადასტუროს მისი გარიცხვა.

— განზრახული იყო სამაგალითო კონდუქტორთა გუნდის შედგენა კომკავშირელებისაგან. ბიუროს ეს საქმე ჯერაც არ გაუკეთებია.

— მართალია, გაუმჯობესდა კომკავშირელთა მონაწილეობა თავისუფალ ორგანიზაციებში, მაგრამ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა საშეფო სოფელს.—აღნიშნავენ კამათში გამოსული ორატორები. ამას გარდა ნაწილი ორატორებისა ეხებიან კლუბორიგის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას; კომკავშირელთა სუსტ მონაწილეობას საწარმოო თათბირის საქმიანობაში და სხ.

კრებამ ბიუროს მუშაობა მოიწონა და აირჩია კონდუქტორთა უჯრედის ბიურო. სადგურში მომუშავეთა უჯრედის ბიუროს არჩევნები ამ დღეებში მოხდება.

ი. ლი.

#### თბილისის საქონლის სადგურში

საქონლის სადგურის ა.ლ.კ.კ. უჯრედის კრებამ, რომელიც 2 სხდომაზე გაგრძელდა, მოისმინა უჯრედის ბიუროს ანგარიში.

კამათში მონაწილეობა მიიღო 16 ამხანაგმა. ორატორები—ლუტიძე, ნიჟარაძე, სიხარულიძე, სალუქვაძე, ანდღულაძე, მგელაძე, ოსმანიშვილი და სხვები აღნიშნავდენ, რომ უჯრედში საგრძნობლად მოისუსტებს ქალთა შორის მუშაობა, კომკავშირელები იშვიათად იწერენ კომკავშირულ გაზეთებს; სამხედრო წრეს არ ჰყავს სათანადო ხელმძღვანელობა, ზოგიერთი ამხანაგი რამოდენიმე თვის განმავლობაში არ იხდიდენ საწევრო გადასახადს; კომკავშირელები სუსტ მონაწილეობას იღებდენ თავისუფალ ორგანიზაციებში და სხვა.

კრებამ ახალ ბიუროს მისცა პრაქტიკული წინადადებები.

ჯ—ვი.

#### უჯრედი ქვრივ-ობლებს ეხმარება

(სოფ. ხაშმი, თბ. მაზრა)

სოფ. ხაშმის ქ. კავშირის უჯრედს ყავს გამოყოფილი შაბათობის კომისია, რომელიც ხშირად აწყობს კომკავშირელების კოლექტიურ გამოსვლას ქვრივ-ობლებისა და წითელ-არმიელების ოჯახების დასახმარებლად. ამას წინად კომისიის ხელმძღვანელობით უჯრედი დაეხმარა ერთ ქვრივს, ვაზის გათოხნაში, კომისიას აქვს სამუშაო გეგმა. გლეხობა დიდათ კმაყოფილია უჯრედის საქმიანობით.

მურავიოვი.

## ელექტრო-აღმშენებლობის გამოკვლევა

ბათომში ჩავიდნენ საკავშირო ფინსახკომის წარმომადგენელი ინჟ. ა. რასკატოვი და საქ. ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ზ. ჭიჭინაძე, რომლებმაც დაათვალიერეს რიონჰესის, აბჰესის და აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო სამუშაოები.

ჰიდრო-ელსადგურების მშენებლობის შესახებ ინჟ. ზ. ჭიჭინაძემ ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გადასცა, რომ აჭარის-წყალის ჰიდროელსადგურზე ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს სადერივაციო გვირაბის შიგნითა კედლების ამოსაშენებლად და მთავარი საგუბრის ბეტონის კბილის გასაკეთებლათ. წინასწარი გამოანგარიშებით მომავალი წლის სამუშაოების შესასრულებლად საჭირო იქნება 850.000 მან.

ინჟ. ზ. ჭიჭინაძემ და საკავშირო ფინსახკომის წარმომადგენელმა ინჟ. ა. რასკატოვმა დაათვალიერეს აგრეთვე აბაშის ჰიდროელსადგური. ეს სადგური უკვე ორი თვეა მუშაობს და დღემდე მის მუშაობაში შენიშნული არ ყოფილა არც ერთი დეფექტი. სადგური დაუბრკოლებლივ აწვდის ენერგიას ახალსენაკსა და ფოთს. გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობს სადგურიდან ქუთაისისა და ხონამდე ელექტრო გადამცემი ხაზის გასაყვანად. შემდეგ ეს ხაზი გაყვანილი იქნება აგრეთვე სამტრედიამდე; ხაზების გაყვანასთან დაკავშირებით საჭიროა, რომ სადგურზე დაიდგას მეორე აგრეგატი. მეორე აგრეგატის დადგმას შეუდგებიან ნოემბერში.

რიონის ჰიდრო-ელსადგურის აღმშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. სამუშაოები მოწყობილია თანამედროვე ტეხნიკის ყველა საშუალებებით. ამჟამად გაცხარებული მუშაობა სწარმოებს მთავარი საგუბარის მარჯვენა ნაწილის ასაგებათ. საგუბარის ადგილას გაყავთ წყლის გადასაშვები კედელი. საგუბრის აშენება დაიწყება მომავალი საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან. დაწყებულია აგრეთვე სადერივაციო გვირაბის გაყვანა. თანახმად პროგრამისა, ნოემბრისათვის გვირაბი გათხრილი იქნება 250 მეტრის სიღრმეზე.

ინჟ. რასკატოვს გადაეცა აგრეთვე დიდძალი მასალები მდ. გალიდგაზე (აფხაზეთი) ახალი ჰიდრო-ელსადგურის აგების შესახებ. ეს სადგური საჭირო იქნება ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობისათვის.

ინჟ. რასკატოვმა ამასთანავე პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ ამიერ-კავკასიაში ელექტრო-აღმშენებლობის გამოკვლევის შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ, მიუხედავად ზოგიერთი დეფექტებისა, მთლიანად ელექტრო-აღმშენებლობა ამიერ-კავკასიაში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. შედარებით უფრო ცუდადაა საქმე აჭარის წყალის ჰიდროელსადგურზე, სადაც პირველი პროექტი, რომლის თანახმადაც მუშაობა სწარმოებდა, უკვე უარყოფილია. ინჟ. რასკატოვის გადმოცემით, მთავარ ჰიდრო-ტეხნიკურ საბჭოში ამჟამად იხილავენ აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის ახალ საამშენებლო პროექტს, რომლითაც ამ სადგურის აგება დაჯდება 1.500.000 მანეთით ნაკლები.

## ხილის სახმობი და საკონსერვო ფაბრიკები

უკანასკნელ წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეხილეობისა და მებოსტნეობის საქმეს.

გადაწყვეტილია მეხილეობა-მებოსტნეობას მიეცეს სამრეწველო ხასიათი და ამით შეიქმნეს პირობები მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით, ამჟამად მთელ რესპუბლიკაში ყოველ წლიურად მოდის 10 მილიონი ფუთი ხილი, მაგრამ მისი უმეტესი ნაწილი ადგილობრივ რჩება და ფუჭდება.

დასავლეთ საქართველოში ადგილობრივად რჩება ხილის მოსავლის 70 პროცენტი, აღმოსავლეთ საქართველოში—50 პროცენტი. ამას გარდა 3-4 მილიონი ფუთი ხილი იღუპება მოუხმარებლად ან არაჯად ხდიან.

მეხილეობისათვის სამრეწველო ხასიათის მიცემა და ხილის გადამუშავების საქმის ფართოდ მოწყობა დიდ შემოსავალს მისცემს საქართველოს, რომელსაც მეხილეობის მდიდარი რაიონები მოეპოვება, ხელს შეუწყობს გლეხების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას და შექმნის ხელსაყრელ პირობებს მეხილეობის განვითარებისათვის.

მეხილეობის უმთავრეს რაიონებში უკვე დაწყებულია ხილის გადასამუშავებელი ფაბრიკების მოწყობა.

ამჟამად გორში შენდება ახალი საკონსერვო ფაბრიკა, რომელიც წლიურად დაამზადებს 120.000 ფუთ კონსერვს.

ამას გარდა გორის მაზრის სოფლებში—შინდისში და მეჯვრისხევში და ქ. ახალციხეში შენდება ხილის სახმობი ფაბრიკები.

მარტო საკონსერვო ფაბრიკის ასაგებათ გადადებულია 664.000 მანეთი. მისი აგება სავსებით დამთავრდება მომავალ წელში. ფაბრიკის მიერ დამზადებულ 120.000 ფ. კონსერვიდან 55.000 ფ. იქნება ხილის კონსერვი, ხოლო 55.000 ფუთი ბოსტნეულის და 10.000 ტომატის.

ქარხანაში მუდმივად იმუშავებს 120 კაცი.

მეჯვრისხევის და შინდისის ხილის სახმობი ფაბრიკების აგება დაჯდება 280.000 მანეთი, ორივე ფაბრიკა წლიურად გადაამუშავებს 200.000 ფუთ ხილს.

ახალციხის ფაბრიკაც იმდენივე პროდუქციას მოგვცემს, რამდენსაც შინდისის და მეჯვრისხევის ქარხნები. სამივე ფაბრიკა წლიურად გადაამუშავებს 300-400.000 ფუთ ნედლ ხილს.

ყველა ამ ფაბრიკების აგება დაჯდება 1.084.000 მანეთი.

## საამშენებლო სამუშაოები ფოთის ნავთსადგურში

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ფოთის ნავთსადგურის უფროსის თანაშემწემ (ტეხნიკურ ნაწილში), ინჟენერმა კოლოსოვსკიმ განაცხადა:

„ამჟამად სწარმოებს მუშაობა ჩრდილოეთის ჯებირის ასაგებად. ამ ჯებირის დამთავრების შემდეგ ფოთის ნავთსადგურში შეიქმნება ფართო წინა ნავთსაყუდი, რომელშიაც შეიძლება ყოველგვარი გემების შესვლა ამინდის მიუხედავად. ჯებირის სიგრძე იქნება 523 მეტრს. მექანიზაციის შემოღებამ მასივების და მასივები ჯებირისათვის მზადდება პირდაპირ ფოთის ნავთსადგურში—მასივების დამამზადებელ პარკში. მასივების დამზადება სწარმოებს მექანიკური წესით. ბეტონიერკის გამტარუნარიანობა 8 საათის სამუშაო დღის განმავლობაში უდრის 35-დან 40-მდე კუბიკურ მეტრს. მექანიზაციის შემოღებამ მასივების დამამზადებელ პარკში თვალსაჩინოდ შეამცირა მასივების დამზადების ღირებულება, გაადიდა მუშების ხელფასი და შრომის ინტენსივობა. მასალები მასივებისათვის მოაქვთ ზღვით სოხუმიდან და ბათომიდან. დამზადებული მასივები იდგმება სამხრეთ ჯებირის იქით ტალღისმჭრელის შესავსებად. სამხრეთ ჯებირის ტალღისმჭრელისათვის საჭირო მასივების დამზადების პროგრამა შესრულებულია.

ამ დღეებში დამთავრდება ექვს ბინიანი სახლის აგება. სახლის ღირებულება უდრის 68.000 მანეთს. დაწყებულია მუშათა საცხოვრებელი სახლის აგება ქარხანასთან. სახლი იქნება 6 ბინიანი და მის ასაგებად გადადებულია 18.000 მანეთი. რიონის ჩრდილოეთ შტოს მარცხენა ნაპირი გამაგრებულია 500 მეტრის მანძილზე, გამაგრებულია აგრეთვე მარჯვენა ნაპირიც, გაწმენდილია ნავთსადგურის შესავალი არხი, რის გამოც შესაძლებელი გახდა ისეთი გემების გავლა, რომლებიც წყალში 27 ფუტის სიღრმეზე აღწევენ.

უახლოეს დღეებში დაიწყება სამხრეთ ნავთსაყუდის გაღრმავება მძლავრ მანქანა „კალიაევ"-ის საშუალებით.

გასულ სეზონში ნავთსადგურის ქარხანაში შეკეთებულია 10 დიდი გემი და ერთი საბუქსირო კატერი" (ადს).

# საბჭოთა საქართველო

## წერილები

### გაავცხოველოთ პროპაგანდა-აგიტაცია

სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად მოწყობას დღეს მიპყრობილი აქვს განსაკუთრებული ყურადღება. სოფლად იქმნება კოლექტივები, არტელები, სამანქანო ამხანაგობანი და სხვ. კოლექტივებში ერთიანდება ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა; ხელისუფლება და საკრედიტო ამხანაგობები ყოველგვარ დახმარებას უწევენ კოლექტივებს. მათ ეძლევათ გრძელვადიანი სესხი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და თავისუფალი მიწები დასამუშავებლად.

ცხადია, რომ ასეთი ხელისშეწყობის შემდეგ კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი ჩვენში თანდათან მრავლდება და მასთან ერთად იზრდება ამხანაგობებში ჩაწერის მსურველთა რაოდენობაც.

სოფლის შეძლებული გლეხობაც ცდილობს კოლექტივებში შეძრომას და აქედან სარგებლობის მიღებას და როდესაც ამას ვერ ახერხებს, ეწევა მავნე პროპაგანდა-აგიტაციას გლეხობის შეგნებულ ფენებში კოლექტივების საწინააღმდეგოდ. ერთი ამის მაგალითი ადგილი აქვს დუშეთის მაზრის სოფელ ნაოზაში, სადაც ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო არტელი. კულაკები სოფელში ავრცელებენ ხმებს, რომ ვინც არტელის წევრი არ არის, მათ ჩამოერთმევათ თავიანთი ნორმა და მოესპობათ მეურნეობის წარმოების საშუალებაო.

თავის თავად ცხადია, რომ კულაკების ეს მავნე აგიტაცია გამოწვეულია მათი კლასიური სიძულვილით კოლექტივებისადმი და წარმოადგენს აშკარა სიცრუეს. კოლექტივში იქმნება არა ძალდატანებით, არამედ სრულიად ნებაყოფლობით ნიადაგზე. არავის არ შეუძლია, რომ გლეხი იძულებით გახადოს კოლექტივის წევრად, თუ ამისათვის სურვილს თვითონვე არ გამოხატავს. ასეთივე აშკარა სიცრუეს წარმოადგენს კულაკების მიერ გავრცელებული ხმები კოლექტივის არა წევრებისათვის მიწების ჩამორთმევის შესახებაც.

ზემოაღნიშნულ სოფლებში მომხდარი ფაქტი, რასაც ალბად სხვაგანაც ექნება ადგილი,—ამას გვეუბნება, რომ სოფლად საჭიროა ფართოდ აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება კულაკების საწინააღმდეგოთ. გლეხობას უნდა განვუმარტოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება კოლექტივების მოწყობას ცდილობს არა ღარიბი და საშუალო გლეხობის შესავიწროებლად, არამედ მათი მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ასეთი აგიტაცია უნდა იკისრონ პარტორგანიზაციებმა, საბჭოებმა და სოფლის ყველა კულტურულმა ძალებმა.

საჭიროა მეტი უნარიანობა სოფლად საპროპაგანდა-აგიტაციის წარმოებისათვის.

ძე.

### საჭიროა მიზანშეწონილად გამოვიყენოთ

სოფ. მუხური ზუგდ. მაზრა

ამას წინად სოფ. მუხურში ჩამოვიდა ქიმიკოსი, ჯანსახკომის ლაბორატორიის გამგე—კუპცისი, რომლის მიზანს შეადგენდა მუხურის რაიონში აღმოჩენილი მინერალური წყლის გამოკვლევა. კუპცისმა მოახდინა აღმოჩენილი წყლის წინასწარი გამოკვლევა და შენიშნა, რომ წყალში არის კლორის კალციუმის დიდი ნაწილი, რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში. კუპცისი აღნიშნავდა, რომ ეს წყარო შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სენთან საბრძოლველად, ხოლო როგორც ქიმიკოსი, ის ნაკლებ ცნობებს იძლეოდა, თუ როგორ და რისთვის გამოეყენებიათ აღმოჩენილი მინერალური წყალი.

იყო შემთხვევები, რომ ამ წყაროს ხმარებით განიკურნა ზოგიერთი ავადმყოფი. ეხლანდელმა გამოკვლევამ კიდევ უფრო გააღრმავა ავადმყოფთა ტენდენცია ამ წყაროსთან სარგებლობისა. ამბობენ, რომ წყარო სამკურნალოა, მაგრამ რისთვის, რომელ ავადმყოფობისათვის, ეს კი ჯერ-ჯერობით გაურკვეველია.

საჭიროა გადადგმულ იქნას პრაქტიკული ნაბიჯი სათანადო ორგანოების მიერ ამ მინერალური წყაროს რიგიანად გამოყენებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია გლეხობას სამკურნალო წყარო საწამლავი გაუხდეს.

ბ. ხაბალური.

### მოჯამაგირეთა შორის მუშაობა სუსტია

კოჯრის თემი, თბილისის მაზრა

კოჯრის თემში მოჯამაგირეთა საკმაო რაოდენობა მოიპოვება, მაგრამ მათი სწორი აღრიცხვა დღემდისაც არ არის ჩატარებული. მხოლოდ ერთხელ გვეწვია მანგლისიდან მიწა-ტყის კავშირის წარმომადგენელი და შემდეგ ის თვალითაც არ გვინახავს. მოჯამაგირეებში არ სწარმოებს არავითარი კულტგანმანათლებელი მუშაობა. წერა-კითხვის უცოდინარი მოჯამაგირეთა შორის საკმაოდაა. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს მიწა-ტყის კავშირის ცენტრალურ გამგეობამ.

ზ. გარსიაშვილი.

### სახკინმრეწვის შეფობა სოფ. გიორგიწმინდაზე

(წერილი საგარეჯოდან)

სოფლისა და ქალაქის დახლოების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საშეფო კომისიების მუშაობას. ქალაქიდან დაშორებულ სოფლებს მუდამ ცოცხალი კავშირი აქვთ ცენტრთან, თუ კი საშეფო საზოგადოებები სწორ ხაზს ატარებენ და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.

შეფების უმეტესი ნაწილი პირნათლად ასრულებს თავიანთ მოვალეობას და ასეთ მუშაობას საგრძნობი ნაყოფი მოაქვს. მოვიყვანთ ამის ერთ მაგალითს.

სულ სამი-ოთხი თვეა, რაც საქართველოს სახკინმრეწვმა შეფობა აიღო თბილისის ერთ-ერთ ჩამორჩენილ სოფელ გიორგიწმინდაზე. ამ სოფელში თითქმის 500 კომლამდე მოსახლეა, რომლებიც მისდევენ მებოსტნეობას და ნაწილობრივ მესაქონლეობა - მევენახეობას. სოფელი კულტურულად ძალზე ჩამორჩენილია. სოფლის 4-წლ. შრომის სკოლა, სადაც მეცადინეობს 300 ბავში, სულ 2—3 ოთახისაგან შესდგება. სოფელს აქვს კიდევ ერთი კოოპერატიული სავაჭრო, გლეხკომი და ერთიც წითელი კუთხე ნაცვლად სამკითხველოსი. ამით ამოიწურება ამ სოფლის დაწესებულებათა ავლა-დიდება. მარტოოდენ წითელი კუთხე რამოდენიმე მოძველებული ბროშურებით ვერ აკმაყოფილებს გლეხობას. ადგილობრივ თემ-აღმასკომმა რამოდენიმეჯერ სცადა სამკითხველოს ხარჯთ - აღრიცხვის ბიუჯეტში შეტანა, მაგრამ ვერ განახორციელა. ნივთიერი ხელმოკლეობა მეტისმეტად ბორკავს სოფლის კულტურული წინსვლელობის საქმეს.

შეფმა უპირველესი ყურადღება მიაქცია სოფლის კულტურულად ამაღლების საქმეს, ადგილობრივ წითელი კუთხე გადააკეთა სამკითხველოდ, რომლისათვის თავის ხარჯზე დაიქირავა ფასიანი მომუშავე. სამკითხველოს გამოუწერა ჟურნალ - გაზეთები, შეიძინა სამკითხველოსათვის რამოდენიმე ასეული თანამედროვე მნიშვნელობის წიგნები და მიიღო ზომები სამკითხველოს ბინის გაფართოებისათვის. გარდა ამისა, ღარიბ მოსწავლეებს დაურიგეს რამოდენიმე ასეული რვეულები, ფანქრები და სხვა სასწავლო ნივთები. სოფელს 25 თებერვლისათვის მიუძღვნეს ძვირფასი დროშა.

მომავალში შეფი დიდ იმედებს იძლევა. ადგილობრივი გლეხობა აღფრთოვანებულია შეფის ასეთი ყურადღების გამო.

ალ. ბიდიაშვილი.

### არხი გავიყვანეთ

ს. ქვენობანი, გურია

სოფ. ქვენობანი და ბუქნარი მწირი ნიადაგისაგან შესდგება, რის გამო აქაურ გლეხობას 20—30 კილომეტრის მანძილზე—სადგურ ნატანების და ნიგოითის მიდამოებში უხდებათ ქირნახულის დამუშავება. სიშორის გამო გლეხობას იქ უხდებოდა დიდი შრომის გაწევა, ხოლო მიღებული შედეგები კი მცირე იყო. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სოფლის მოწინავე პირებმა და გლეხობამ ოზურგეთის წყალთა სამართველოს მეშვეობით გამოიყვანეს სოფ. ქვენობანში ჩამომდინარე არყადე არხი, რომელიც უკვე დამთავრებულია. ამას შემდეგ გლეხობას საშუალება ეძლევა თავისივე ეზოში მოიწიოს ქირნახული.

ზაქსიმონ.

### გლეხკორთა წერილებიდან

#### ჩვენც დავაარსეთ

სოფ. ნაოზა, დუშეთის მაზრა

ამას წინად სოფელში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც აერთიანებს 15 კომლ გლეხობას. საჭიროა დუშეთის მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებამ გამოგზავნოს აგრონომი მეურნეობისთვის ნიადაგის შესარჩევად და არტელის სწორ ნიადაგზე დასაყენებლად. ყურადღება უნდა მიექცეს იმ მავნე აგიტაციას, რომელიც არტელის გარეშე მყოფ გლეხებში ვრცელდება, თითქოს მათ ჩამოერთმევათ თავისი ნორმა და მოესპობათ შესაძლებლობა მეურნეობის წარმოების.

ქ. სამაღლიშვილი.

### ძალზე გახშირდა

ქ. ოზურგეთი

ამ ბოლო დროს ოზურგეთის მახლობელ სოფლებში ძალზე გახშირდა საღამოების მოწყობა ვახშმით და ალუდით. მისი ინიციატორები უგზავნიან მოსაწვევ ბარათს მუშა-მოსამსახურეებს, სადაც აღნიშნულია, რომ შემოსავალი მოხმარდება სკოლას, ან სამკითხველოს. ჩვენ არ შეგვიძლია ამის განხილვა, თუ რას ხმარდება ეს თანხა, მაგრამ ასეთ საღამოებს ხშირად თან სდევს ჩხუბი და აყალ-მაყალი. საჭიროა ამ ფაქტს მაზრის შესაფერ ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ.

ელენაშვილი.

# მუშათა ცხოვრება

### მე-3-ე გამოშვება

მუშათა ფაკულტეტები ყოველ წლიწადს აძლევენ უმაღლეს სასწავლებლებს საუკეთესოდ მომზადებულ მუშებს. მათ რიცხვში ამხ. კეცხოველის სახელობის მუშფაკთან არსებული რკინის გზის სექტორი ზეიმობს იმითი, რომ მან მიმდინარე წელს გააგზავნა უნივერსიტეტში მე-3 გამოშვება. ამ გამოშვებით ზეიმობენ არა მარტო მუშფაკლები, არამედ რკინის გზ. ყველა მუშები.

რკინის გზის სექტორის გამოშვება უფრო დამახასიათებელია ჯერ ერთი იმითი, რომ აქ მსმენელთა შემადგენლობა 98 პროც. მუშაა. გარდა ამისა რკ. გზ. სექტორი წარმოიშვა განსაკუთრებულ პირობებში; ჯერ კიდევ 1923 წ. იგი წარმოადგენდა რკინის გზის მუშებისათვის წერა-კითხვის სალიკვიდაციო საღამოს კურსებს, შემდეგ კი ზოგიერთი ამხანაგების თაოსნობით და სათანადო ორგანოების დახმარებით იგი გადაიქცა მუშფაკად. კურსდამთავრებულებს მძიმე პირობებში უხდებოდათ სწავლა, ისინი 8 საათს ფიზიკური მუშაობის შემდეგ, 5 საათს აწარმოებდნენ გონებრივ მუშაობას და შემდეგ კი პარტიული და საზოგადოებრივ მუშაობას.

სხვადასხვა კაბინეტებისა და საკუთარი შენობის უქონლობა დიდათ აბრკოლებდა მეცადინეობას. მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, მუშებმა შესძლეს იმ ცოდნის შეთვისება, რაც საჭიროა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, რაც უნდა მიეწეროს მასწავლებლების ენერგიულ მუშაობას. მასწავლებლებმა დიდი ენერგია დახარჯეს იმისათვის, რომ ფიზიკურად დაღლილ მუშებისათვის ჩაენერგათ რამე.

რკინის გზის სექტორის მესამე გამოშვება, ეს არის საუკეთესო პასუხი შახტის კონტრრევოლუციონერ შეთქმულებს. ეს არის და იქნება საუკეთესო დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ჩვენი მუშაკები სრულიად ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას.

### თანამშრომელს საქათმე აუშენეს

(ნაფარეულის სახ. მამული)

ნაფარეულის სახალხო მამულის მართველ მოქ. ბ. მაყაშვილს, რომლის კომლი შესდგება ორი სულისაგან, უკავია 6 ოთახი და დღიურზე მეტი მოქსოვილი მავთულით შემოღობილი ადგილი, სადაც ინახავს აუარებელ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელს. ყველა ამას უვლის მეეზოვე, რომელიც დაქირავებულია მამულის ყველა ეზოების და გზების დასუფთავებლად და არა მაყაშვილის ბოსტნის, ძროხის, კვიცის და მის კარმიდამოს მოსავლელად.

ბუღჰალტერს უკავია 4 ოთახი ისეთივე მოქსოვილი მავთულით შემოღობილი დიდი ეზოთი. მის მომვლელია კანტორის დარაჯი. უკანასკნელი ასუფთავებს ეზოს, ოთახებს. უვლის ფრინველებს, უხეხავს ქვაბებს, აშრობს ხორბალს და სხვა. ისე, რომ კანტორაში ყოფნის მაგიერ, ემსახურება პირადათ ბუღჰალტრის ოჯახს. საწყობის გამგეს, კატო გასიევის ქმარს, უკავია ოთხი ოთახი. იქვე სცხოვრობს ვინმე სანოძე, რომელსაც ალბად ქირას ახდევინებს გასიევის ქმარი. ამასაც ჰყავს ფუტკრები, ფრინველები და სხვა.

შინაური ცხოველების ასეთი სიმრავლის გამო დიდი ხანი არაა, რაც მამულის მართველმა, შესანიშნავი ახალ მასალით აუშენა საქათმე, რომელიც მეძროხის ბინას გაცილებით სჯობია. ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც მამულის გარეთ სცხოვრობს მამულის მუშები. და თვითეულ მათგანს უკავია ორ-ორი პატარა ოთახი, რომელშიაც სცხოვრობს 4—5 სული. მათ ბინებს არავინ ყურადღებას არ აქცევს. არავინ არ იწუხებს თავს მათი ბინების შესაკეთებლად. გასიევის ქმარს კი საქათმე აუშენეს, მუშები ამაზე დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

ამგვარად მამულის „ბობოლებს“ უკავიათ გალესილი დანა და სთლიან მუქთ მამულის დუმას. რას იტყვის ამაზე სახალხო მამულების ტრესტის მართველი?

ბარკანდელი.

### მუშების ფული გაფლანგეს

(სამტრედია)

სამტრედიის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ურთიერთ დამხმარე სალაროსთან, კავშირის ზოგიერთ წევრს გაუტანია სესხი 4 თუ 5 წლის წინად და დღემდის არ დაუბრუნებია: სესხი გაუტანიათ სალაროს ყოფილ თავმჯდომარეებს ა. მასიუროვს 160 მან. და მ. გელდიაშვილს 100 მანეთი, როგორც გამოირკვა ეს ვაჟბატონები ახლა უარსაც აცხადებენ ვალის გადახდაზე. მასიუროვიც და გელდიაშვილიც საკმაო რაოდენობით იღებენ ჯამაგირს, ისე, რომ მათთვის სიძნელეს არ წარმოადგენს ვალის გადახდა, მაგრამ მაინც არ იხდიან. კავშირის უმრავლესი და მცირე ჯამაგირის მქონე მუშებს კი, თანხის უქონლობის გამო, ვერ მოუღიათ სესხი თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობით.

რას უნდა მიეწეროს მოქ. ა. მასიუროვისა და გელდიაშვილის ასეთი საქციელი თუ არა გაფლანგვასა და ბოროტმოქმედებას?

საჭიროა სათანადო ორგანოებმა მიიღონ ზომები კაპიკობით გაღებული თანხების გასანაღდებლად.

ნაფალაურელი.

### საქმიანი კრება

20 ივნისს, შესდგა დეპოს და სარემონტო ფარეხის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 400-მდე კაცი და ქალი. კრებაზე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხომერიკმა, რომელმაც გააცნო კრებას მუშგლეხინის მუშაობა და დაასურათა საქართველოს სხვადასხვა საწარმოო და სამეურნეო დარგებში მომხდარი ზოგიერთი ბოროტმოქმედება.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ხარჯების 20 პროცენტიან შემცირების შედეგს და აღნიშნა, რომ ამ ღონისძიებამ ხაზინას მისცა 2.600.000 მან. მომხსენებლის სიტყვით მუშა-მოსამსახურეების შემცირება მოხდა არა მექანიკურად, არამედ ტექნიკურად. მაგრამ ზოგიერთ დარგებში მაინც აქვს ადგილი შეცდომებს.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს მუშებმა, რომლებმაც აღნიშნეს მუშ-გლეხინის საკონტროლო აპარატის სისუსტე როგორც რევიზიის მხრივ, აგრეთვე მუშების საჩივრების და პრესაში მოთავსებული შენიშვნების გამოკვლევის მხრივ: ამხ. ელიაშვილი აღნიშნავს შტატის შემცირების დროს დაშვებულ შეცდომებს და ამბობს, რომ შემცირება მხოლოდ დაბალ მოსამსახურეების ხარჯზე ჩატარდაო. კრებამ მოიწონა მუშ-გლეხინის მუშაობის ახალი გეგმა, რომელიც დამყარებულია მასების კონტროლზე და იმედი გამოთქვა, რომ მუშგლეხინის ასეთი ნაბიჯი სავსებით აღმოფხვრის ყოველივე ბოროტმოქმედებას წარმოება-დაწესებულებებში და გააძლიერებს ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

დასასრულ კრებამ აირჩია 15 რწმუნებული მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.

ძია ლევან.

### დასახიჩრებულთა მუშაობა დაუშვებელია

(მთ. სახელოსნო)

რკინის გზის მთავარ სახელოსნოში დაშვებულია ნახევრად დასახიჩრებულთა მუშაობა, რაც ადგილობრივ ტექნიკური პირობების გამო ყოვლად დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქვაბე საამქროში შვიდმა კაცმა გაიფუჭა ცალი თვალი. ორი მათგანი, რადგან დამზ. სალარომ დაუნიშნა ძალიან ცოტა პენსია, კვლავ განაგრძობენ მუშაობას. ერთი ჯერ კიდევ საავადმყოფოში წევს. მაგრამ კოკამ წყალი ველარ მოიტანა; ამ ორი თვის წინად ერთ მათგანს, ამხ. ზ. ცოტნიაშვილს, მეორე თვალიც დაუზიანდა. ძლივს შეინარჩუნა მეორე თვალის ნახევარი სინათლე და ვინ იცის, ცოტა ხნის შემდეგ ხელით სატარებელიც შექნეს.

ნუ თუ თვალის დაზიანება 30 პროცენტზე მეტი არ უნდა ღირდეს? ასეთი პროცენტებში შემოწმებული დასახიჩრებული მუშა, რა თქმა უნდა იძულებული გახდება დაუბრუნდეს წარმოებას იმავე სამუშაოზე. მისი მუშაობა კი იმდენ ნაყოფს ვერ მისცემს წარმოებას, რამდენსაც ზარალს.

ამიტომ ასეთ დასახიჩრებულებს უნდა გაუდიდდეთ პენსია და მოიხსნან ისინი სამუშაოდან. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოებაც იზარალებს და მუშებიც ფიზიკურად დაშავდებიან.

სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას.

№ 6.

### მუშკორთა წერილებიდან

**უპატრონოთ კრებას (ფოთი).** ნინოშვილის ქუჩაზე, მოქ. ნ. პატარაიას სახლის ეზოში, სრულიად უპატრონოთ გდია ფოთის აღმასკომის კუთვნილი მანქანა „ლოკომობილი“, რომელსაც მოხსნილი აქვს სხვადასხვა ნაწილები. აღმასკომმა, უპატრონოს სახალხო ქონებას.

კ. ს.

**ფუნიკულიორზე მოქეიფე.** ფუნიკულიორის კაფეს მოადგილე, მოქ. ყვავილოვი, თავის მოვალეობას ფუნიკულიორის რესტორანებში და კაფეებში ქეიფით ასრულებს, იშვიათად ნახავთ მას თავის ადგილზე. სამსახური და მოვალეობა ჩირად არ მიაჩნია. აღმასკომმა სათანადო ადგილი უნდა მიუჩინოს მოქ. ყვავილოვს.

ლიანდაგის მუშა.

**კვირაში ერთხელ ჩამოდის.** ლენინის ქუჩაზე და მის რაიონში, კვირაში მეტი ფოსტალიონი არავის თვალით არ უნახავს. ერთი კვირის წინად მოიტანა ათი თორმეტი წერილი ერთად და მიიმალა. მას შემდეგ აღარ დაურიგებია წერილები. ფოსტაში ფულია მოსული, უწყებები კი ფოსტალიონს უწყვია ჯიბეში და არ ფიქრობს მის დარიგებას.

ხ. თ.

**შიშის ქვეშ ვიმყოფებით. (ხაშური).** ხაშურში, განათლების ქუჩაზე მოწყობილია ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც ეკუთვნის აღმასკომს. ქარხანაში ყოველ წუთს მოსალოდნელია ხანძარი,რომელიც გადაბუგავს არა მარტო ქარხანას, არამედ მის მახლობელ სახლებსაც. ამას წინად გაუჩნდა ცეცხლი ქარხანას და გადაიწვა მოქ. ჰიპაშვილის სახლებიც. აღმასკომო გადაიტანე ქარხანა სხვა ადგილზე.

მეზობელი.

# თავდაცვის კვირეული

### კვირეულის ჩატარების გეგმა

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საშუალებათა განაძლიერებლად და პრაქტიკულ მუშაობის გასაფართოებლად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მთელ საქართველოში მიმდინარე წლის 15 ივლისიდან 22 ივლისამდე მოეწყოს „თავდაცვის კვირეული“.

ამასთან ერთად ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კვირეულის ჩატარების გეგმა, რომლის მიხედვით მთელ რესპუბლიკაში 20, 21 და 22 ივლისს იწარმოებს ქუჩაობებით ფულის შეგროვება. შემოწირულების შესაგროვებლად აგრეთვე იწარმოებს ხელისმოწერა წარმოებებსა და დაწესებულებებში.

კვირეულის სასარგებლოდ გავრცელებული იქნება გულზე დასაკიდი ნიშნები.

კვირეულის განმავლობაში (15 ივლისიდან 22 ივლისამდე) ყველა სანახაობების და გასართობების ბილეთებზე (თეატრები, კინო, ცირკი, კაბარე, დოღი და სხ.) დარიცხული იქნება 10 % კვირეულის სასარგებლოდ. გარდა ამისა იმავე ხნის განმავლობაში დაბეგრილი იქნება ყველა სააზარტო სათამაშოები (ლოტო, პტი-შვო და სხვ.), რომელთა დღიური შემოსავლიდან კვირეულის სასარგებლოდ გადადებული იქნება 10 პროცენტი. კვირეულის განმავლობაში დაბეგრილი იქნება აგრეთვე ყველა რესტორანები და სასადილოები, რომელთა საშუალო დღიური შემოსავლიდან კვირეულისათვის გადაიდება 10 პროცენტი.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება დაევალა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

## უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები

განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა წესები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისა 1928—29 სასწავლო წლისათვის.

უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად განცხადებების მიღება დაიწყება მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოდან.

განცხადებებს დართული უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები: 1) წლოვანების, 2) განათლების, 3) სოციალური მდგომარეობის (აღმასკომის, ან პროფორგანიზაციის მიერ მიცემული), 4) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, 5) მოწმობა მატერიალურ მდგომარეობის შესახებ (მოწმობაში აღნიშნული უნდა იქნეს თვით მშობლების ხელფასის რაოდენობა და ცნობები გადასახადით დაბეგვრის და სხ. შესახებ), 6) მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ, 7) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი და 8) სათანადოთ შემოწმებული ანკეტა.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველი უნდა იყოს არა ნაკლებ 17 წლისა.

როგორც სახ. უმაღლეს სასწავლებელში, ისე ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები დაიწყება 15 აგვისტოდან.

სახ. უნივერსიტეტში შესვლის მსურველმა გამოცდები უნდა ჩააბაროს შემდეგ საგნებში: მათემატიკაში, (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია); ფიზიკაში, საზოგადოებათ-მეცნიერებაში, ქართულ წერაში და რუსულ ზეპირში. ლენინის სახელობის პოლიტიკურ ინსტიტუტში გამოცდები უნდა ჩააბაროს: მათემატიკაში, ფიზიკაში, საზოგადოება-მეცნიერებაში, რუსულ წერაში და ქართულ ზეპირში.

ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში (სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია) განცხადებების მიღება დაიწყება 1 აგვისტოდან, გამოცდები—15 აგვისტოდან. ამ სასწავლებლებში შესვლის მსურველებმა უნდა ჩააბარონ დამატებითი გამოცდა თავიანთი ნიჭის და მომზადების გამოსარკვევად ხელოვნების იმ დარგში, რომელზედაც შესვლას აპირებენ.

პროგრამებისა და საანკეტო ფურცლების შეძენა შეიძლება უმაღლეს სასწავლებლების კანცელარიებში. განცხადებების გაგზავნა შეიძლება ფოსტითაც, დაზღვეული წერილის სახით.

## „სოფლის კავშირში“

„სოფლის კავშირმა“ შეიმუშავა მომავალი მუშაობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით განძლიერებული იქნება მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის იდეების გასავრცელებლად მასებში და კოოპერაციულ-მუშაობის გასაფართოებლად.

საქონლის ზედნადებ ხარჯების შესამცირებლად ჩატარებული იქნება აპარატის რაციონალიზაცია და მტკიცედ იქნება დაცული მომჭირნეობის რეჟიმი.

მიღებული იქნება ზომები სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში ღარიბ და საშუალო გლეხობის მონაწილეობის გასაძლიერებლად. მომარაგება - გასაღების ოპერაციები იწარმოებს იმგვარად, რომ მან ხელი შეუწყოს სწორ კოოპერატიულ სამეურნეო ურთიერთობის განმტკიცებას, ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ამავე დროს ადგილობრივი კოოპერატივები პირველ რიგში მომარაგებულნი იქნებიან უღარიბესი ფენებისათვის საჭირო საქონლით.

გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პირობების მომზადებას სოფლის მეურნეობის კოლექტიურ საფუძვლებზე ჩამოსაყალიბებლად. ამ მიზნით ძირითადი კოოპერატივების საშუალებით ადგილებზე იწარმოებს შესაფერი კამპანია და კოლმეურნეობებს პირველ რიგში ნისიათ მიეცემა მათთვის საჭირო საქონელი და სასოფლო - სამეურნეო ხელსაწყო მანქანები.

„სოფლის კავშირს“ აგრეთვე გადაწყვეტილი აქვს კოოპერაციაში უღარიბეს გლეხობის აქტივობის განაძლიერებლად და მათ მოსაზიდათ ფართოდ გაატაროს წევრთა მატერიალური დაინტერესების მეთოდები.

„სოფლის კავშირი“ უახლოეს ამოცანათ ისახავს მთლიანად აიღოს ხელში სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების დამზადებისა და გასაღების საქმე.

ამჟამად „სოფლის კავშირი“ ადგენს პროექტებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში სოფლის ნაწარმოების გადამამუშავებელ ქარხნების ასაგებად და დამამზადებელ ბაზების მოსაწყობად.

# ა.-კ. ფიზკულტურის პირველი დღესასწაული

## ა.-კ. ფიზკულტურის პირველი დღესასწაულის გამო

(1928 წ. ივნისიდან 1 ივლისამდე).

ყოფილ რუსეთის იმპერიის მშრომელმა მოსახლეობამ, მუშებმა და გლეხებმა, კომპარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს რა მეფის რეჟიმი და მენშევიკ-ესერების შეთანხმებლური მთავრობა ბურჟუაზიასთან ერთად, დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა მთელს საბჭოთა კავშირში—დედამიწის ერთ-მეექვსედ ნაწილში.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას შეადგენდა კუნთების სისტემის განვითარებით საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისა და საერთოდ მთელი მშრომელი მოსახლეობის გაჯანსაღება, ბოლშევიკურ-ლენინურ - კომუნისტური იდეოლოგიით აღჭურვილ ფიზიკურად ჯანმრთელ თაობის აღზრდა, რაც ასე აუცილებელია დღეს, — სოციალიზმის მშენებლობის დროს.

მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობა მეტად შეარყია ომებმა, შიმშილობამ და თავდადებულმა მუშაობამ ახალი ცხოვრების მშენებლობის რევოლიუციონურ ეტაპში.

ფიზკულტურა — კლასობრივი ბრძოლის მძლავრი იარაღია და ეს კიდი ხანია გაითვალისწინა ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა.

სასპორტო ორგანიზაციები ბურჟუაზიის ხელში ემსახურებიან მილიტარიზმსა და ფაშიზმს და ისინი, როგორც მებრძოლი კადრები, მიმართული არიან თავის ქვეყნისა და სხვა ქვეყნების პროლეტარიატის წინააღმდეგ, ყოველ მშრომელებისა და იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ყველა ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც კომინტერნის ხელმძღვანელობით ებრძვიან იმპერიალიზმს.

სასპორტო ორგანიზაციები ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის საშუალებიდან უნდა გადავაქციოთ მუშებისა და ღარიბ გლეხების იმ მსოფლიო ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელსაც აწარმოებენ ისინი მუშურ - გლეხურ საბჭოთა წყობილების — პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, დიქტატურის, რომელსაც მუდამ ბოლშევიკების ლენინური კომპარტია ხელმძღვანელობს.

ჩვენი ამოცანაა— განუმარტოთ საბჭოთა ქვეყნის მუშურ-გლეხურ მოსახლეობას სპორტისა და ფიზკულტურის მნიშვნელობა.

ახალ ჯანსაღ ყოფა - ცხოვრებისაკენ ჩვენ მივდივართ გაბედული ნაბიჯით, სწორი გზით.

მშრომელთა ჯანმრთელობა, შრომის დაცვა, ახალი ყოფა - ცხოვრების განვითარება, ეკონომიურ და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება— ყოველივე ეს ის ფაქტორებია, რომელთა არსებობის დროსაც სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმული საბჭოთა კავშირის მშრომელები, ტექნიკითა და ცოდნით აღჭურვილნი თვითონ გააძლიერებენ ბრძოლას საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავად. ჯანსაღ სხეულში—ჯანსაღი სულიაო, —ასე ამბობდნენ ძველი კულტუროსანი ბერძნები და რომაელები.

მაგარი კუნთები მუდამ საჭირო იქნება იმისათვის, რომ ცენტრალურმა ნერვიულმა სისტემამ ნორმალურად იმუშაოს, ვინაიდან მომავალში მთავარი მუშაობა მას დააწვება.

ფიზკულტურა გვეხმარება სწორედ ამ ამოცანის გადაჭრაში.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ ფიზკულტურა ეხებოდეს ადამიანის ცხოვრებას, დაწყებული ბავშობიდან და გათავებული ღრმა მოხუცებამდე. ამავე დროს ფიზკულტურა უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს პროფესიონალურ. შრომის საკითხებს საერთოდ და წითელი არმიის ყოფა-ცხოვრებას კერძოდ.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სასპორტო ორგანიზაციების გაერთიანება, სპორტსმენელთა ჯგუფების მოგზაურობა საბჭ. კავშირის სხვადასხვა ცენტრებში და ამა თუ იმ ხალხის თავისებურობათა გაცნობა, საბჭოთა ხელისუფლების სხვა პოლიტიკურ-ეკონომიურ ღონისძიებებთან ერთად, საბოლოოდ აღმოფხვრის ნაციონალისტურ და შოვინისტურ განწყობილებას და ყოველგვარ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიან ხალხთა რევოლიუციონურ - კოლექტიურ მუშურ თანამშრომლობას, და მით კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს ჩვენი მრავალერიან საბჭოთა კავშირის მშრომელ მოსახლეობას!

**გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის ფიზკულტურის პირველ დღესასწაულს!**

**ჩემი მხურვალე სალამი ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ყველა ხალხების ფიზკულტუროსნებს!**

ამხანაგებო, ნუ დავივიწყებთ: „სპორტი და ტანვარჯიშობა — კლასობრივი ბრძოლისა და გამარჯვების იარაღია,თვითეული მუშა სპორტსმენი და გიმნასტი — რევოლიუციის „ჯარისკაცია“.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე
**მიხა ცხაკაია.**

### სომხეთის ფიზკულტუროსნების ჩამოსვლა

გუშინ, დილით თბილისში ჩამოვიდნენ ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაულის მონაწილე სომხეთის ფიზკულტუროსნები—რიცხვით 200 კაცამდე. სადგურზე სტუმრებს შეხვდნენ დაწესებულება - ორგანიზაციათა წარმომადგენლები და თბილისის ფიზკულტუროსნები. სადგურის მოედანზე გაიმართა მიტინგი. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **ერგარდტი, კვინიხიძე, გერასიმოვი და ტესტელეცი.** სტუმრებიდან საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ჩაარიანმა.** მისალმებათა შემდეგ ფიზკულტუროსნები დაეწყვნენ კოლონებათ და სადგურის ქუჩის გავლით გაემართნენ ამ.-კავკ. ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლისაკენ, სადაც დაბინავდნენ.

მიტინგი სადგურის მოედანზე

აზერბეიჯანის ფიზკულტუროსნები ჩამოვლენ დღეს, დილის 11 საათზე.

### ფრანგული ჭიდაობა

ფრანგულ ჭიდაობაში საქართველოდან მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ძალოსნები: **ალიხანოვი, თარხანოვი, ოგანეზოვი, აკოპოვი, პილნოვი, ჟემბროვსკი და ჭიჭინაძე.**

აზერბაიჯანიდან მონაწილეობას მიიღებენ: **მამედოვი, გაჯიევი, ბახშალოევი, სტეფანიანი, ასლანოვი, ანოშკინი და მიასნიკოვი.**

### დღესასწაულის 1-ლი დღე

დღესასწაულის მასიური და სპორტიული ნაწილის საზეიმო გახსნა მოხდება კვირას, 24 ივნისს საღამოს 5 საათზე ლენინის სახ. სტადიონზე. სტადიონზე გაიმართება ფიზკულტუროსნების აღლუმი,. ქ. თბილისის პიონერების საერთო პირამიდა თავისუფალი ვარჯიშობით, ამანათრბენი ქალთათვის 4×100 მეტრის მანძილზე და ვაჟთათვის—800+400+200+100 მეტრის მანძილზე და საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ფიზკულტუროსნების მასიური თავისუფალი ვარჯიშობა.

### ჭადრაკი

დღეს, 23 ივნისს თბილისში ჩამოვიდნენ ამ.-კავკასიის ჩემპიონატში მონაწილე მოჭადრაკეები.

ჩემპიონატის გახსნა და პირველი ტური შესდგება: ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის კლუბში ხვალ, საღამოს 6 საათზე.

## ფიზკულტურა და სპორტი

### საკავშირო სპარტაკიადა

ამჟამად საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარეობს ფიზკულტურის რესპუბლიკური დღესასწაული, რომლის მიზანია საუკეთესო სპორტსმენების გამოყოფა საკავშირო სპარტაკიადაზე გასაგზავნათ მოსკოვში ა. წ. აგვისტოში. ამავე მიზანს ისახავს ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაულიც, რომელიც 23 ივნისიდან დაიწყება.

გარდა საბჭოთა ფიზკულტუროსნებისა, საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობას მიიღებენ საზღვარგარეთელი სპორტსმენებიც. უცხოეთში ყველგან დაწყებულია ფართო მოსამზადებელი მუშაობა საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებად.

შვეიცარიაში, ჩეხო-სლოვაკიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ურუგვაიში და სხვა ქვეყნებში უკვე მოწყობილია მოსკოვის სპარტაკიადისათვის მზადების კომიტეტები. მიუხედავად ლიუცერნის ყვითელ სპორტინტერნაციონალის დადგენილებისა, მოსკოვის სპარტაკიადისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, მრავალი ქვეყნის სასპორტო ორგანიზაციებმა სურვილი განაცხადეს მონაწილეობა მიიღონ სპარტაკიადაზე. განსაკუთრებით ფართო მზადება სწარმოებს ფინეთში. ფინეთის მუშა-სპორტსმენები მოითხოვენ გადიდებული იქნეს მათი წარმომადგენლობის ნორმა.

### მსოფლიოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში

ამჟამად ამსტერდამში მიმდინარეობს მსოფლიოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. პირველობის ფავორიტებმა, სამხრეთ-ამერიკელებმა, მაღალი განვითარების ეგრონ გამოიჩინეს განსაკუთრებული ტექნიკით, ტაქტიკით და ფეხბურთის თამაშის ცოდნით. შეჯიბრებებზე დასწრების მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ უზარმაზარი ტრიბუნები (60.000 კაცისათვის), რომლებიც სპეციალურად ამ შეჯიბრებებისათვის არის აგებული, ვერ იტევენ ყველა მსურველებს.

ნახევრად ფინალურ მატჩში არგენტინამ მოუგო ეგვიპტეს 3:0. ამრიგად, ფინალში ფეხბურთის მსოფლიო პირველობაზე ითამაშებენ არგენტინა და ურუგვაი. უკანასკნელმა მსოფლიო პირველობა აიღო 1924 წელს პარიზის ოლიმპიადაზე.

### კალათბურთი

საქართველოდან კალათბურთის შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ვაჟთა გუნდი „სინათლე“. გუნდის შემადგენლობაში არიან: **დავიდოვი, ქელიძე, საყვარელიძე, ცხვედაძე და გერასიმოვი.** სათადარიგო მოთამაშეებია: **რიბაჩენკო და ზავიხოვი.** ქალთა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ნაკრები გუნდი.

**აზერბეიჯანიდან** შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ვაჟთა და ქალთა გუნდები. ვაჟთა გუნდში შედიან: **ივანოვი, ხვიტოდუბოვი, შლიკოვი, კიდინი და სიდლაკოვი.** ქალთა გუნდში შედიან: **სიდობნიკოვა, კალესნიკოვა, ვ. პარიჩევა, რ. პარიჩევა და სავიცკაია.**

### ტენისი

**აზერბეიჯანიდან** ტენისის შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ვაჟები: **მისტმანი, დანილოვი, შკოპარევი და შმიჩენკო.** ქალები **ნიკოლაევა და ბენკენდორფი.**

**საქართველო,** შეჯ. წარმოდგენილია ვაჟთა გუნდით, რომლის შემადგენლობაში არიან: **გომერი, ე. ნევრბეცკი, ხანგულიანი, რ. ნევრბეცკი.** ქალთა გუნდში შედიან: **ლ. გომერი და ვერმიშევა.**

### ფრენბურთი

საქართველოდან ფრენბურთის შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ნაკრები გუნდი. გუნდში შედიან: **საყვარელიძე, ცხვედაძე, ფალავანდიშვილი, ციციშვილი, კარპოვი და კლიაძე.** ქალთა გუნდში შედიან: **დოჩენკო, კონსტანტინოვა, შილიძე, გეგელაშვილი, ახვლედიანი და რადკევიჩი.**

**აზერბეიჯანიდან:** ვაჟთა გუნდში შედიან: **შლიკოვი, მალკინი, ხტაროხტინი, ლუკინი, არუნოვი და კუზნეცოვი.** სათადარიგო მოთამაშეებია: **იკონიკოვი და ერემენკო.**

ქალთა გუნდში შედიან: **ოგანოვა, დავიდოვა, ჩერნოვა, შაშკოვა, ლევაშოვა, და გორიაჩევა;** სათადარიგო მოთამაშე **პოტაპოვა.**

### მძიმე ძალოსნობა

საქართველოდან სიმძიმეების აწევაში მონაწილეობას მიიღებენ: **როტინოვი, ძეგონსკი, ზაუტაშვილი, იმნაძე, კოსტავა, წკეპლაძე და გილნერი.**

**აზერბეიჯანიდან:** მონაწილეობას მიიღებენ: **ნუნიანცი, ნ. კოპლატაძე, ვოლფსონი, მერკურიხი, მურადოვი, ანანიკიანცი; მიურგენტალერი.**

## ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

### ამხ. ციურუპას სახელობის ფონდები

ვინაიდან საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ყოფ. მოადგილე, განსვენებული ა. დ. ციურუპა განსაკუთრებულ აქტიურ მონაწილეობას იღებდა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის შექმნასა და განვითარებაში, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ დაადგინა ა. დ. ციურუპას სახელი უწოდოს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ყველა დაწესებულებებთან არსებულ ღარიბ გლეხობის ფონდებს.

ამას გარდა გადაწყვეტილია ა. დ. ციურუპას სახელი ეწოდოს აგრეთვე სოფლის ღარიბ გლეხობისათვის კრედიტების მიწოდების სპეციალურ ფონდს. რომელიც უშუალოდ ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობასთან არის დაარსებული.

# პატარა ფელეტონის მაგიერ

## კოწიას იუბილე

ის, ვისზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ეხლა საიუბილეო გუნებაზე აღარ არის. ეს ამბავი მოხდა სულ ახლო წარსულში. ის უკვე დასრულებული და შესწავლილია. მაგრამ ზოგჯერ წარსულის მოგონებაც სასარგებლოა, მით უფრო თუ ეს წარსული ბევრისათვის ჭკუის სასწავლებლად გამოდგება.

ხომ მოგეხსენებათ, „ჭეშმარიტების რამდენჯერმე განმეორებით არაფერი დაშავდება“. ყოველ შემთხვევაში, ასე სთქვა სოლომონ ზურგიელიძემ, მას ჩვენში ყველა იცნობს.

სამაგიეროთ ყველა არ იცნობს და არ იცნობდა ჩვენი მოკლე მოთხრობის გმირს. კოწია იობიშვილს. და ამაში იყო სწორედ კოწიას ტრაგედიაც, ამან წააკრევინა ფეხი მას საბედისწეროთ. თვითონ გასინჯეთ, კაცს წიგნაკში უწერია: „პარტიის წევრი 1903 წლიდან“, კაცს უჭირავს აჭარისტანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილის თანამდებობა და მას ვერავინ ამჩნევს. იმ ქუჩის ხალხიც კი არ იცნობს, სადაც თვითონ ცხოვრობს. არ იქნა და არა, კოწიას პოპულიარობამ ვერ გაშალა ფრთები, იხშობოდა და იკარგებოდა დაწესებულების ბიუროკრატიულ კედლებში დიდი ნიჭის, სახალხო ტრიბუნის, ძველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის კოწია იობიშვილის ეგზომ დიდი შესაძლებლობა და დამსახურება.

უბედურებას უბედურება ზედ დაერთო. მოხდა ისე, რომ ეს თქვენი მოწონებული კოწია იობიშვილი საგანგებო კომისიის ორგანოებმა 1923 წელში მენშევიკებთან კავშირის დაჭერისათვის სარდაფში დააბინავეს და კაი მაგარი ხუთი თვე გაატკუციეს. კოწიას პარტიულობას წყალი შეუდგა, იქვეს თვალით დაუწყეს მის სტაჟს ცქერა. წახდა საქმე. მაგრამ კოწია არ ცხრება. მოკვდება კოწია იობიშვილი და ის თავისას მიაღწევს. „ძველი ბოლშევიკს“ არ სჩვევია სიძნელეების წინაშე უკან დახევა... კოწიას კი თითქოს განზრახ ყველაფერი ხელს უშლიდა, ფეხებში ებორკებოდა. კალენდარის გამომცემლებმაც ხომ მისთვის მოიცალეს!

ჩვენმა კრიტიკოსებმა თავის დროზე ბევრი ნაკლი მოუნახეს კალენდარის გამომცემლებს. ყველა დეფექტები მოხსენებული იყო, მაგრამ „სპილო“ კი შეუნიშნავი დარჩათ, მთავარი გამორჩათ, მათ დაავიწყდათ, რომ „სახელგამი“-ს და „შრომა“-ს კალენდრებმა გვერდი აუხვიეს ისეთ დიდ ისტორიულ თარიღს, როგორიცაა კოწია იობიშვილის პარტიაში შესვლა. ეს დღე არა თუ წითელი ფურცლით არ არის აღნიშნული, არამედ წვრილი ასოებითაც კი არსადაა მოხსენებული. მოდი ახლა და ასეთ ხალხს ჩააბარეთ თქვენ მომავალში კალენდარის გამოცემა! რა გარანტია გვაქვს, რომ მომავალ წლისთვის უარესი არ განმეორდება.

კოწია ამან ცოტა არ იყოს დაალონა, მაგრამ გული მაინც არ გაიტეხა. არა ისტორია კალენდარისათვის, არამედ კალენდარი ისტორიისათვის. ფაქტი ხომ ფაქტად რჩება. და აი, ერთ დღეს კოწიამ, თითქოს სხვათა შორის, მაშინ, როდესაც თავის ხელქვეითებს მიწადმოწყობის სარგებლობის შესახებ ელაპარაკებოდა, თავის მოსაზრებათა დასასაბუთებლად, სრულიად უადგილოთ ჩააკერა ლაპარაკში:: „დავბერდი კაცი, ლამის წამწამები გამიჭაღარდეს, ოცდა ხუთი წელიწადია პარტიაში ვარ ოფიციალურად და 30 წელიწადი კი ფაქტიურად ვიბრძვი რევოლიუციისათვის“.. აქ შეწყვიტა ლაპარაკი კომისარის მოადგილემ და ისევ მიწადმოწყობის საქმეზე გადავიდა.

ხელქვეითებს ცოტა არ იყოს ეუცხოვათ ამგვარი ნახტომი უფროსის აზრებში. მაგრამ ისინი ამას მიჩვეული იყვნენ. საკმარისია კომისარის მოადგილემ სთქვას სიტყვის ორი პირველი ასო, რომ დაბოლოვებას ხელქვეითები არ აცლიან, ისე მიუხვდებიან რისი თქმაც სურს კოწიას. თუ კოწია იტყოდა, მაგალითად, „ქე“.. სხვა ვინმე, რომელიც თავისთავს მიწადმოქმედების დაწესებულებაში წარმოადგენდა, იფიქრებდა, რომ ალბათ ქერზეა ლაპარაკი, კომისრის მოადგილის ხელქვეითები კი მაშინვე გაიგებდნენ, რომ კოწია ქეიფის გუნებაზე მოვიდა. საქმეც უკვე იჩარხებოდა თავისთავად...

ამ შემთხვევაშიაც იგივე განმეორდა. კოწიას აზრს შუა სიტყვიდან სცნობდნენ მისი ძმა-ბიჭები, აქ კი კომისარის მოადგილემ მთელი „რეჩი“ წარმოსთქვა და მერე როგორი ნაღვლიანი, როგორი გულნატკენი ტონით.. დიდხან ფიქრი და მსჯელობა უკვე ზედმეტი იყო. ყველაფერი ნათელია, როგორც ბროლის შუშა. საკითხი დგას იუბილეს გამართვის შესახებ, მორჩა და გათავდა. კომისარის მოადგილეს, ჩვენს იმედს, ჩვენს თვალისჩინს და მოამაგეს კოწია იობიშვილს 25 წელი შეუსრულდა პარტიაში შესვლის დღიდან...

დატრიალდა ჯარა. შესდგა საორგანიზაციო სამეული. გაჩნდა შემომწირველთა სია. დაუარეს დაწესებულებების თანამშრომლებს, ჩამოუყარეს კომისარის მოადგილეს იუბილეს ხარჯების ფული. თავი მოძულებული უნდა ჰქონოდა ვისმეს, რომ უარი ეთქვა, ასეთი სულელი არავინ იყო, ამიტომ თანხაც საკმაოდ დიდი შეგროვდა. იუბილეს ინიციატორებმა არც ვაჭრები დაივიწყეს, იმათაც ჩამოუარეს. დაიწყო იუბილესათვის შეწირულების შეგროვება ნატურითაც.

იუბილიარმა წინასწარ აუღო ალღო საქმეს. დარწმუნდა,რომ მოსავალს კარგი პირი უჩანდა, აპეტიტიც შესაფერისად გაეზარდა. იმდენი გულკეთილობა გამოიჩინა თავისადმი, რომ იუბილეს ხარჯები თვითვე იკისრა, სხვა არავინ შეაწუხა. მე თქვენ გეტყვით თავნს არ გაინაღდებდა. ან ფულის შოვნა გაუჭირდებოდა კოწიას. აიღო ავანსი კომისარიატის სალაროდან და გადასცა იუბილეს ფონდში.

არ სძინავს საზოგადოებრივი აზრიც. ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა ადგილობრივი რედაქცია და გაზეთში დაიბეჭდა „ძველი ბოლშევიკის“, დამსახურებული რევოლიუციონერის, კოწია იობიშვილის ვრცელი ბიოგრაფია. საქმე გაიჩარხა.

ახლოვდება ზეიმის დღე, მატულობს სირბილი და ფაცა-ფუცი იუბილეს გარშემო. დღესასწაულის ადგილით დიდი რჩევისა და კამათის შემდეგ საორგანიზაციო სამეული შეჩერდა ერთ-ერთ ადგილობრივ ცნობილ ვაჭრის და სახლის მეპატრონის ბინაზე. რაც უნდა იყოს, მასპინძელიც უხვი იქნება და გასაქანიც მეტი დაურჩება საიუბილეო აღმაფრენას. მისაწვევი ბარათები დაიგზავნა თავის დროზე. ხალხი მოწვეული იყო 9 საათისათვის. მაგრამ ბევრმა „ფეხი შემოითრია“. წესი მოითხოვს თავს პატივი დასდო, ერთი საათით მაინც დაიგვიანო. თერთმეტ საათისათვის დარბაზი უკვე გაიჭედა ხალხით. სულ გამოცხადდა 65 კაცი, იყო მათ შორის ასე ათ კაცამდე „კომუნისტური ბირთვიც“.

საზოგადოება საგანგებოთ შერჩეულია. დაცულია ყველა მომენტები, სოციალური, სპეციალური, ნაციონალური, სქესობრივი და სუფრული ჰარმონიაც. არის მომღერალი, ყელმოღერებელი ბიჭები, „ჩაღალსტუკებული“ იურისტები, ჩაპუმპულებული ვაჭრები და თვალჟუჟუნა ქალებიც. სუფრას ჩიტის რძეც კი არ აკლია.

იუბილეს ცერემონიალი წინდაწინ იყო დამუშავებული. ჯერ დაიწყო ოფიციალური ნაწილი, მილოცვები. იურისტებმა, ძველ მებრძოლს, ძველ რევოლიუციონერს მიუძღვნეს სპარსული ნოხი, სხვებმა ოქროს საათი, საწერი მაგიდის მოწყობილობა, სერვიზი და ბევრი კიდევ სხვა.

მოუსხდნენ სუფრას. თავში ზის ზეიმის გმირი, სუფრის მშვენება და სიამაყე კოწია იობიშვილი, გვერდით სხედან: „წარჩინებულნი ბათომისანი“.

თამადამ გამოაცხო გრძელი და მეტად მგრძნობიარე სიტყვა. შეიქნა „ალავერდი შენთან“, „იახშიოლ“, „დალიე-დამილიე“, „კოწიას სადღეგრძელო ნაფრჩხილუმ, ვაშა!.. იძახდნენ და გამოცლილ ჭიქებს თავდაყირა ცერის ფრჩხილებზე იკაკუნებდნენ. რიგი მიდგა ადგილობრივ ცნობილ ვაჭარ აზოტ მდოიანცზე. ადგა ვაჭარი, ულვაშები გაისწორა, ღვინით სავსე ბროლის ჭიქა ხელში აიღო. ქალარაზე ხელი გადაისვა.. აუდიტორია სმენად გადაიქცა... თვითონ იუბილიარი ხელოვნური დარცხვენილი სახით, თავჩაქინდრული იჯდა და რომ სერიოზულობის მინა ბოლომდე შეენარჩუნებია, შემწვარ გოჭის თავს თვალში თვალი გაუყარა და გაირინდა.

„ძვირფასო, ამხანაგო, კოწია!.. დაიწყო გულწრფელი პათოსით ორატორმა და გადავიდა პერიოდებზე. სალამი და გამარჯვება შენ! კაცს, რომელმაც 25 წელი თავდადებულად ემსახურა პარტიას, მებრძოლს, რომელმაც ორნახევარი ათეული წლიწადი გაატარა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენ დღეს აქ უხდით იუბილეს!... მე მთვრალი ვარ გრძნობით და არა ღვინით, მე მოჯადოებული ვარ შენი მეგობრული გრძნობით და ამხანაგობით.— ერთხელ კიდევ, სალამი და მრავალჟამიერ შენ!“... მქუხარე ვაშა გაისმა ორატორის საპასუხოთ. მომღერლებმა შემოსძახეს ცედური მრავალჟამიერ.. ასე გაგრძელდა დილამდე...

რა მოხდა ამის შემდეგ, ადვილი გასაგებია. პირველ ყოვლისა გამოირკვა, რომ მდოიანცი არ შეცდარა იუბილიარის შეფასებაში. მან იცის, ვის რა უნდა უთხრას. იობიშვილი მართლაც ღირსი იყო ვაჭრული ქებისა. არ ვიცით, რომელ გულკეთილ პარტიულ ორგანიზაციამ უთავაზა მას სტაჟი 1903 წლიდან, ვიცით მხოლოდ ის, რომ კოწია იობიშვილი თავიდანვე ცნობილი იყო, როგორც ანარქისტ-კომუნისტი და... შანტაჟისათვისაც ყოფილა გასამართლებული.

არ შეცდა იობიშვილის შეფასებით საკონტროლო კომისიაც. მას თავზე ქუდი დაახურეს, კარები განიერად გაუღეს და უთხრეს: „მშვიდობით კოწია! არც შენი მოსვლა გაგვიგია, ვერც წასვლას გავიგებთ“. იუბილიარის თანამოსუფრე კომუნისტებიც არ დარჩენილან გულნატკენი საკონტროლო კომისიაზე. მათ საყვედური გამოეცხადა.

ასე დასრულდა კოწია იობიშვილის იუბილე.

**კვესი.**

# ჩვენი მიღწევები

(წერილი ჭიათურიდან)

ჭიათურის სამრეწველო რაიონს წარმოადგენს საბჭოს ხაზით თვით ქალაქი ჭიათურა და მის ირგვლივ მდებარე ქარხნები და მაღაზიები. უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ჭიათურა მუდამ დიდი ყურადღების ღირსი იყო აღმშენებლობის მხრივ როგორც სამრეწველო ქალაქი, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მას ვერ ექცეოდა შესაფერისი ყურადღება, ამის მთავარი მიზეზება ერთის მხრივ იყო ის გარემოება, რომ წასულ წლებში არ არსებობდა მტკიცე ბიუჯეტი, რის ცვალებადობის წყალობით პირველის მაგიერ კეთდებოდა მეორე, ხოლო პირველი კი სრულიად გაუკეთებელი რჩებოდა, მეორეს მხრივ ამისი მიზეზი იყო ის, რომ წასულ წლებში (1923—24—25—26 წ.) სამაზრო ცენტრი იყო თვით ჭიათურაში.

1927 წლის პირველ კვარტალში სამაზრო ცენტრი გადავიდა ქ. ზესტაფონში, ჭიათურაში დარჩა ქალაქის საბჭო, რომელმაც მთელი თავისი ენერგია და ძალა მოანდომა ქალაქის კეთილმოწყობას და აღმშენებლობას. 1927—28 საბიუჯეტო წლის განმავლობაში ქალაქის აღმასკომმა შესძლო თავისი გეგმის მთელი 100 პროცენტით შესრულება აღმშენებლობის მხრივ.

სრულიად ახლად აშენებულია ქალაქის შუა ადგილზე მდინარე ყვირილაზე ახალი ხიდი, რომლის საჭიროებასაც მრავალი წლების განმავლობაში განიცდიდა ქალაქი, ჯარბილის კლდის ძირში აშენებულია ახალი „აუზი“ წყლის მარაგისათვის, რომელიც მომავალში ქალაქის მარცხენა მხარეს უზრუნველყოფს წყლით, ახალი აუზის წყლით უზრუნველსაყოფად გამოჰყავთ მახლობელ სოფლიდან წყაროს წყალი. სრულიად ახლად გაშენებულია ქალაქის ორი ქუჩა ლენინის და წერეთლის ქუჩები. ქალაქის სხვა დანარჩენი ქუჩები მოკირწყლული და შეკეთებულია. ქალაქის მარჯვენა მხარეს მთელი ბაზრის სიგრძეზე აშენებულია მდინარე ყვირილაზე დამბა (სამაგრი), რომელიც მომავალში ქალაქს გადაარჩენს წყლისაგან წალეკვას როგორც ეს მოხდა 1922 წელში. ქალაქის აღმასკომის გადაუდებელ გეგმაში აქვს შეტანილი მარგანეცის ბაზებზე გააშენოს „ბაღები“, ვინაიდან მომავალში კონცესიონერს გათვალისწინებული აქვს მთავარი ბაზის გახსნა დიდ ჭიათურში და ქალაქში მდებარე ბაზების გაანთავისუფლოს.

### ელექტროფიკაცია

ქალაქის აღმასკომმა ელექტრო-განათება გაიყვანა ქალაქის მახლობელ სოფლებში—ლეჟავეებში, ფხალაძეებში, პატარა პერევისაში და აგრეთვე განათებულია ქალაქის განაპირა მაღარო-ქარხნების გზები. გათვალისწინებულია უახლოესი დროისათვის განათება გაიყვანონ დანარჩენ სოფლებში.

### ჯანმრთელობის დაცვა

ქალაქ ჭიათურაში არსებობს ერთი საავადმყოფო, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას, რის გამოც გახსნილია ახალი ამბულატორია, რომელშიდაც ავადმყოფ მუშების მიღება იწარმოებს საღამოობით, ე. ი. იმ დროს, როდესაც მუშები თავისუფალნი არიან სამუშაოდან და შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ საექიმო დახმარება თავის დროზე.

ამბულატორიის დანიშნულებას შეადგენს აგრეთვე უბედურ შემთხვევების დროს პირველი საექიმო დახმარების აღმოჩენა. ამავე ამბულატორიაში მოთავსებული იქნება კბილის ტექნიკის კაბინეტი, რომელიც დღემდე არ იყო ჭიათურაში.

### კოოპერაცია

ჭიათურის სამრეწველო რაიონში მთელი ვაჭრობის 90 პროცენტი დაიპყრო ჭიათურის მუშათა კოოპერატივებმა, კოოპერატიულ სავაჭროებში უხვად მოიპოვება პირველ მოთხოვნილების საგნები და საქონელი.

ჭიათურის მუშათა კოოპერატივს აქვს თავისი განყოფილებები სოფ. შუქრუთში, პერევისაში, ცხადვრიში, წირქვალში, რგანში და სხვაგან, სადაც თავის დროზე აწვდის საჭირო საქონელს, რითაც გლეხობა გამოსთქვამს სრულ კმაყოფილებას.

### სახალხო სასამართლო

ჭიათურაში არის მხოლოდ ერთი სახალხო სასამართლო, რომელიც წარმატებით ანხორციელებს რევოლიუციონურ კანონიერებას, მაგრამ მას მთელი თავისი მუშაობა უხდება შრომის საქმეებზე (შრომის ხელფასი და სხ.), სასამართლოს შტატი კი პატარაა და საჭიროა გადიდდეს მისი შტატი, ვინაიდან მას მუშაობა უხდება როგორც ჭიათურის სამრეწველო რაიონში, ისე სხვა დანარჩენ 9 თემში.

### ხელოვნება

ჭიათურაში არის აკადემიური თეატრი, უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის დასის შემადგენლობა შედარებით წარსულ წლებთან კარგია, სეზონის განმავლობაში მომზადებული და დადგმული იქნა რჩეული პიესები მაგალითად „ლატავრა“, „კინტო“, „მენჯი მეზარე“, „იმპერიალ ჩინეთი“, „ამერიკელი ძია“, „კომისარი მოსკოვიდან“ და „როვევა“. აღნიშნულ წარმოდგენებს ესწრებოდა დიდძალი მუშები და მოსამსახურეები. თეატრის ადმინისტრაციაც თავის სიმაღლეზე სდგას საერთო ხელმძღვანელობის მხრივ.

ასეთივე წარმატებები აქვს სხვა დანარჩენ დარგებსაც, რომელიც აქ არ დავისახელებია.

კ. ქვაპკარელი.

# ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

## „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლუარსაბ, რეზო, ზურაბ, გივი და ლამარა ქავთარაძეებს, ალიოშა ჩაჩიბაიას, ნელი კაკაბაძეს, გოგი მამინოშვილს, მედეია მილორავას, ტარიელ და ნიტა ქუთათელაძეებს, ციალა და ნაზიკო ქაცარავებს.

**კუკური და გვატა წულაია.**

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლუარსაბ, რეზო და ზურაბ ქავთარაძეებს, თინა და ლენა შენგელაიებს. საშა ბიდიას, ლამარა ნამიჩეიშვილს. გოგი და ლენა შალამბერიძეებს.

**თამარ ბედია.**

—:—

ფუთური ქადიეშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: პოლიკო მეუნარგიას, თენგიზ დარსველიას, ლატერი სტეპანოვას, ვოვა თათუზიას, ნადია ჭოჭუას, ა. ტურკიანს, გოგონა მუავანაძეს, ეთერი ქყონიას, ლ. ჭეიშვილს, ალ. მდივანს.

**აგასტინა მეუნარგია.**

—:—

რუსუდან ჩიქოვანის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ჯუტკო მანჯღალაძეს, შოთა დევდაძეს, შოთა ულუმბელაშვილს, კოლია ზაზაძეს, ფუსი არსენიშვილს, ნათელა დიდიძეს, ვიქტორ ქურდაძეს, ავქაფინა სარჯველაძეს.

**რევაზ ჩიქოვანი.**

—:—

ხაზუმის თემში არსებულ ქალთა სადელეგატო კრებას ქ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვს 19 მანეთი და იწვევს ზუგდიდის მაზრის ყველა ქალთა სადელეგატო პუნქტებს.

**დავალებით რ. გახარია.**

—:—

გაჭედილის თემის მასწავლებლებს შემოაქვთ დღიური ხელფასი 15 მან. 60 კ. რაოდენობით: დავით მასხულიას—2-50, სიმონ გაბისონიას—2—20, ვასო ქორჩილავას—2—20, ლიდა შავდიას—1—20, შურა შავდიას—1—50, სპირიდონ ჯანჯღავას—1—80, ვარლამ ჯანჯღავას—1—40, რაჟდენ წოწორიას—1—60, პორფილე ოდიშარიას—1—20.

**დავალებით ვასო ქორჩილავა.**

ადიკო გოდაბრელიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: კუნუნა და ვახტანგ მეშანიშვილებს, ნუნუკა ქუთათელიძეს, ნოდარ თავბერიძეს, გივი გაფრინდაშვილს, თენგიზ და გაიოზ იაკობაშვილებს და ცაცა კაკაჩიშვილს.

**ოთარ მეშანიშვილი.**

თენგიზ აკაკიძე ბაქანიძის გამოწვევით ქუთაისის დასახმარებლად შემომაქვს ერთი მანეთი ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ: ნათელა აფაქიძეს და ოთარ ჯორბენაძეს.

**გივი სურგულაძე.**

—:—

ანტონინა კალანდარიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: გივი გრიგოლიას, ვახტანგ ცაავას, ნელი ჭოჭუას, ოლია დემურიას, გივი ქანტურიას და გივი მამულიას.

**გურია ტიურინი.**

ს. დიდი-ლილოს (თბილისის მაზრა) ოთხწლიანი შრომის სკოლის მოწაფეებს შემოაქვთ ექვსი (6) მანეთი უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად. შეგროვილი ხსენებულ სკოლის მოწაფეთა შორის.

მონდობილობით **გიორგი ბაქრაძე.**

ამხ. ოთარ ანანიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ერთი მანეთი (1 მ.) და ვიწვევ შემდეგ ამხ.: მიშიკო დარჩიაშვილს, სანდრიკა მირიანაშვილს, პოლიკო ბოჭორიშვილს, თომა მელიავას და თამარა ქართველიშვილს.

**თინიკო დარჩიაშვილი.**

ქაქიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: სევო თოხაძეს, მიშა ლაშხს, საბა ლომბაძეს, ვალიკო ლორთქიფანიძეს მოსკოვში, რუსუდან და ავთანდილ ლორთქიფანიძეს, ქეთო და მარუსა კანდელაკებს, შალვა ჭყონიას.

**ჯუანშერ ლორთქიფანიძე.**

—:—

ჟორჟიკო გუგუშვილის გამოწვევით შემომაქვს ქუთაისის დაზარალებულთა ფონდის სასარგებლოთ სამი მანეთი და ვიწვევ: გოგია ვაჩნაძეს და ვასიკო იოსავას.

**თენგიზ აფხაზი.**

გუშინ „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 52—60. სულ წინად შემოსულთან ერთად—19.080—57.

# ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### რიონჰესში

რიონჰესში დაიწყო მუშაობა გვირაბზე და მთავარ საგუბარზე. მოსკოვიდან ჩამოვიდა საკავშირო ფინსახკომის წარმომადგენელი ინჟ. **რასკატოვი,** რომელიც სპეციალურად რიონჰესის სამუშაოთა დასათვალიერებლად იყო ჩამოსული. მან ორი დღე დაჰყო ქუთაისში, წინასწარი მუშაობა მოიწონა და ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საჭიროდ აღიარა სააღმშენებლო ტემპის დაჩქარება და საამისო კრედიტების გახსნა. დროებითი ელექტრო-სადგურის შენობის აგება უკვე მოთავდა. დადგმულია ორი მთავარი მანქანა 400 და 280 ძალიანი. ჯერ-ჯერობით რუსეთიდან მიღებული არ არის ზოგიერთი ნაწილები, რის გამოც სადგურის ამუშავება გვიანდება.ყოველ შემთხვევაში სადგური ამუშავდება არა უგვიანეს ა. წ. 1 აგვისტოსი. 1 ივლისისათვის მუშაობას დაიწყებს წყალსადენი რიონჰესის სამუშაოებისათვის. წყალსადენის სიგრძე იქნება 11 კილომეტრი. ივლისის 15-დან რიონჰესის სამუშაოებზე იმუშავებს 3.000-მდე კაცი.

### გაფლანგვა

აღმასკომის საკირეს. გამგე კაკაბაძე 1.400 მანეთის გაფლანგვის გამო მოხსნილია სამსახურიდან, მის ადგილზე დანიშნულია დაწინაურებული მუშა-მემანქანე 25 წლის საწარმოო სტაჟით ამხ. **სევერიანე მურღულია.**

### ბინები ხანძრით დაზარალებულთათვის

ქუთაისის გაღმა უბანში უკვე შეუდგნენ ბინების მოწყობას ხანძრით დაზარალებულთათვის. მათთვისვე კომუნალურმა მეურნეობამ გამსახლს შეუკვეთა 167 ტახტი და 206 სკამი.

### მშენებელ მუშათა კონფერენცია

10 ივლისისათვის ქუთაისში მოწვეულია აღმშენებელ მუშათა კავშირის კონფერენცია.

### შრომის ბირჟაში

ადგილობრივ შრომის ბირჟას აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს 5.088 უმუშევარი.

# ქრონიკა

### ნაოსნობა რიონზე

ამიერ-კავკ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ რიონის სანაოსნო საზოგადოებას დაავალა შეადგინოს ნაოსნობის განვითარების გეგმა, რომელშიაც დაწვრილებით უნდა იქნეს გათვალისწინებული ნაოსნობის შემოსავალი, საექსპლოატაციო ხარჯები და სხვა.

გეგმა დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს და საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატს.

### სავალდებულო-საყოველთაო სწავლა

განათლების სახ. კომისარიატის წინადადებით განათლების სამაზრო განყოფილებები და ავტონომიურ რესპუბლიკების განათლ. სახ. კომისარიატები ამჟამად ადგენენ სწავ.-განათლ. საქმის განვითარების 5 წლიან პერსპექტიულ გეგმებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედვას საყოველთაო-სავალდებულო სწავლის შემოღებას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

ჯერ-ჯერობით გეგმები შეადგინეს: ზორაპნის, ოზურგეთის, ქუთაისის, გორის, ლეჩხუმის, რაჭის, სვანეთის, ახალციხის და თელავის მაზრებმა.

### თბილისის საამშენებლო სასწავლებელში

ხუთშაბათს, 28 ივნისს ნაშუადღევის 5 საათზე ამშენებელთა კავშირის საამშენებლო სასწავლებლის შენობაში (დიდუბის ქ. № 21—5) ამავე სასწავლებლის დაარსებიდან 3 წლის შესრულების გამო შესდგება საზეიმო სხდომა. ამავე დღეს მოხდება სასწავლებლის კურსდამთავრებულთა გამოშვება.

### თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის ათი წლის თავი

ყოფილ რკ. გზის ტეხნიკურ სასწავლებლის დაარსებიდან 50 წლის, ხოლო მისი თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმად გადაკეთებიდან 10 წლის შესრულების გამო შესდგა ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის იმ კურსდამთავრებულთა საერთო კრება, რომელნიც თბილისში იმყოფებიან.

კრებამ აირჩია ბიურო 16 წევრის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა გამოიმუშაოს იუბილეში მონაწილეობის მიღების პროგრამა.

ბიუროს დაევალა აგრეთვე ტეხნიკუმის ყოფილ მოწაფეთა შორის შეაგროვოს საჭირო თანხა და ამ თანხით შეიძინოს ლაბორატორიული ხელსაწყოები და კურსდამთავრებულთა სახელით მიუძღვნას ტეხნიკუმს.

### რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პლენუმი

დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მე-6 პლენუმი, დღის წესრიგი: შრომის ხელფასის რეფორმის შედეგები, პირველი მოთხოვნილების პროდუქტების მიწოდების საქმე რკინის გზაზე, განჯის საუბნო კომიტეტის მოხსენება, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება რკინის გზის დამხმარე სალაროს გამოკვლევის შესახებ, კულტფონდის განაწილება და საკლუბო მშენებლობა ა.-კ. პოლიტგანმანათლებელი მუშაობა, სარევიზიო კომისიის მოხსენება, მე-7 საგზაო ყრილობის მოწვევის შესახებ, საორგანიზაციო საკითხები, მიმდინარე საკითხები.

### ამანათების მიღება საზღვარ-გარეთიდან

არსებული დებულების თანახმად, კერძო პირებს შეუძლიათ საზღვარგარეთიდან თავისი საჭიროებისათვის მიიღონ სამომხმარებლო საქონელი განსაზღვრული ნომენკლატურით და განსაზღვრული ნორმების ფარგლებში. ხშირად საზღვარგარეთიდან მოსულ ამანათებში უდევია ისეთი საგნები, რომლების შემოტანაც აკრძალულია ან არის საგნების იმაზე მეტი რაოდენობა, ვიდრე ნორმით არის განსაზღვრული. ეს გარემოება იწვევს მთელი ამანათის დაკავებას. უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატს ხშირად მოდის განცხადებები ასეთი ამანათების გაცემის შესახებ.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე გარჩეული იქნა ეს საკითხი.

კოლეგიამ დაადგინა მომავალში არ გამოუშვას ამანათები, რომლებიც საგნებს შეიცავენ ნორმაზე მეტი რაოდენობით.

### სპილენძის ექსპორტის შეწყვეტა

სპილენძის დასამზადებელ ფასის გადიდების გამო ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა საექსპორტო გეგმიდან გამორიცხოს სპილენძი და შესწყვიტოს მისი საზღვარგარეთ გატანა.

### კოოპერაცია და ექსპორტი

ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებით, თხილის, ლობიოს, სოიას, ბერძნული თხილის, დაფნის ფოთლის და ნიორის ექსპორტი დაეკისრა „ზაკსოიუზ“-ს. ამასთანავე მიზანშეწონილად არის ცნობილი, რომ მეორე ხარისხოვან საქონლის ექსპორტიც „ზაკსოიუზს“ დაევალოს.

### დისციპლინარული სასჯელი

საქართველოს შრომისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებმა გამოსცეს დადგენილება რომლის ძალით სახ. წარმოებებში ჩადენილ წვრილ ქურდობისათვის დამნაშავე მუშა-მოსამსახურეს დაედება დისციპლინარული სასჯელი: პირველ შემთხვევაში ცეხში ან მთელ ქარხანაში საჯაროთ შენიშვნის გამოცხადება; მეორე შემთხვევაში—უფრო დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება და მესამე შემთხვევაში—დათხოვნა სამსახურიდან.

### თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი სახლები.** თბ. აღმასკომმა დაადგინა ქორესის ქუჩაზე ააგოს 2 ახალი სახლი. თითო 36 ოთახით. ორივე სახლების აგებას დასჭირდება 250.000 მან.

◆ **მოძრავი ამბულატორია.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრისათვის მოაწყოს მოძრავი ამბულატორია.

### მიწსახკომში

◆ **კურსები.** მიწსახკომმა თბილისში გახსნა ტრაქტორზე მომუშავეთა მოსამზადებელი კურსები.

### საზოგადოება „საქართველოს ჩაი“

◆ **თათბირი.** საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ 25 ივნისს ოზურგეთში იწვევს აგრონომების და ჩაის სპეციალისტების თათბირს.

◆ **ახალი სადგური** „საქართველოს ჩაი“-მ გადასწყვიტა ოზურგეთში მოაწყოს ჩაის საცდელი ცენტრალური სადგური.

### სხვადასხვა

◆ **თამბაქოს ქარხნის გასაფართოებლად** სიღნაღის აღმასკომს თამბაქოს ტრესტმა მისცა ათასი მანეთი.

◆ **შაბიამანის წარმოება.** სახ. მეურნ. უმ. საბჭო შეუდგა მზადებას საქართველოში შაბიამანის წარმოების მოსაწყობათ.

◆ **სასკოლო გამოფენა.** დღეს, მუშათა თეატრში (ყოფ. სახ. სახლი) გაიხსნება საქალაქო სასკოლო გამოფენა. შესვლა უფასოა.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება განათლების სექციის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენება, სავალდებულო-საყოველთაო სწავლის შემოღებისა და მომავალი სასწავლო წლის სასკოლო ქსელის შესახებ.

— **ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“.** გამოვიდა ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“-ს მორიგი მე-5 ნომერი. **სტატიები: ეკონომისტი**—სპეციალისტების მომზადების საკითხისათვის, **გ. სარუხანოვი**—დიფერენციაციის პრობლემის შესახებ, **პ. გოთუა**—ხილის სახმობი და კონსერვის ქარხნები საქართველოში, **ლ. კარბელაშვილი**—მომავალი წლის საკონტროლო ციფრების შედგენის შესახებ, **ვ. თევზაია**—საქართველოს ვაჭრობის დამახასიათებელი ელემენტები, **ირ. მიქელაძე**—სამრეწველო მშენებლობა საქართველოში, **რ. მელაძე**—მიწის რენტის სოციალური ბუნების გაგებისათვის, **მიხ. ლორთქიფანიძე**—სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაზღვევა საქართველოში, **შ. ტატიშვილი**—სასოფ.-მეურნეობა სიღნაღის მაზრაში, **ვ. გამყრელიძე**—ქუთაისის კომუნალური წარმოება და ქონება; **ბიბლიოგრაფია: 1. გ. გეხტმანი:** სანიმუშო გეგმა სოფლის, თემის დაბის, ან სამაზრო ქალაქის გეოგრაფიულ და სტატისტიკურ-ეკონომიური აღწერისა—ან. კანი. 2. საქართველოს გლეხის ბიუჯეტი 1924-25 წ. გამოკვლევის მიხედვით—ი. მ-ძე 3. Д. Розенберг. Программа политэкономии с комментариями, заданиями и указателем литературы — აკ. კალაძე. 4. Сборник материалов по вопросу о нефтяных местонахождениях Грузии — ია. 5. Мировое хозяйство и мировая политика. 6. უცხოეთის ჟურნალებში. ამას გარდა ჟურნალში მოთავსებულია პრესა და ინფორმაცია.

# სასამართლო

### მამა და შვილი

— რას დაგდებულხარ სახლში! ცოლი სხვასაც კი შეურთავს, მაგრამ მუშაობაზე ხელი არ აუღია. იქნება ფიქრობ, რომ მე ვარჩენ შენს ცოლს.

— რა იყო მამა! როდის მითქვამს უარი მუშაობაზე. მალროვე, სანამ თიკო ოჯახს გაეცნობა... ახალგაზრდა ქალია. შევაჩვევ მუშაობას და შემდეგ დავიწყებ სიარულს სამუშაოებზე...

**გიორგი ვაჭიკაშვილს** ახალ შერთული ჰყავს ცოლი. უჭირდება თიკოს მარტო მიტოვება სახლში. მამა კი ნერვიულობს. ყოველდღე ეჩხუბება შვილს.

გიორგი იძულებული გახდა მიეტოვებინა ოჯახი და წასულიყო სამუშაოდ.

დარჩენ სახლში მამამთილი და რძალი. დაღამდა. რძალმა დაიძინა.

მამამთილი იაკობ ვაჭიკაშვილი შედის მძინარე თიკოსთან და ლოგინში ჩაუგორდება.

ქალი გიჟივით წამოიჭრება ზეზე და ყვირილს დაიწყებს.

— რა მოგივიდა?

— რად მოსულხარ ჩემთან?

— ისე, ტყვილად... ძილში რაღაცეებს ვბოდავდი შემეშინდა ავად არ იყოს მეთქი!

მამამთილს აეშალა საღერღელი. დაუწყო ხვევნა რძალს, მაგრამ მალე მოგერიებულ იქნა.

გავიდა რამდენიმე დღე. გიორგი დაბრუნდა სამუშაოდან. თიკო დაუხვდა მტირალი.

— მე შენ გამიგყევი ცოლად, თუ მამაშენს? —უსაყვედურებს ცოლი გიორგის.

გიორგიმ ჭკუა კინაღამ დაჰკარგა, როცა ცოლმა უამბო მამის ნამოქმედარი.

გიორგი გაიქცა საბჭოში.

ამბავი ხდება სოფელ ზინობიანში (თელავის მაზ.).

სოფლის საბჭოს წარმომადგენელმა გამოჰკითხა იაკობ ვაჭიკაშვილი ასეთი საქციელისათვის და მისცა გაფრთხილება აღარ გაემეორებია ასეთი რამ.

არ გასულა ორი კვირა, გიორგის სახლში არ ყოფნის დროს იაკობმა კიდევ მიიტანა იერიში თავის რძალზე.

— დიდ ქალაქებში მამაშვილობა აღარ სწამთ. ჩვენ ვინ დაგვწრახავს,—დაიწყო „პროპაგანდა“ მამამთილმა, მაგრამ რძალის გული ვერ მოინადირა.

ჩამოვარდა სამუდამო მტრობა მამასა და შვილს შორის. შვილმა მოითხოვა გამოყოფა მამისაგან და საჩივარი აღძრა სასამართლოში.

გასაჩივრებით უკმაყოფილო იაკობმა გააგდო სახლიდან შვილიც და რძალიც. უკანასკნელი გადასახლდენ ახალ-სოფელში, თიკოს დედასთან.

გიორგი გულში ატარებდა მტრობას და ეძებდა შესაფერ მომენტს, რომ შური ეძია [illegible].

გიორგი სოფლის მეველედ აირჩიეს.

ერთ დღეს, როცა გიორგი მეზობელ **არტემა დონგიშვილთან** ერთად სადარაჯოზე იყო, ნახშირის საწვავად წავიდა იაკობი ტყეში.

ტყეში მიმავალ მამას გიორგიმ ესროლა ბერდანკა და მოჰკლა. გიორგისთან იყო ამ დროს არტემა დონგიშვილი, რომელმაც ურჩია მას გახურებულ თონეში ჩაეგდო მოკლული მამის გვამი.

— იტყვიან ფეხი დაუცურდა, ჩავარდა თონეში და დაიწვაო, შენ კი გადარჩები ციხეში ჯდომას,—უთხრა დონგიშვილმა.

ასეც მოიქცენ. ჩააგდეს მოკლული გავარვარებულ თონეში, სადაც ის ნახშირად ქცეული ნახეს მეორე დღეს.

ბოროტმოქმედების კვალს მაინც მიაგნო ხელისუფლებამ. გიორგი გამოტყდა დანაშაულში.

საქმე გაარჩია თელავის მაზრის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით.

**გიორგი ვაჭიკაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით; დონგიშვილს—5 წლით.**

**გერ.**

# ქურდობა თუ სიმულაცია

გუშინ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა, რომ საბჭ. სავაჭრო ფლოტის მოლარეს გერასიმე მასლიოკინს რეზინის ტრესტის მაღაზიაში (აღმასკომის ქ. № 6) მოჰპარეს პორტფელი, რომელშიაც ჰქონდა 5.150 მანეთი. ამ შემთხვევის გამო თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ამხ. გ. თოფურიამ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

დაახლოებით ამ ორი თვის წინად ქალაქში გახშირებული იყო შემთხვევები, როცა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ზოგიერთი თანამშრომლები აცხადებდენ სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მათ ბანკებსა და სხვა დაწესებულებებში დაეკარგათ პორტფელები, რომელშიაც ჰქონდათ სახაზინო ფული. სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ საფუძვლიანად შეისწავლა პორტფელების „დაკარგვის“ შემთხვევები და აღმოაჩინა, რომ პორტფელების დაკარგვას ადგილი არ ჰქონია. გამოძიებით დადასტურდა სიმულაციის მთელი რიგი შემთხვევები. ასეთ პირთა წინააღმდეგ ჩვენს მიერ მიღებული იქნა გადამჭრელი ზომები. ვაპატიმრებდით იმ პირებს, რომლებიც აცხადებდენ, რომ მათ მოჰპარეს პორტფელები. დაპატიმრების შემდეგ ისინი აღიარებდენ თავიანთ დანაშაულს და უტიფრად აცხადებდნენ, რომ ათ „შემოეხარჯათ“ სახაზინო ფული. ჩვენს მიერ მიღებული ღონისძიებების წყალობით, უკანასკნელ ხანებში თითქმის სავსებით აღმოფხვრილ იქნა სიმულაციის შემთხვევები.

„გამონაკლისს“ ადგილი ჰქონდა გუშინწინ დღისით, როცა ჩვენ მივიღეთ ცნობა რეზინოტრესტში „სოვტორგფლოტის“ მოლარისათვის 5.150 მან. „მოპარვის“ შესახებ. ამ საქმის შესახებ უნდა განვაცხადო, რომ იმ მასალების მიხედვით, რომელიც ხელთა გვაქვს, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სიმულაციას. ცხადია გადაჭრით იმის თქმა, რომ მასლიოკინმა ეს ჩაიდინა ანგარების მიზნით არ შეიძლება, მაგრამ საქმეში დართულ მასალების მიხედვით, უფრო მეტი საფუძველია ვიფიქროთ, რომ მასლიოკინისათვის ფული არავის მოუპარავს.

ამჟამად ამ საქმეზე სისხლის სამართლის მილიცია აწარმოებს გამოძიებას ჩქარი ტემპით. გუშინ დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები. ზოგიერთ მოწმეთა ჩვენების მიხედვით მასლიოკინი მაღაზიაში შევიდა უპორტფელოდ.

გუშინ ჩვენ შევეკითხეთ სახელმწიფო ბანკს, რომელმაც დაადასტურა ცნობა მასლიოკინის მიერ ბანკიდან 5.150 მანეთის მიღების შესახებ. ბანკიდან ფულის მიღების შემდეგ მასლიოკინი შევიდა რეზინის ტრესტის მაღაზიაში. მივიდა მოლარესთან, რომლისთვისაც უნდა მიეცა 150 მანეთი. მასლიოკინის სიტყვით, მან 150 მანეთი ამოიღო პორტფელიდან და შემდეგ იგი დასდო დაზგაზე. როცა მან მოლარე გაისტუმრა, მოინდომა პორთფელის აღება, მაგრამ იგი უკვე „გაეტაცნათ“. უნდა ითქვას, რომ ეს ძლიერ საეჭვო განცხადებაა და თუ მართლაც ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მასლიოკინი მაინც დამნაშავეა.

გუშინწინ ამ ცნობის მიღებისთანავე რეზინოტრესტის მაღაზიაში დაუყოვნებლივ გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც მოახდინეს ჩხრეკა, მაგრამ პორთფელი ვერ იპოვნეს.

ჩვენ შეკითხვაზე,—ახსოვს თუ არა მასლიოკინს იმ პირთა გარეგნობა, რომელნიც იმ დროს მაღაზიაში შევიდნენ—მან განაცხადა —„არ მახსოვსო“.

ამჟამად მასლიოკინი დაპატიმრებულია და სიმულაციის ფაქტი საბოლოოდ რომ არ დადასტურდეს, იგი მაინც გასამართლებულ იქნება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მიხედვით, რომლითაც გათვალისწინებულია სამსახურისადმი დაუდევრობა.

# ვის ჩამოერთვა სახლები

**ისაი დოლუხანოვს** (მახარაძის ქ., 6), **ტერ-დავიდიანს** (კალინინის ქ., 36), **ლიუდმილა ოდიშელიძეს** (განჩარის ქ., 15), **ელენა სულხანიშვილს** (საეკლესიო ქ., 15), **ხუციევას** (საბჭოთა ქ., 27), **სოფიო ფარაჯანოვს** (სურ-კარაპეტის ქ., 5), **აიბაბანოვს** (საბჭოთა ქ., 41), **ნინა ასტვაცატუროვას** (მიმოსვლის ქ., 17), **პავლე ანდრიევსკის** (განჩარის ქ., 18), **კალანდაძეს და ჰანტურიას** (ანტონოვის ქ., 3), **საბაშვილს** (აზიზის ქ., 11), **ელენა თუხარელს** და სხვ. (პანასევიჩის ქ., 52), **მ. ტერ-ხაჩატუროვს** (ლენინგრადის ქ., 11), **ს. იამობიანს** (მერკვილაძის ქ., 7), **გაჯიევს** (პლეხანოვის პრ., 10), **ამირბეკოვს და გასპარიანს** (პლეხანოვის პრ., 152), **ზაქრო სომხიევს** (ანტონოვის ქ., 4); **მარია მალიანცს** (პანასევიჩის ქ., 8), **ზაქრო კობიევს** (რიყის ქ., 4), **არტამ ნერსესოვს** და სხვ. (განჩარის ქ., 8), **ოგანეს პოპოვს** (პანასევიჩის ქ., 8), **ი. ნადირაძეს** (კარგარეთელის ქ., 8), **კეკელა ბეგიჯანოვს** (პანასევიჩის ქ., 17) **კრივორუჩკოს** (რიყის ქ., 8) **აბელიანს** (სანაპირო ქ., 5), **ივანე ტარაშჩინს** (პანასევიჩის ქ., 48), **მარია თუმანოვას** (ეკატერინეს ქ., 4). **ე. ბაშინჯაღიანს** (განჩარის ქ. 3), **ვეკილოვს** (გორკის ქ., 8) **კონსტანტინე ვასილიევს** და სხვ. (განჩარის ქ. 1), **ურანეიშვილს** (პეტრიწის ქ., 11), **სარდარაკოვას** (ბზის მოედანი 3), **კაზაროვს და ვასილევს** (რიყის ქ. 78), **კარნაუხოვს** (მონტინის ქ., 13), **ოლღა კოკაშვილს** (ბუფერის ქ., 8), **ვარდენ ძიძიშვილს** (ცინცაძის ქ., 33), **ფარსადან მომიჩევს** (საბჭოთა ქ., 151), **რომან ბაკურაძეს** (საბჭოთა ქ., 147), **აფაკ ბარიიანცს** (პანასევიჩის ქ., 31), **სერგო ვანიანცს** (კალინინის მოედანი 1—3), **სუსანა მხითაროვას** (გურამიშვილის ქ., 4), **უმიკოვს** (კამოს ქ., 19).

# შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 23 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

**კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან:** პეტრე პოტობაევი, სედრაკ სოლოღაშვილი, სოლომონ გოლიაშვილი, ალექსი ფირალიშვილი, ე. მერგენტალერი, რუბენ სოგობანოვი, ვასილ ბიჩკოვი, ნიკოლოზ სოლოღაშვილი, ვალენტინ ლილოვი, ავეტიკ გევორქოვი, ალექსანდრე საფაროვი, ვლადიმერ შალი, დავით ახსახალიანი, აბდულ ბუზზტა, აშოტ ბოტანჯევი, კაზიმირ ზავაცკი, ელისაბედ კუზავოვა და მარიამ ხოლადნოვა. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** კონსტანტინე ჭავჭავაძე, ანგელინა დიდია, მარიამ წულუკიძე, ო. ნიჟარაძე, გრიგოლ ანანია, ელენე მარქაროვა; გიორგი ინაშვილი, ალექსი ვაშალომიძე, ვასილ ლეჟავა, ელენე მარქაროვი, ანნა შხიანი, ანნა ბზხიევა, თამარ ჩაჩიბაია, რაისა ანისჩენკო, ნინო კალატოზიშვილი, ადელაიდა გარლუა, ელენე ჩილინგაროვა; ბარბალე ზუბკოვა, ანნა ჩლემოვა; იოსებ დავითაშვილი; მიხეილ მიქაელიანი; ევსევი ებანოიძე. **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** ნინო ლაფერაშვილი, ევგენი ქუთათელაძე, ნიკოლოზ სტაჯაძე და არშაკ ეგიაზაროვი. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** სედრაკ სოლოღაშვილი, ალექს. ფირალაშვილი და სოლომონ გომინაშვილი.

# რადიო-გადაცემა

### შაბათი, 23 ივნისი

დღეს, 23 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

საგლეხო რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ა.-კ. რკინისგზელთა კავშირის საგზაო კომიტეტის პლენუმის ტრანსლიაცია.

საკონცერტო განყოფილება.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### შესაძლებელია თუ არა უმტკივნეულო მშობიარობა

ტკივილები მშობიარობის დროს ითვლება ისეთივე ნორმალურ, ფიზიოლოგიურ მოვლენათ, როგორც თვით მშობიარობა. მაგრამ რომ ტკივილები მშობიარობის პროცესის თანდაყოლილი თვისებაა, დიდ წინააღმდეგობას შეიცავს, ვინაიდან ცნება - ტკივილი — წმინდა პათოლოგიური მოვლენაა; ადამიანის ორგანიული ცხოვრების სხვა გამოხატულებებს არავითარი ტკივილები არ სდევს თან. ეს ამტკიცებს, რომ მშობიარობის ტკივილები არის შედეგი რაღაც არანორმალობისა ორგანიზმში. იმ შეხედულების მომხრეები, რომ მშობიარობის დროს ტკივილებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, — ტკივილებს ხსნიან თანამედროვე ქალის სათუთობით და იმით, რომ ისინი არ მოძრაობენ, რაც იწვევს ქონის დაგროვებას სამშობიარო გზებში და მათ დავიწროებას. ამის დამამტკიცებლად მოჰყავდათ ის ფაქტი, რომ შავკანიანი რასის ველური ტომების ქალები ბავშვს ბადებენ ისე, რომ ერთი კვნესა არ ამოხდებათ. ამ შეხედულების დასამტკიცებლად ამჟამად მოჰყავთ უმტკივნელო მშობიარობის ახალი ფაქტები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში შენიშნეს ცივილიზაციურ ქალთა შორისაც. ასეთი შემთხვევები გამოაქვეყნეს ინგლისელმა ექიმებმა **მასხერმა და პატტონმა.** ერთ ასეთ შემთხვევის დროს, ექიმი მიიწვიეს ფეხმძიმე ინტელიგენტ-ქალთან, რომელსაც ე. წ. „პირველადი მშობიარობა“ გავლილი ჰქონდა. ეს მოხდა იმ დროს, როცა ქალი, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებას არ მოელოდა, სტუმრად იყო ნაცნობებთან. ჩქარა დაიწყო თვით მშობიარობის პროცესი, რომელსაც ფეხმძიმე ქალი განიცდიდა, როგორც მუცლის პერიოდულ დაწევას დაბლა. ბავშვის თავის გამოჩენასაც კი—მშობიარობის აქტის ყველაზე ძნელ მომენტს—არ სდევდა არავითარი ტკივილები. იშვა სავსებით ჯანსაღი, 3 კილოგრამი წონის მქონე ბავშვი.

### რა იწვევს სიკვდილს ტანის დაწვის დროს

გამორკვეულია, რომ თუ დამწვარია ტანის ზედა პირის ნახევარზე მეტი, ადამიანი კვდება. ასეთ შემთხვევებით გამოწვეულ სიკვდილის უშუალო მიზეზის შესახებ არ არსებობდა გარკვეული აზრი: ერთნი სიკვდილის მიზეზად თვლიან სისხლის გაცხელებას, ზოგიერთები — ოფლის გამოყოფის შეწყვეტას, სისხლსადენ მილების შეკუმშვის უნარის შესუსტებას და სხვ. სხეულის დაწვით გამოწვეულ იკვდილის მთელი სურათი კი ამტკიცებს, რომ ორგანიზმი მოიწამლა რაღაც შხამით, რომელიც თავისი მოქმედებით მუსკარინს წააგავს.

ექ. **ი. კიანიცინმა** ეს საკითხი ზედმიწევნით შეისწავლა. სხვადასხვა სახის დაწვის შესწავლამ ცხოველებზე ბრწყინვალედ დაამტკიცა აზრი, რომ დაწვის დროს ადგილი აქვს ორგანიზმის მოწამვლას. დამწვარ ცხოველების სისხლიდან და შარდიდან მოახერხეს გამოყოფა ალკალოიდის, რომელსაც შხამის თვისებები აქვს. მისი შეშხაპუნება ჯანსაღ ცხოველების სისხლში იწვევს — მოძრაობის უნარის დაკარგვას, კანის მგრძნობიერების შესუსტებას და სიკვდილს ნახევ. - 1 საათის შემდეგ. მაგრამ ამნაირად მოწამლულ ცხოველების სისხლში ატროპინის ერთ პროცენტიან ხსნარის 1-2 კუბ. სანტ. შეშხაპუნება აღადგენს გულის მუშაობას. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი პრაქტიკული დასკვნა: ტანის დიდი ნაწილის დაწვის დროს საჭიროა ატროპინის შეყვანა ორგანიზმში.

### ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა

დორტმუნდში (გერმანია( გამართულ გამოფენაზე სხვა ექსპონატებს შორის იყო ერთი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა—ჩალის საჭრელი და თივის მექანიკურად (შეკუმშული ჰაერით) მიმწოდებელი.

ამ მანქანის მუშაობის ნაყოფიერება უდრის 5.000 კილოგრამს საათში.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**შაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე** აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების მე-3-ე საქალაქო რაიონული კონფერენცია.

დღის წესრიგში: პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რაიონ. საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევა. დელეგატების არჩევა თბილისის კონფერენციაზე გასაგზავნად.

დელეგატებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ კონფერენციას;

—:—

**ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების** მე-3-ე რაიონული საბჭო იტყობინება, რომ დღეს, 23 ივნისს საღამოს სრულ 6 საათზე მესამე რაიკომის შენობაში (კახეთის ქ. № 1, მეორე სართული) [illegible] და სოფლის კავშირის [illegible] ცია.

**საქართველოს ახ.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტი** იუწყება, რომ, დღეს 23 ივნისს, საღამოს 5 საათზე თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება აღნიშნულ **კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.**

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ კომისიის წევრები და აგრეთვე ის პირები, რომელთა ანკეტები უნდა დაამტკიცოს თბილისის კომიტეტმა.

---

კვირას, 24 ივნისს, დღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

**სილოვან ხუნდაძის**

ხსოვნის აღსანიშნავათ, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობებს განსვენებულის ოჯახი. 2808 2—1

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის თერაპიული კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე კლინიკის ორდინატორის

**ექ. იოსებ გიორგის-ძე დონჯაშვილის**

ტრაგიკულ გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტიდან (კამოს ქ. № 103). საღამოს 5 საათზე. 3—3

---

ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს საზოგადოების წევრის მკურნალ

**იოსებ დონჯაშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტიდან (კამოს ქ. № 103) დღეს საღამოს 5 საათზე. 2823

---

ქალაქის 1-ლი კლინიკური ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება იმავე ინსტიტუტის ორდინატორ

**ექიმ იოსებ დონჯაშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, საღამოს 5 ს. 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტის პროზექტურიდან (კამოს ქ. № 103). 2828

---

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება მწუხარებას გამოსთქვამს 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტის ორდინატორის ექიმ

**იოსებ გიორგის-ძე დონჯაშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. გამოსვენება 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტიდან საღამოს 5 საათზე.

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას კოლეგიუმის წევრის, ფაკულტეტის თერაპიული კლინიკის ორდინატორ ექიმ

**იოსებ გიორგის ძე დონჯაშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. (შ)

---

დაუვიწყარ მეგობრის და ამხანაგის

**ექიმ სოსო დონჯაშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს მასთან კურს დამთავრებულნი ექიმები: ნ. კობიაშვილი, გ. გოგოლაძე, ვ. მერებაშვილი, ნ. მეგრელიშვილი, ს. კანდელაკი, გ. მესტიაშვილი, ი. კობიაშვილი, თ. ყანჩელი, ნ. მჭედლიშვილი, თ. ჯაფარიძე, გ. ბახტაძე, მ. კოკოჩაშვილი, ს. სულხანიშვილი, ა. ახვლედიანი, ა. ქორქია; ო. შუხაშვილი, ნ. შუბლაძე, ბ. ჭელიძე, ვ. ცანავა, ს. რუხაძე, თ. შანიძე, გ. ქაჯაია და სამა სულაკაძე. (შ)

---

დამწუხრებულნი ექიმები: ა. ქავთარაძისა, მ. მაჩაბელი, ნ. ერისთავი, ვ. ნაცვლიშვილი, თ. მეფისაშვილი, თ. ბენაშვილი, ა. ქლენტი, ნ. ანდრონიკაშვილი, ლ. ალადაშვილისა, თ. ტოროშელიძე, თ. წულაია, ნ. მჭედლიშვილი, ნ. მახვილაძე, ი. პარმა, ს. კანდელაკი, გრ. დიდებულიძე, ვ. პიროჟკოვი, ს. მდივანი, ნ. მეგრელიშვილი, მ. ალადაშვილი, ვ. გერსამია, მ. ტყემალაძე, ი. ცინცაძე და გ. მესტიაშვილი აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს დაუვიწყარ ამხანაგის

**ექიმ სოსო დონჯაშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. (შ)

---

გულდათუთქულნი დედა ალექსანდრა, მამა—გიგა, ძმა ვალოდია, დები: თამარა, ანეტა და თინა და სიძეები: აკაკი ჩიჩუა და შალვა ლამბაშიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 20 ივნისს, ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი სახ. უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორი ექიმი

**სოსო დონჯაშვილი**

გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ყოფ. ალექსანდროვის კლინიკის შენობიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (ე)

---

უსაზღვრო მწუხარებით გულმოკლულნი შვილები: ანიჩკა, თინა და ტატიანა კაკაბაძეები, სიძეები: გრიშა შარაშენიძე და მიშა მდივნიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ—მეგობრებს

**ბაბილინე (ბაბი) ბიქტორის ასული გაგილია--კაკაბაძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 26 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქუთაისში. გამოსვენება ჯაფარიძის ქუჩიდან № 45. (დეპ.)

---

დამწუხრებულნი დედა თებრონე, დები ლუბა და ვერა ქმარშვილით, აგრაფენა და მარო, ძმები აქსენტი და ვალოდია აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს

**სერგო სიმონის ძე ნინუას**

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, გერმანელების საავადმყოფოდან დილის 11 საათზე დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე 2828

---

# სას.-სამ. პროდუქტების დამზადება

ა.-კ. კოოპერატიულმა კავშირმა დაამტკიცა სას.-სამ. პროდუქტების დამზადების ახალი გეგმა.

გეგმის მიხედვით, სას.-სამ. პროდუქტების დამზადება ამიერ-კავკასიაში შემდეგნაირათ არის განაწილებული: კარტოფილი—საქართველოში დამზადებული იქნება—150.000 ფუთი, სომხეთში—150.000 ფ.; კომბოსტო—საქართველოში—(გორის რაიონში)— 140.000 ფ.; სტაფილო—საქართველოში (გორის რაიონში) 30.000 ფ.; ხახვი—საქართველოში 20.000 ფ. და სომხეთში—15.000 ფუთი. ამას გარდა, გეგმის მიხედვით დამზადებული უნდა იქნეს 13.000.000 ც. კვერცხი. აქედან საქართველოში დამზადდება ერთი მილიონი, ხოლო დანარჩენს დაამზადებს კავკავის რაიონი. ლობიო დამზადებული იქნება საქართველოში 25.000 ფ.; თხილი—50.000 ფ.; ხილი (ვაშლი, მსხალი)—50.000 ფ. და დაფნის ფოთოლი 40.000 ფუთი.

ფასების აწევისა და დამზადების შეფერხების თავიდან ასაცილებლად ა.-კ. კოოპერატიულმა კავშირმა საჭიროდ სცნო და ბაზრის უზრუნველყოფისათვის თანხებს გაიღებს ცენტრ. კოოპ. კავშირი (ცენტროსოიუზი).

დამზადებული პროდუქცია გადაეცემა ა.-კ. მუშათა კოოპერატივებს და ცენტრ. კოოპერატიულ კავშირს.

# ხელოვნება

### დიდი საღამო-სეირნობა თურქეთის უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ

დღეს მუშათა ახალ კლუბში მბეჭდავთა კავშირი აწყობს დიდ საღამო-სეირნობას თურქეთის უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: ვოლხოვსკაია, დანელიანი, დავითაშვილი, ს. ინაშვილი, ისეცკი, ოგანეზაშვილი, რიადნოვას ვოკალური წრე. ბალერინები: სემენოვა, ჭაბუკიანი და გულულოვა.

საღამოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელობა იკისრა თურქეთის კონსულმა ალი-რეფიგ-ბეიმ.

◆ **„არიფიონი“-ს დაშლა.** მწერალთა სალიტერატურო კორპორაცია „არიფიონი“ დაიშალა.

◆ **საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს** სასარგებლოდ დღეს ოპერის თეატრში გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი, საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

◆ **აქტი-საღამო.** 25 ივნისს კონსერვატორიაში გაიმართება კონსერვატორიის მოწაფეთა აქტი-საღამო.

◆ **მიხა ცხაკაიას სახელობის** ფოსტელთა კლუბში ადგილობრივ დრამწრის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „გეგეჭკორი“.

◆ **„დონ-ჟუანი“** დღეს მუსიკალურ ბუფონადის მიერ რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „დონ-ჟუანი“.

◆ **საბჭოთა მუშაკების კლუბში** დღეს გაიმართება საღამო-სეირნობა.

# შემთხვევები

### კატასტროფა საქ. სამხედრო გზაზე

გუშინწინ, საღამოს, ა.-კ. ავტო-სატრანსპორტო სააქციო საზოგადოების („ზაკავტოპრომტორგ“-ის) სამგზავრო „ლიანჩ“-ის სისტემის ავტობუსს თბილისიდან 82 კილომეტრის დაშორებით, ანანურსა და ფასანაურს შუა დაეჯახა მსუბუქი ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი მოხიბული.

დაჯახებისას ავტომობილი გადაბრუნდა, მას გაუტყდა წინა ბორბალი და დაუზიანდა მოტორი. დაზიანდა აგრეთვე ავტობუსიც.

ავტობუსის გადავარდნისას მგზავრებმა მოასწრეს გადმოხტომა და ამრიგად კატასტროფას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ავტობუსს კავკავიდან თბილისში მოჰყავდა მგზავრები და მოჰქონდა ბარგი.

მიღებული ცნობით, კატასტროფა მომხდარა შემდეგ პირობებში: სოფელ ანანურსა და ფასანაურის მოსახვევ გზაზე „ზაკავტოპრომტორგ“-ის შოფერმა ჯამირაშვილმა შეამჩნია მეორე ავტომობილი, რომელიც თბილისში მიდიოდა.

თბილისისაკენ მიმავალ ავტომობილის მოახლოებისას შოფერმა ჯამირაშვილმა თავისი ავტობუსი შეაბრუნა მეორე მხარეს და მიიღო ზომები გზის განსათავისუფლებლად, მაგრამ ამ დროს მოუსწრო მსუბუქმა ავტომობილმა, რომელიც დაეჯახა ავტობუსს.

როგორც ირკვევა კატასტროფას ხელი შეუწყო შოფერების დაბნევამაც.

დადასტურდა, რომ შოფერები მთვრალები არ ყოფილა.

კვლევა-ძიება გრძელდება.

### უბედური შემთხვევა გინეკოლოგიურ ინსტიტუტში

გუშინწინ, დღისით, გინეკოლოგიურ ინსტიტუტში (ლენინის ქ., 49), ადგილი ჰქონდა შემდეგ უბედურ შემთხვევას:

ინსტიტუტის ერთ-ერთ ოთახში მაგიდიდან უცაბედათ გადმოვარდა „კეროსინკა“. იგი აფეთქდა და მაგიდას მოეკიდა ცეცხლი. ინსტიტუტის დამლაგებელმა ქალმა პოლინა ფომენკომ შენიშნა თუ არა ცეცხლი, გაეშურა მის ჩასაქრობად, მაგრამ ცეცხლი მოედო მას ტანსაცმელზე. ყვირილზე მისულმა თანამშრომლებმა დიდის გაჭირვებით გადაარჩინეს ფომენკოს ქალი. მას დამწვარი აქვს ხელები, კისერი და პირის სახე. დასახიჩრებულს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

### გვამის პოვნა

გუშინ, დღისით, მაკარონის ქარხნის მახლობლად, მტკვრის პირას, იპოვნეს დამხრჩვალი კაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

### ჯიბგირების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა: ვართან სარქისისძე არუთინოვი, სარქის გეურქისძე ბარსეღოვი, ფატმან გუსეინ-ყიზი, ივანე ბიქტორისძე გოგავა, ნიკოლოზ კუნდბიანკინი, სონა სტეფანეს ასული როსტიაშვილი, ქენია მოსეს ასული ხუციშვილი, მახმედ ასლანისძე ახმედოვი და გიორგი რაჟდენისძე კილოსანი.

ხსენებული პირები სისტემატიურად ეწეოდენ ჯიბგირობას.

### ქურდობა

გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის ოთხ შემთხვევას. დაპატიმრებულია ორი ქურდი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### სამუშაო საათების განმავლობაში თათბირებისა და კრებების მოწვევის აკრძალვის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მარტის 11-ს დადგენილება „სამუშაო საათების განმავლობაში თათბირებისა და კრებების მოწვევის აკრძალვის შესახებ“ („კომუნისტი“-ს 61—2104 №-რი 1928 წ. მარტის 15-სა) გაუქმებულ იქნეს.

**საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
**ს. ჯუღელი.**

**საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე**
**ს. სტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 18
თბილისი—სასახლე

### დადგენილება № 89

### ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1928 წლის ივნისის 1

### „ა. კ. ს. ფ. ს. რ. ადგილების სატარიფო ზოლებათ დაყოფის შესახებ“

ა. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. აპრილის 11-ს თარიღით „ა. კ. ს. ფ. ს. რ. სატარიფო ზოლების დაწესების წესის შესახებ“ გამოცემული დადგენილების (გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში № 97—17 აპრ. 28 წ.) თანახმად, ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატი, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატსა და ა. კ. პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს:

1. დაწესდეს ა. კ. ს. ფ. ს. რ ფარგლებში, ზოლების მიხედვით ადგილების დანაწილება შემდეგნაირად.

ა) ქალაქები—ბაქო, თბილისი და ერევანი—1-ლი ზოლი,

ბ) ყველა დანარჩენი ადგილები, სამაზრო ლი.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლსა და სსრკ შრომის სახკომისარიატის მიერ 1927 წ. დეკემბრის 5-ს თარიღით და № 385-ით „შრომის ხელფასის მინიმუმის და სატარიფო ზოლის შესახებ“ გამოცემულ დადგენილების მე-3-ე მუხლთან შეფარდებით ა. კ. ს. ფ. ს. რ. შრომის ხელფასის მინიმუმი განისაზღვრა.

ა) 1-ლი ზოლისათვის—10 მან.

ბ) მეორე ზოლისათვის—9 მან.

3. მეორე მუხლში დაწესებული მინიმუმი წარმოადგენს, უმცირეს შრომის ხელფასს ნორმალურ ასმუშაო დღისათვის, რომელზე ნაკლების მიცემის უფლება არა აქვს არც ერთ წარმოება-დაწესებულებას (სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადო და კერძო).

4. მეორე მუხლით დაწესებულ მინიმუმზე ნაკლები რაოდენობით შრომის ხელფასის გაცემა იდევნება ა. კ. ს. ფ. ს. რეს. შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებში მომქმედ კანონმდებლობის თანახმად.

ა. კ. შრომის სახ. კომისარი **იაშვილი.**
სატარ. საკ. გან. გამგე **სიზოტენკო.**

შეთანხმებულია: ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატთან და ა. კ. პროფკავშირთა საბჭოსთან.

---

ცენტრალური მუშათა კლუბი (პლეხანოვის ქ. № 123)
დღეს, 23 ივნისს,
დიდი სიმფონიური კონცერტი
მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვ. და კამერულ თეატრის მომღერალ ქალის ე. ზაკის მონაწ.
სტრავინსკი (პირველად თბილისში „პეტრუშკა“) ნაპრავნიკი, მუსორგსკი. რიმსკ-კორსაკოვი
(ორკესტრის შემადგენლობა გადიდებულია) დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის
ხვალ, 24 ივნისს, კონცერტი მედსანშრომის ბაღში (ყოფ. სტელა) ნ. 1303

სახკინმრეწვის კინოები

| | |
|---|---|
| განთიადი (ნაძალადევში) | მსოფლიო ფილმი **პარიზელი ქალი** დადგმა ჩარლი ჩაპლინის |
| საზაფხულო ეთერი | მხატვრული დრამა უცხოეთის ნაწარმ. **ბედნიერების ძიებაში** პროგრამის გარდა „გაზაფხულის დღის გახსნა“ |
| საზაფხულო დარბაზი | მხატვრული ფილმი **ცოლი** პროგრამის გარდა „გაზაფხულის დღის გახსნა“ |
| საზაფხულო პალასი | ამერიკული კინო-რომანი 6 სერიათ **[illegible]** 1 და 2 სერია ერთად ჩარლზ ხეტჩისონის მონაწილეობით |
| აპოლო | საუკეთესო სურათი ებრაელთა ცხოვრებიდან **მაგულ** (სისხლის მორევი) პროგრამის გარდა „გაზაფხულის დღის გახსნა“ |
| სოლეი | ამერიკის საყვარელი მსახიობი ჩარლზ რეი მხატვრულ სურათში **დარტყმა** |
| მინიონი | კარმენ ბონი მხატვრულ სურათში **მშვიდობით ახალგაზრდობავ** |
| პროლეტარი ავლაბარი | უკანასკნელი 5 და 6 სერია **საიდუმლოებათა კუნძული** |

ახოხსი: ორშაბათიდან კინო ეთერში გრანდიოზული ფილმი ბულატ ბატირ 0—18

სააქციო საზოგადოება „ხლებოპროდუქტ“-ის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა
კანტორის შენობაში ქ. თბილისში, შუა ბაზარი № 27, შუადღის 12 საათზე ნიშნავს
საჯარო ვაჭრობას
1928 წლის 28 ივნისს—საზოგადოების დიდუბის საწყობის ეზოში ქვაფენილის დაგების სამუშაოთა შესრულებაზე და 1928 წლის 3 ივლისს—ქალაქში ტვირთების გადატანაზე.
აღნიშნულ სამუშაოთა შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანტორაში ყოველდღე დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 1299 3—2

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

კინო
დარბაზი
ორშაბათიდან
25
ივნისიდან
საზღვარგარეთული
საუკეთესო ფილმი
„ЗАГОВОРЩИК МАДСАЛЮНА“
მთავარ როლებში:
გრეტა რიგარდ სვაგე ფენს
ნ. 1304

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ. 2—15

საქართველოს სახკინმრეწვის
ახალი სურათი მალე
საუკეთესო კინო-თეატრებში
მხატვრული დრამა
„ორფეხნი“
(გრიგალი)
დადგმა ივ. პერესტიანის
ოპერატორი ა. დ. დიგმელოვი
მთავარ როლებში:
მარიამ და ალექსანდრე შირაი,
მ. იაკობინი, ი. კრუჩინინი
თვალყური ადევნეთ დადგმას
ნ. 1304

იყიდება
გიორგი გოგელიასეული სახლი
ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.
0—14 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებ.
ი. დ. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 26 ივნისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 59, ლენინის აღმართი სასადილოში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ბაგრატ ივანეს-ძე სარიბეგოვის მოძრავ ქონებას: 1) ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტს, 2) ერთ საყინულეს, 3) ერთი დიდი ბუფეტის შკაფს და სხვა ნივთებს შეფასებულს 350 მანეთად, მოქ. ვიქტორი ნიკოლაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის № 3 სახ. სანოტარო კანტორისაგან 16 მაისის 1928 წ. თარიღით, № 1078 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2811

თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. დ. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 26 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 28 ში იორის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის სერგო როსტომოვის მოძრავ ქონებას: ფეხსაცმელების საკერავ მანქანას „ზინგერის“ № 16 K. 55 EH 919498 შეფასებულს 100 მანეთად, მოქ. ივანე ყლენტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 14 ნოემბრის 1927 წ. თარიღით, № 1132 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2819

კბილის ექიმი
დ. ს. რიჩინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—9 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
საღამოს 6—7 ქალებს.

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორად მორგება
უფასოდ სპეციალისტ ექიმის მიერ
„სახმედვაჭრობა“
პლეხანოვის პროსპ. № 106
აქვე ხელოვნურ თვალების არჩევა. 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
კ. ს. ფონ-რიტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
ნ. გ. კონტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
დარეჯან ე.
თაყაიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.
მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**დავკარგე:** ატესტატი № 218 გაცემული ქ. ზესტაფონის ცხრაწლედის მიერ ლიდა კაბანაძის სახელზე, ჩ. გ. 2824

**დავკარგე:** მედსანშრომის საწევრო წიგნაკი № 9270 ანიკო ფილიპეს ასული კოპლატაძეს სახელზე, ჩ. გ. 2825

**დავკარგე:** სამხედრო საალრიცხო წიგნაკი № 749 და მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 16742 ვალერიან იესეს-ძე ბრეგაძის სახელზე, ჩ. გ. 2821

**დავკარგე** სამხედრო საიღრიცხო წიგნაკი ფორმა № 4, № 3128 გიორგი ბახტაძეს სახელზე, ჩ. გ. 2822

**დავკარგე:** პირადობის მოწმობა, გაცემული სადმელის თემ-აღმასკომის მიერ, ილიკო ქრისტესას-ძე ტომარაძეს სახელზე, ჩ. გ. 2820

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის № 5 სტამბა, კამოს ქ. № 6